844/3 -13.602

(50) IV


# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №74 (2447) სამშაბათი, 1 აპრილი, 1997 წელი. ფასი 40 თეთრი, თბილისის გარეთ 45 თეთრი.


## „აფხაზ სეპარატისტთა მიერ რუსეთის საშუამავლო როლის უგულებელყოფა, სამშვიდობო მოლაპარაკებაზე უარის თქმა, თანამეგობრობის ქვეყნების იგნორირება კიდევ ერთხელ აჩვენებს მთელ მსოფლიოს ვისთან გვაქვს საქმე“

### საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 31 მარტის რადიოინტერვიუ

**— განვლილი კვირის უმნიშვნელოვანესი მოვლენა, უდავოდ, თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების მოსკოვის სამიტი იყო, რომელზეც მიღებულია ორი დოკუმენტი აფხაზეთის თემაზე და რომელმაც თანამეგობრობის უკვე მეხუთე წლისთავზე იმსჯელა მისი ფუნქციებისა და შიდაინტეგრაციული პროცესების შესახებ. აფხაზეთის გამო მიღებულმა გადაწყვეტილებებმა აფხაზთა მხარის მკვეთრად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. მოეწყო გარკვეული აქციები, განცხადებები გააკეთეს როგორც ეგრეთ წოდებულმა პრეზიდენტმა, ასევე პარლამენტის სპიკერმა ჯინჯოლიამ... — ამ თემაზე საუბრით დაიწყო ჟურნალისტ ნატო ონიანის თხოვნით თავისი ტრადიციული რადიოინტერვიუ საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.**

— უდავოდ სწორია, რომ რადიომსმენელებთან ჩვენი დღევანდელი საუბარი მოსკოვის შეხვედრით იწყება. როგორც მოგეხსენებათ, მოსკოვის სამიტი თანამეგობრობის ხუთი წლისთავს დაემთხვა, ამიტომაც დისკუსია დაკავშირებული იყო არა მარტო კონკრეტულ პრობლემებთან, არამედ თავად თანამეგობრობის მიერ განვლილი გზისა და მისი პოტენციალის კონცეპტუალურ გააზრებასთან, ანალიზთან და დასკვნებთან.

ამავე დროს, სახელმწიფოთა მეთაურები იმით ეხელმძღვანელობდით, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თანამეგობრობის თითოეულმა წევრმა ქვეყანამ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი მშენებლობის უნიკალური გზა გაიარა და თანამეგობრობას ისინი იმდენად უწევენ ანგარიშს, რამდენადაც ეს რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაცია მათი თავისუფლების, სუვერენიტეტისა და ეკონომიკური აღმავლობის პროცესების დაჩქარების გარანტიებს ქმნის.

სწორედ ასეთი კონტექსტით იყო განხილული ეკონომიკური ინტეგრაციის ახალი კონცეფცია, რომელიც წინა პროექტებთან შედარებით, უდავოდ, წინგადადგმული ნაბიჯია. თუმცა, საქართველომ პრინციპული ხასიათის შენიშვნები გამოთქვა, რომელთა დედააზრი ის გახლავთ, რომ ჩვენი ქვეყანა მომავალში ხელშეკრულების იმ მუხლებსა და დებულებებს შეუერთდება, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ეროვნულ კანონმდებლობასა და საქართველოს მიერ საერთაშორისო და სხვა რეგიონულ ორგანიზაციებში ნაკისრ ვალდებულებებს. ესე იგი, ჩვენ ინტეგრირების ისეთ პრინციპებს ვუჭერთ მხარს, რომლებიც სრულად შეესაბამება საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

და, კიდევ ერთი მოსაზრება, რომელსაც თითქმის ყველა ორატორი ხაზგასმით აღნიშნავდა, ის გახლავთ, რომ თანამეგობრობამ ხელი უნდა შეუწყოს წევრ სახელმწიფოთა შორის ორმხრივ და მრავალმხრივ ურთიერთობათა განვითარებას, და ამ პროცესს უნდა განვიხილავდეთ როგორც გლობალური ინტეგრაციის ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტს. ამავე დროს, თანამეგობრობა, მისი ფუნქციონირება უნდა ეყრდნობოდეს მსოფლიოს ინტეგრაციულ კანონზომიერებებს, იზიარებდეს იმ უნიკალურ გამოცდილებას, რომელიც პლანეტის სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა რეგიონში, განსაკუთრებით კი ევროპაში დაგროვდა.

ჩემს გამოსვლაში დახურულ სხდომაზე (ეს არავითარ საიდუმლოებას არ წარმოადგენს) მე სხვა საკითხებთან ერთად სწორედ ხაზი გავუსვი იმას, რომ აუცილებელია ორმხრივი და რეგიონული კავშირურთიერთობის თავისებურებათა გათვალისწინება. თუ რამდენიმე სახელმწიფომ, ვთქვათ, ტვირთის ტრანსპორტირების სფეროში ხელი მოაწერა შესაბამის ხელშეკრულებას, ეს არ უნდა იყოს მიჩნეული როგორც რაღაც ახალი „ღერძებისა“ თუ ბლოკების შექმნის საფრთხე. ან რას უნდა ნიშნავდეს ისტერიამდე მისული გაღიზიანება, რომელიც ნავთობსადენების მიმართულებათა არჩევას უკავშირდება? ნავთობსადენი გაივლის იმ მარშრუტით (მე ამაზე უკვე ვილაპარაკე), ან მარშრუტებით, რომლებიც უფრო იაფი, უსაფრთხო და ხელსაყრელი იქნება. ანდა, რატომ უნდა გამოირიცხოს ასეთი დიდი მარაგის გამოტანის ორი ან თუნდაც სამი მიმართულება? საკითხის ამგვარად დაყენებას პრეზიდენტები გაგებით და მოწონებით ხვდებიან.

შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების უშიშროებას, რაც, უწინარესად, იმ მოთხოვნით გამოიხატა, რომ დადგა დრო, ბოლოს და ბოლოს, აღიკვეთოს კონფლიქტები როგორც სახელმწიფოთა შორის, ასევე სახელმწიფოთა შიგნით, განსაკუთრებით მაშინ, როცა საფრთხე ექმნება ამ ქვეყნების სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას და დამოუკიდებლობას. ყოველივე ამას ბოლო უნდა მოეღოს. მეთაურთა შეხვედრაზე პირდაპირ ითქვა, რომ თუ თანამეგობრობა თავს ვერ გაართმევს თანამედროვეობის ამ უმწვავესი საკითხების გადაწყვეტას, იგი არავის არ სჭირდება. პრინციპულად, მოწონება დაიმსახურა წინადადებამ, რომ შეიქმნას, ასე ვთქვათ (ჯერჯერობით ეს მხოლოდ მონახაზია), ავტორიტეტიანი, ყველა სახელმწიფოს ნდობით აღჭურვილი სტრუქტურა, რომელიც კონფლიქტების მიზეზთა შესწავლასა და მათი დაძლევის პრობლემებზე იმუშავებს. შეიძლება, ეს ძალიან საინტერესო და პერსპექტიული იდეა გახდეს. შემდგომ შეხვედრებზე ჩვენ ამას აუცილებლად დავუბრუნდებით.

იხ. მე-2 გვ.

## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 31 მარტი ქ. თბილისი

**ს. მარის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის ჩოხატაურის პოლიკლინიკურ-ამბულატორიული გაერთიანების კარდიო-რევმატოლოგი, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკი **სულიკო მარი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**ე. შევარდნაძე.**

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 31 მარტი ქ. თბილისი

**ა. ასლანიშვილისა და რ. რუსიას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

ქართული დემოკრატიული პრესის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **ალვენ ასლანიშვილი** და რედაქტორის მოადგილე **რუსლან რუსია** დაჯილდოვდნენ ღირსების ორდენით.

**ე. შევარდნაძე.**

## თანამეგობრობა

## მარტის თოვლზე დაყრილი თეთრი ფურცლები

### 1. თუ იქნება, მხოლოდ — ნამდვილი

დსთ სახელმწიფოთა მეთაურების პრესკონფერენციაზე კრემლში, ტრადიციულ მე-14-ე კორპუსში ჟურნალისტების ელიტა შეიკრიბა (პრეზიდენტთა პრესკონფერენცია ამ ბოლო დროს ფრიად იშვიათი მოვლენაა), ნაცნობი სახეები მოსკოვიდან, ახალი და ტრადიციული დემოკრატიის ქვეყნებიდან, ისინი, ვის აზრსაც ყოველთვის ყურადღებით ეკიდებიან საზღვრებით შემოუფარგლავ ინფორმაციულ სივრცეში, იზიარებენ, ან არ იზიარებენ, მაგრამ — ითვალისწინებენ. და აი, ამ ვითარებაში...

აი, ამ ვითარებაში, პრესკონფერენციის დაწყების წინ „დრონის“ მოსკოველი კორესპონდენტი რუსუდან ნიკურაძე და თქვენი მონამორჩილი უნებური მოწმენი გავხდით მიკროინციდენტისა მარადიული სპექტაკლიდან „ბრძოლა ადგილისათვის მზისქვეშეთში“.

იხ. მე-3 გვ.

## ინფორმაცია

### ვლადისლავ არძინბა აფორიაქებულია

28 მარტს, მოსკოვში დსთ ქვეყნების მეთაურთა სამიტზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ, როგორც ჩანს, ვლადისლავ არძინბა ძალიან ააფორიაქა. ყოველ შემთხვევაში, ბორის ელცინის განცხადების გამო „სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა შესრულდეს“ — სერიოზული შეშფოთება გამოითქვა 29 მარტს ე. წ. აფხაზეთის რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს მიერ გამართულ სხდომაზე. როგორც სოხუმის რადიო იუწყება, უშიშროების საბჭოს სხდომაზე იმსჯელეს სამშვიდობო ძალების განლაგებისა და ადგილმდებარეობის შესაძლო შეცვლის შესახებ.

„ინტერფაქსის“ ცნობით, დღეს არძინბა მოსკოვში უნდა ჩავიდეს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან მოსალაპარაკებლად.

განიხილავენ სიტუაციას, რომელიც დსთ სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს მიერ აფხაზეთში (საქართველო) უსაფრთხოების ზონის გაფართოების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შედეგად შეიქმნა.

ძალიან შეშფოთებულია არძინბა.

### არ ეთანხმებიან უშიშროების ზონის გაფართოების გადაწყვეტილებას

ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის ზონაში უშიშროების ზონის გაფართოებას წინ უნდა უძღოდეს მხარეთა მოლაპარაკება, — მიაჩნია არძინბას წარმომადგენელს ანრი ჯერგენიას. რაც შეეხება წინადადებებს უშიშროების ზონის გაფართოების შესახებ, ამას აფხაზეთის მხარე არ დათანხმებულა. მას მიაჩნია, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს 28 მარტის გადაწყვეტილებას მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი აქვს და ორმხრივ განხილვას ექვემდებარება.

### აფხაზეთის ეკონომიკა მთლიანად განადგურებულია

ე. წ. აფხაზეთის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა რუსეთის ფედერაციაში იგორ ახბამ „ნეზავისიმაია გაზეტასათვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ აფხაზეთის ეკონომიკა მთლიანად განადგურებულია. ომისა და კატაკლიზმების შედეგად ზარალმა მილიარდ დოლარს მიაღწია, — იტყობინება „მოამბე-ექსპრესი“.

### პოტენციალი მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული

31 მარტს საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანის დელეგაციათა შეხვედრა, რომელიც შეეხებოდა რეგიონულ-ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივას.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ თავისი მდებარეობით, ამიერკავკასიის რეგიონს აქვს უზარმაზარი ეკონომიკური პოტენციალი, რომელიც მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული. რაც შეეხება კონფლიქტების მოგვარებას, — ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობაა ეკონომიკური ურთიერთობის ინტენსიფიკაცია. ურთიერთნდობის და ურთიერთგაგების ატმოსფეროს შექმნის საფუძველზე შესაძლებელია არა მხოლოდ რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის ამოქმედება, არამედ, საერთაშორისო დახმარების ხარისხის გაუმჯობესება. რეგიონულ ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება შესაძლებელია გადატანილ იქნეს ამიერკავკასიის თანამშრომლობის ფარგლებში.

### ტენდერის გამარჯვებულები — თბილისში

თბილისში მუშაობას შეუდგნენ ამერიკის „ტრანსოუშისა“ და „ტრანსსაოლოუბნის“ კომისიათა წარმომადგენლები, რომლებმაც საქართველოს კომპანია „ინტერკორთან“ ერთად გაიმარჯვეს აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიის მიერ განჯა-გაჩიანის მონაკვეთზე ნავთობსადენის დასავლეთის მარშრუტის მშენებლობისათვის გამოცხადებულ ტენდერში. დაგეგმილია საქართველოში ჩამოიტანონ 24 ათასი ტონა 500-დუიმიანი მილები. 7 აპრილს ფოთის ნავსადგურში შემოვა გემი, რომელიც მილების პირველ პარტიას ჩამოიტანს.

### დოკერი — ნავსადგური

საქართველოსთვის 11700 ტონა ხორბალს, 3000 ტონა შაქარსა და 1280 ტონა ფქვილს შემოიტანენ, — განაცხადა „მოამბე-ექსპრესის“ კორესპონდენტთან საუბარში ფოთის პორტის უფროსმა ვალერი გეგიძემ. ფოთის პორტში უკვე იცლება 780 ტონა შაქრითა და 4850 ტონა ხორბლით დატვირთული გემები. ფოთის პორტიდან კი გაიგზავნება 3000 ტონა სილიკატი და 5000 ტონა შავი მადანი.

### საქართველო თამბაქოს გარეშე!

— ამ დევიზით გაიმართა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროში თამბაქოს საწინააღმდეგო პირველი ეროვნული დღე.

ჯანდაცვის მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ ხაზგასმით აღნიშნა: ყოველგვარი მავნე ჩვევის, ნარკომანიისა თუ სხვა მძიმე დაავადების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. ეს არის მთავარი საპროგრამო მიმართულება და ამ საქმეში მთელმა საზოგადოებრიობამ უნდა მიიღოს მონაწილეობა, თუ გვინდა გვყავდეს ჯანსაღი თაობა.

იმის თაობაზე, თუ როგორ, რა მეთოდებით ვებრძოლოთ თამბაქოს წევის მავნე ჩვევას, ილაპარაკეს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ რამაზ ურუშაძემ, საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრმა ფრიდონ ინჯიამ (რომელმაც სამინისტროში უკვე კარგა ხანია აკრძალა თამბაქოს წევა), თამბაქოს წევის ეროვნული ცენტრის დირექტორმა გელა კობემაიძემ, უცხოელმა სტუმრებმა.

### მშვიდობით, კომეტა!

თბილისის თავზე რამდენიმე დღეა ამკარად ჩანს კამკამა მანათობელი სხეული. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ვიქტორ ჯაფიაშვილის ცნობით, ეს არის მზის სისტემის უცნობი სხეული — კომეტა, რომელსაც კუდიან ვარსკვლავსაც ეძახიან, ამგვარი კომეტები ერთხელ შემოუვლიან მზეს და იკარგებიან.

ეს კომეტა ჯერ კიდევ 1995 წლის 22 ივლისს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აღმოაჩინა ორმა ამერიკელმა მეცნიერმა და იგი ცნობილია „ჰეილი-ბოპის“ სახელწოდებით.

წუხელ მან უკანასკნელად შემოუარა მზეს და თანდათან დაშორდება დედამიწას.

### ელიავას ბაზრობაზე მოვაჭრენი გაიფიცნენ

ისინი ძველი ფიქსირებული გადასახადის აღდგენას მოითხოვდნენ. საქმე ის არის, რომ ადრე თვეში 22 ლარს იხდიდნენ, ახალი დადგენილების მიხედვით კი შემოსავლის 20 პროცენტი არის გადასახდელი. გაფიცვა რამდენიმე საათს გაგრძელდა და დღის მეორე ნახევარში ბაზრობაზე ვაჭრობა განახლდა. სხვაგვარად თეითონვე იზარალებდნენ.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, „მოამბე - ექსპრესმა“.**

## პოლემიკა

## „მართვადი ქაოსის“ დოქტრინა საქართველოში აღარ განხორციელდება

„ნეზავისიმაია გაზეტა“-ს სკანდალურმა პუბლიკაციამ საქართველოში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. როგორც ცნობილია, „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის“ შემდგომი განვითარებისა და მხოლოდ რუსეთის ინტერესთა შესაბამისად მისი ტრანსფორმირების თაობაზე მომზადებული „მოხსენების“ ავტორები ხელისუფლებას მოუწოდებენ ყველაფერი იღონოს ყოფილ „მოკავშირე რესპუბლიკებში“ ვითარების დესტაბილიზაციისათვის, შექმნას კავკასიაში „არასტაბილურობის კონტროლირებადი სარტყელი“, ხელი შეუშალოს რეგიონში ინვესტიციების მოზიდვას, რათა საქართველომ და აზერბაიჯანმა (ავტორთა აზრით, სწორედ ამ ქვეყნებში ხდება „ხელისუფლების კონსოლიდაცია რუსეთის საწინააღმდეგო საფუძველზე“) ვერ შეძლონ თავიანთი სახელმწიფოებრიობის განმტკიცება და რეალური დამოუკიდებლობის მიღწევა.

იხ. მე-2 გვ.

## ფაქტი

## მოსკოვი-ბაქო-თბილისი

რუსეთის მთავრობამ მიიღო დადგენილება მოსკოვსა და ბაქოს, მოსკოვსა და თბილისს შორის (ბაქოს გავლით) სამგზავრო სარკინიგზო მიმოსვლის განახლების შესახებ. ეს აზერბაიჯანის პრეზიდენტს ჰეიდარ ალიევსა და საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს აცნობა რუსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობის მინისტრმა ამან ტულეევმა. შესაბამისი გადაწყვეტილება მიღებულია მორიგებათა საფუძველზე, რომლებიც შეიმუშავეს რუსეთ-აზერბაიჯანისა და რუსეთ-საქართველოს სამთავრობათშორისო კომისიებმა.

## არიკა ბარათაშვილი

### სააპრილო

...ის კიდეზე თეთრი ღამე
...აუშლია თებერვალს.
...აზაფხულიც მოვა მალე,
...თავზე დაგვათენდება.

...და ჩვენს აპრილს კვლავაც ველით
...ზიანს, კეთილნებიანს.
...ის დედოფალს ჩვენკენ გზები
...ი არ დავიწყებია!

...ღონდ ერთხელ... ავმა სულმა
...აკუპრა და დანისლა.
(...აპრილს ეპყრა კვირტასხმული
...ტონი იასამნისა).

...უტია ისე მკაცრად,
...ლურ არდარიდებით...
...ალდამებში ჩაუნარცხა
...აუშლელი კვირტები.

...ახლაც ველით, ახლაც ველით
...აპრილს — მხუბუქფრთებიანს,
...ის დედოფალს ჩვენკენ გზები
...ი არ დავიწყებია!

...ურ ღრუბლების რიდე ჰფარავს
...ვალქბადი მარტივით...
...ახლოვდება ცისფერთვალა,
...ქროს დალალდაყრილი.

...მოაშუქებს გულგახსნილი,
...ადეს ნისლი შორდება.
...სეტყვილი „ის აპრილი“
...აღარ განმეორდება!

...აილვრება სიმღერებად
...ხმები ლერწმის ღეროსი...
...საპრილოდ მორთვება
...ოგა საქართველოსი.

## ...ანსულ ჩარკვიანი

### ...მა აჭარიდან...

...ხარ საქართველო! —
...ქვეყნად ერთი ხარ,
...ადი ხარ და
...აუმხობელი,
...ენ ხარ სამშობლო,
...ჩვენი ღმერთი ხარ
...და ერთგულების ჩვენის მშობელი.

მე შენი ტაძრის
...ამირკველი ვარ,
მე შენი კვნესა
...ნესად გულსა მგვრის,
...შენი მომულის
...ტრაგზის მკვლელი ვარ,
...შენი ცხრა მთის და
...ცხრა ზღვის გუშაგი.

...შენი ლხენა ვარ,
...შენი სევდა ვარ,
...თუმც მველებურად
...მტერი მედავოს,
...შენს თავს ვიდა არ
...შემომედავა,
...მაინც არ დაგთმე,
...ჩემო დედაო.

...შენი ჩონგურის
...ერთი სიმი ვარ,
...სიმი მარადის
...გაუწყვეტელი,
...შენს დიდ კედელთან
...სამტროდ ვინ მივა,
...როდესაც მე ვარ
...შენი კედელი.

...და როცა ზეცა
...შავ ნისლებს იხვევს,
...სხვა ზეცა ფიქრშიც
...არსად მეგულვის,
...დგას საქართველოდ
...გონიოს ციხე —
...დგას შენი რწმენით
...ალტაცებული.

...არ ერთი სიმი
...არ დამეთმობა,
...დუდს სიყვარულის
...ლურჯი მორევი,
...ჩვენი ერთობა
...არის ღმერთობა,
...არც გაჩენილა
...ჩვენი მომრევი!

1997 წლის 31 მარტი.

## პრემიერა



...მარტს ზ... ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ... სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე ... „სიმფონიური ცეკვების“ პრემიერა.

...ქვე... ...რაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## უკანასკნელ საათს



მოსკოვი. გუშინ რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა მთლიანად მოიწონა რუსეთისა და ბელორუსიის გაერთიანების ხელშეკრულების პროექტი, რომელსაც 2 აპრილს უნდა მოაწერონ ხელი. ხელშეკრულებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. არსებითად, ეს არის კონფედერაცია, აღნიშნა რუსეთის ფედერაციის ვიცეპრემიერმა ვალერი სეროვმა, რომელმაც სამუშაო თათბირი გამართა ორი ქვეყნის გაერთიანების აღმასკომში.

* * *

ჰოპარზალა. ჩეჩნეთის პარლამენტმა სამადლობელი წერილით მიმართა პოლონეთის სეიმს „ომის დროს გაწეული თანადგომისა და დახმარებისათვის“.

* * *

ვენა. ავსტრია მზად არის გაეროს მანდატის საფუძველზე ალბანეთში გაგზავნოს თავისი კონტინგენტი ამ ქვეყანაში საზოგადოებრივი წესრიგის აღსადგენად და სტაბილიზაციის მისაღწევად, განაცხადა ავსტრიის ფედერალურმა კანცლერმა ვიქტორ კლიმამ. ევროპამ მეტი დაინტერესება უნდა გამოიჩინოს ამ საერთაშორისო ოპერაციის განხორციელებაში, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს ევროპის რაც შეიძლება ბევრმა სახელმწიფომ.

* * *

რომი. ალბანეთის ქალაქ ვლერაში გამოცხადებულია საყოველთაო გლოვა ადრიატიკის ზღვაში გემების დაჯახების შედეგად დაღუპულ ალბანეთის მოქალაქეთა ხსოვნის აღსანიშნავად. იტალიის ნაპირებიდან 35 მილზე ამ ქვეყნის სამხედრო ხომალდი დაეჯახა ალბანეთის კატარღას, რომელშიც ლტოლვილები იმყოფებოდნენ. როგორც ალბანეთის ხელისუფალნი იუწყებიან, დაიღუპა არა 4, არამედ 79 კაცი. კატარღაზე იყო 70-დან 120-მდე ლტოლვილი, ძირითადად ქალები და ბავშვები.

ვლერის მეამბოხეთა კომიტეტმა გაავრცელა დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მუქარას, რომ წინააღმდეგობას გაუწევენ ევროპის სამშვიდობო მისიის ძალებს, თუ არ დაადგინეს და არ დასაჯეს ადრიატიკის ზღვაში მომხდარი ტრაგიკული ინციდენტის დამნაშავენი. ამასთან, გუშინ ალბანეთის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც იძლევა ქვეყნის ტერიტორიაზე ევროპის ჰუმანიტარული დახმარების ტვირთის დასაცავად საერთაშორისო სამხედრო კონტინგენტის ყოფნის ნებართვას.

## დღეს ნომერშია




დღეიდან ჩვენს გაზეთს ახალი ჩანართი „დედოზარი“ შეემატა, რომელსაც ქართველი მკითხველი თვეში ერთხელ მიიღებს. სამზეოზე გამოვიტანთ ქართული სოფლის — ამ მარადიული ფენომენის პრობლემებს, მის სატკივარს, სიხარულს... სოფელი ხომ ზუსტი სასწორია ქვეყნის ავ-კარგიანობისა!

„დედოზარი“ უფრო მძლავრად დაიგუგუნებს „საქართველოს რესპუბლიკის“ სამრეკლოდან, თუკი მას ჩვენი სოფელი თავ... საკუთრებად ჩათვლის.

ეს შენი გაზეთია, ჩვენო მკითხველო! „დედოზა... ...ალა... ...ლაძემ. მოვნებით დაეთმობა აღგილი მკითხველის გულიდან წამოსულ მართალ სიტყვას.

იხ. მე-... გვ.

საქართველოს რესპუბლიკა
№74, სამშაბათი, 1 აპრილი, 1997 წელი.

# „აფხაზ სეპარატისტთა მიერ რუსეთის საშუამავლო როლის უგულებელყოფა, სამშვიდობო მოლაპარაკებაზე უარის თქმა, თანამეგობრობის ქვეყნების იგნორირება კიდევ ერთხელ აჩვენებს მთელ მსოფლიოს ვისთან გვაქვს საქმე"

ახლა მინდა შევეხო იმ საკითხს, რომელიც ყველაზე მეტად აინტერესებს საქართველოს ყველა მოქალაქეს, და განსაკუთრებით, ლტოლვილებს.

უმაღლესი დონის შეხვედრაზე მიიღეთ სამშვიდობო ძალების ახალი მანდატი და სპეციალური დოკუმენტი აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ ითქვა პრესკონფერენციებზე, მათ შორის, თქვენს წუხანდელ გადაცემაშიც ამ მანდატის თავისებურებებსა და მის არსზე, მე მაინც მოვალედ ვთვლი თავს შევეხო ამ საკითხს. ამ დოკუმენტში, ესე იგი, არა მანდატში, არამედ მიღებულ განცხადებასა და დოკუმენტში, გამოხატულია ლისაბონის სამიტის შეფასებათა სრული მხარდაჭერა (როგორც მოგეხსენებათ, ლისაბონის უმაღლესი დონის შეხვედრამ აფხაზეთის მოვლენები შეაფასა როგორც ეთნოწმენდა და ქართველი მოსახლეობის გამოდევნა-ჟლეტა); როგორც თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურთა გასული წლის იანვრის შეხვედრაზე აღინიშნა, სეპარატისტული რეჟიმის იზოლირებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა განხორციელება აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. თქვენ გახსოვთ, მაშინ იანვარში ძალიან პრინციპული და უაღრესად მკაცრი რეზოლუცია მიიღეს უმაღლესი დონის შეხვედრაზე. ეს ერთგვარი ანალიზი არის იმის, და ნათქვამია, რომ იგი ცარიელი ქაღალდი არ იყო და ამ გადაწყვეტილებამ სერიოზულად იმუშავა.

ახლებურად და პრინციპულად აისახა მოსახლეობის უსაფრთხო დაბრუნებასთან დაკავშირებული საკითხები. მაგრამ, მანამდე მე უფრო მთავარს ვიტყოდი, უფრო პრინციპულ ცვლილებას, და ეს ის გახლავთ, რომ უნდა გაფართოვდეს საკონტროლო ზონა, რომელიც ორმხრივია და 12 კილომეტრია ერთი მხრივაც და მეორე მხრივაც — ენგურის გაღმაც და გამოღმაც. საკონტროლო ზონა ამჯერად მოიცავს მთელ გალის რაიონს მის ძველ საზღვრებში, სადაც კონფლიქტამდე 100 ათასამდე კაცი ცხოვრობდა. როგორც ვთქვი, ახლებურად და პრინციპულად აისახა მოსახლეობის უსაფრთხო დაბრუნებასთან დაკავშირებული საკითხები. მიღებულია გადაწყვეტილება, რომ სამშვიდობო ძალების შტაბი განლაგდეს უშუალოდ გალის რაიონში, ან მასთან ახლოს. განისაზღვრა, ერთი თვის განმავლობაში დამუშავდეს სამშვიდობო ოპერაციის განხორციელების გეგმა, შემუშავდეს შესაბამისი ინსტრუქცია, განისაზღვროს მხარეთა პასუხისმგებლობა და დაიწყოს უსაფრთხო დაბრუნების რეალური პროცესი.

მე ყველა რადიომსმენელს ვთხოვ, თვალი გაადევნოს, როგორ ვითარდებოდა მოვლენები აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით: გავიხსენოთ უშიშროების საბჭოს პირველი, საკმაოდ უფერული რეზოლუციები, შემდეგ ბუდაპეშტისა და ლისაბონის უმაღლესი დონის შეხვედრათა პრინციპული მიდგომები ეთნოწმენდისა და მოსახლეობის მასობრივი გაძევებისადმი, ესე იგი, გენოციდის აღიარება, ამ ბოლო დროს თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურთა გადაწყვეტილებანი რეჟიმის იზოლაციასთან დაკავშირებით და, ბოლოს, 28 მარტს მიღებული დადგენილება საკონტროლო ზონის გაფართოებისა და გალის რაიონში მოსახლეობის მასობრივად დაბრუნების მოთხოვნითა და გადაწყვეტილებით.

იოლი არ იქნება ახალ მანდატში გათვალისწინებული პრინციპების შესრულება. რა თქმა უნდა, არ იქნება იოლი. მაგრამ ეს შესაძლებელია. ისიც მინდა გითხრათ, რომ თავდაცვის მინისტრი ბატონი ნადიბაიძე დარჩა მოსკოვში. მე, რა თქმა უნდა, მქონდა ამ თემაზე საუბარი ბატონებთან როდიონოვთან, სამსონოვთან, პრიმაკოვთან, და ბოლოს, რუსეთის პრეზიდენტთან, რაზეც კიდევ ვილაპარაკებ. ახლა უკვე მიმდინარეობს მუშაობა ამ ინსტრუქციის დამუშავებაზე, თუ რა წესით უნდა დაიწყოს მოსახლეობის უსაფრთხო, ვიმეორებ, უსაფრთხო დაბრუნება. გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება იმას (ეს თქვენი კითხვის შემადგენელი ნაწილი იყო), თუ როგორია აფხაზ სეპარატისტთა რეაქცია: აგრესიული, მე ასე ვიტყოდი, რუსეთის საშუამავლო როლის უგულებელყოფა, სამშვიდობო მოლაპარაკებაზე უარის თქმა (თქვენ გახსოვთ განცხადება, რომ შეწყდეს სამშვიდობო მოლაპარაკება), თანამეგობრობის ქვეყნების იგნორირება (და ამასაც გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება, იმ თანამეგობრობისა, რომლის წევრობის განცხადებაც მათ ყველა ქვეყანას დაუგზავნეს და, როგორც იტყვიან, ღედაქალაქები ამ ერთი [illegible]ს განმავლობაში „დაბომბეს", თანამეგობრობის წევრად მიგვიღეთო, ახლა კი სრულ იგნორირებას უცხადებენ). ვფიქრობ, კიდევ ერთხელ ხედავს მთელი მსოფლიო, ვისთან გვაქვს საქმე. აი, ასეთი მტკივნეული რეაქცია, ვფიქრობ, მრავლისმეტყველია და საქართველოს ყველა მოქალაქემ ამას ანგარიში უნდა გაუწიოს. არადა, ყველაფერი შეიძლებოდა და შეიძლება კიდევ ნორმალურად განვითარდეს: მოსახლეობის უსაფრთხო დაბრუნება, წესრიგის გარანტირებული და ერთობლივი დაცვა, ნდობის აღდგენა და მრავალი სხვა საკითხი.

ამასთან, ისიც მინდა განვაცხადო, რომ ევროკავშირმა (მე ამის შესახებ ჯერ არაფერი მითქვამს) სოლიდური თანხა გამოყო (ზუსტად არ ვასახელებ, რადგან რამდენიმე ციფრი კიდევ დასაზუსტებელია, ვიმეორებ, ეს ძალიან სოლიდური თანხა გახლავთ) გალის რაიონის რეაბილიტაციისათვის (ლაპარაკია სახლების, გზების, კომუნიკაციების აღდგენაზე და სხვა), ასეთივე დახმარების მიღებას შეძლებენ სხვა რაიონებიც, თუკი სამშვიდობო პროცესი დაიძვრება, ხალხი დაბრუნდება და, ბოლოს და ბოლოს, აფხაზეთის სტატუსიც განისაზღვრება. ეს დახმარება შეეხება ცხინვალის მონასაც, თუკი იქაც, რა თქმა უნდა, სამშვიდობო პროცესი, ასე ვთქვათ, საიმედო სტადიაში შევა, და ისარგებლებენ ამ დახმარებით ქართველებიც, ოსებიც და სხვა ხალხებიც. ამ შემთხვევაში სწრაფად აღდგება რუსეთისა და კავკასიის დამაკავშირებელი სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალები, ამუშავდება საკურორტო და ტურისტული მარშრუტები, შესაბამისი ობიექტები. ესე იგი, მხედველობაში მაქვს, თუკი აფხაზეთში სამშვიდობო პროცესი და გამოდევნილ მოქალაქეთა დაბრუნება შეუქცევადი გახდება, ამდენ სიკეთეს მიიღებს იქ მცხოვრები ხალხი და ისინიც, ვინც იქ დაბრუნდება.

მე არავისზე ნაკლებად არ მესმის იმ მოქალაქეებისა, რომლებსაც მოთმინების ფიალა აევსოთ, ვინც პროტესტის უკიდურეს ფორმებს მიმართავს, მაგრამ გულახდილად უნდა გითხრათ, რომ ყველაფერი, რამაც არასტაბილურობამდე შეიძლება მიგვიყვანოს, იქნება ეს სხვადასხვაგვარი შიმშილობანი თუ მასობრივი საპროტესტო აქციები, კი არ გვაახლოებს, არამედ გვაშორებს აფხაზეთსაც და ცხინვალსაც.

როგორც ხედავთ, ჯოჯოხეთური მოთმინების ფონზე ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ საქმე მაინც წინ მიდის, და ამის ნათელი მაგალითია ის რეალური პერსპექტივა, რომ უახლოეს ხანში მთლიანად გალის რაიონში მოსახლეობა დაბრუნდეს.

ნურავინ შეეცდება, მინდოდა უფრო კატეგორიულად მეთქვა, ნურავინ შეეცდება უკულმა შეატრიალოს ისტორიის ჩარხი. საქართველომ დაიმკვიდრა სტაბილური, დემოკრატიული ქვეყნის სახელი. ჩვენ გვეცნობიან, გვეხმარებიან, ანგარიშს გვიწევენ. უკვე მიმდინარე წელს შევძლებთ საგრძნობი დახმარება აღმოვუჩინოთ ყველაზე გაჭირვებულთ და დაუცველთ. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: ქვეყანა დიდ გზაზე გავიდა, მას დიდი მომავალი აქვს. მაშ, ყველამ ერთად, სხვადასხვა შეხედულებათა, თუნდაც ინტერესთა მიუხედავად, არ შევაჩეროთ, არც გვაქვს უფლება შევაჩეროთ, ახალი, ერთიანი საქართველოს აღმშენებლობა, — ეროვნული და სახელმწიფოებრივი ხომ ყველა ჩვენგანზე, ყოველგვარ მოძრაობაზე, ყოველგვარ იდეოლოგიაზე მაღლა დგას. გვეყო ნგრევა, ქაოსი, შიმშილი და განუკითხაობა, მევთანხმეთ, რომ ყველაფერი ეს უკან დარჩა და საქართველო ამ სისხლიან, სამარცხვინო შარაგზას, რომელიც უკვე გავიარეთ, აღარასოდეს მიუბრუნდება.

აი, ასეთი კომენტარიც და მიმართვაც მინდოდა გადამეცა დღეს ჩვენი რადიომსმენელებისათვის.

**— ამ კითხვის დასმას ისედაც ვაპირებდი, მაგრამ თქვენმა საუბარმა არასტაბილურობის შესახებ მაფიქრებინა, უფრო ფართოდ დამესვა ეს შეკითხვა. საქართველოში ძალიან დიდი აღშფოთება გამოიწვია რუსულ პრესაში — „ნეზავისიმაია გაზეტაში" გამოქვეყნებულმა წერილმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, პოლიტოლოგ ანდრანიკ მიგრანიანის (მას ჩვენი ტელემაყურებელი იცნობს) და კონსტანტინე ზატულინის — „რუსულ თემთა კონგრესის" ერთ-ერთი ლიდერის და ძალიან კარგად გამოხატული ანტიქართული პოზიციის მქონე კაცის ერთობლივმა ნააზრევმა. წერილის იდეა ძალიან მარტივია: კავკასიაში შეიქმნას არასტაბილურობის სარტყელი, გაღვივდეს კონფლიქტები (მომყავს ციტატა) სეპარატისტული ტენდენციების გამოწვევა აჭარაში და სომხეთთან ჯავახეთის შეერთება, შემდეგ ის, რომ რუსეთ-კავკასიის დამაკავშირებელი მაგისტრალი თურმე საქართველოს ტერიტორიაზე უნდა გავიდეს, აფხაზეთს მოეხსნას ეკონომიკური ბლოკადა, ამის შემდეგ, რუსეთის მხრივ ჩრდილოეთ კავკასიის შემორიგება მოხდება თურმე. და, საერთოდ, ამ წერილის ასეთი საზარელი ტონი. სხვათა შორის, მინდა ვთქვა, რომ ცნობილმა რუსმა ჟურნალისტმა დოლენკომ ანალიტიკურ „ვრემიაში" ძალიან მძაფრად გააკრიტიკა ეს წერილი კატეგორიული ტონით. იყო რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი პრიმაკოვის განცხადებაც მინისტრების საბჭოს სხდომაზე და მერე ეს ოფიციალურადაც გამოქვეყნდა. ხომ არ გაჩნდა უკვე ამ პერსპექტივის რაღაც სიმპტომები და საქართველოშიც ხომ არ შეიმჩნევა ამ მხრივ შემხვედრი მოძრაობა, რადგან დღეს ქვეყანაში ნებისმიერი არასტაბილურობა იმ დირექტივების შესრულებას ნიშნავს, ამ წერილში პირდაპირ რომ არის მოცემული: როგორ აირიოს სიტუაცია კავკასიაში, როგორ აირიოს სიტუაცია საქართველოში და როგორ განხორციელდეს ის გეგმა, რომელსაც „ნეზავისიმაია გაზეტა" სახავს...**

— მადლობელი ვარ, რომ ეს კითხვა დამისვით.

ამ სტატიას, რა თქმა უნდა, მეც ყურადღებით გავეცანი, და ამთავითვე ვიტყვი, რომ იგი მართლაც ძალზე შემაშფოთებელი და აღმაშფოთებელი ტენდენციის მანიშნებლად მიმაჩნია. ასეთი საშიში და ბოროტი ზრახვები ცარიელ ნიადაგზე არ ეცემა და იმაზე არის გაანგარიშებული, რომ აქა-იქ, ცალკეულ ქვეყნებში, დამოუკიდებელ სახელმწიფოებში არსებობს ნოყიერი ნიადაგი ასეთი აზრებისათვის. მაგრამ მე აქვე მინდა გითხრათ, რომ არავითარ შენიშვნას არ გამოვთქვამ თვით გაზეთის მიმართ. რაკი არსებობს აზრი, თუნდაც ისეთი მკრეხელური და მიუღებელი, როგორიც ამ დოკუმენტშია გამოთქმული, სჯობს იგი გამოქვეყნდეს, ვიცოდეთ, რა მოვლენებთან შეიძლება გვქონდეს საქმე დღეს და მომავალშიც. მით უმეტეს, რომ „მოხსენების" ავტორები, როგორც თავად უწოდეს ამ დოკუმენტს, სადღაც ბაღის კიდეში მიმჯდარი ობივატელები კი არა, საკმაოდ ცნობილი მოღვაწეები არიან. დემოკრატიული პროცესის და დემოკრატიული პრესის არსებობა, მისი მთელი ღირსება ის გახლავთ, რომ წინათ ასეთ დოკუმენტებს წინ უძღოდა გრიფი „სრულიად საიდუმლოდ" და იყო სპეციალური სამსახურები, ასე ვთქვათ, ცხრაკლიტულები, მაგრამ, ფაქტობრივად, ეს აზრები მოქმედების პროგრამა იყო პარტიული კომიტეტებისათვის, სხვებისა და სხვებისათვის. დღეს რეალურმა დემოკრატიამ დღის სინათლეზე გამოიტანა ყველაფერი ის, რაც წინათ საიდუმლოებით იყო მოცული.

ჩემი აზრით, ეს „მოხსენება" იმ უმძიმესი სულიერი, ზნეობრივი და პოლიტიკური კრიზისის სარკეა, რომელშიც აღმოჩნდნენ რუსეთის რევანშისტული ძალები. ვგულისხმობ ძალებს, რომელთაც დღემდე ვერ გაუგიათ, რომ მსოფლიოში მოხდა რადიკალური და შეუქცევადი ცვლილებები — იმპერიული პოლიტიკის, იმპერიული მეთოდების ეპოქა წარსულს ჩაბარდა, ხოლო ჩეჩნეთის გაკვეთილმა დაადასტურა, რომ „დესტაბილიზაციის" ბუმერანგს უდიდესი დამანგრეველი ძალა აქვს და თვით იმ სახელმწიფოთა მთლიანობას ემუქრება, რომელთა ინტერესებისთვისაც ვითომდა ზრუნავენ ზემოთ ხსენებული პირები. ყველაფერი ეს, როგორც მე ერთხელ უკვე ვთქვი სოხუმში, მართლაცდა, ბუმერანგივით დაუბრუნდება იმას, ვინც შეეცდება მის რეალურად განხორციელებას.

თუმცა აქვე აღვნიშნავ, რომ თვითდამშვიდების უფლება ნამდვილად არა გვაქვს. მე ასე დავარქმევდი ამ ვითომდა დოქტრინას — „მართვადი ქაოსის" დოქტრინა ჯერ კიდევ ძალზე პოპულარულია რუსეთის გარკვეულ წრეებში და ვაი იმ ქვეყანას, რომელიც დაუშვებს ამ დოქტრინის განხორციელებას მის ტერიტორიაზე. და ამისათვის ნიადაგის შექმნა ჩვენ რეალურად აფხაზეთის დაკარგვის ფაქტმა დაგვანახა. მე ახლა ამ საკითხს არ დავუბრუნდები, ყველამ იცის, რა მოხდა და როგორ მოხდა. სწორედ ამ „დოქტრინის" რეალური განხორციელება ცოტა წინმსწრები მოვლენების გათვალისწინებით მოხდა აფხაზეთის მაგალითზე. ეს „დოქტრინა" რეალურად მოქმედებდა. საქართველომ ერთხელ უკვე დაუშვა ამგვარი შეცდომა, ამ „დოქტრინის" მხარდამჭერნი რომ აღმოჩნდნენ ქვეყანაში. მაგრამ ზოგიერთი პოლიტიკოსის გამონათქვამებს რომ ვადევნებ თვალს (თქვენს შეკითხვაში იყო ეს ელემენტი), ვრწმუნდები, რომ ამ გაკვეთილმა მათ ბევრი ვერაფერი ასწავლა. მხედველობაში მყავს ზოგიერთი პოლიტიკოსი. სხვათა შორის, საყურადღებოა, რომ ავტორები კავკასიის გარდა გადასწვდნენ (უნდა ესეც იცოდეს ჩვენმა საზოგადოებრიობამ) ყაზახეთს, სადაც მათი ანგარიშით, რუსულენოვანი მოსახლეობაა, და ეს მათი დასაყრდენია; უკრაინას, ამავე ფაქტორის გათვალისწინებით, უზბეკეთს, მოლდოვას, პრაქტიკულად, მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეს. და ეს სულაც არ არის რაღაც უწყინარი მოვლენა, როგორც ჰგონიათ ზოგიერთებს თვით რუსეთშიც კი. ეს საკითხი მჭიდროდ უკავშირდება თქვენი პირველი შეკითხვის ერთ-ერთ დებულებას — დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შემდგომ პერსპექტივას. წეღან უკვე მოგახსენეთ, მაგრამ იმდენად მნიშვნელოვანია ეს საკითხი, რომ კიდევ და კიდევ შევნიშნავ: თანამეგობრობას მომავალი მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ იგი წევრი სახელმწიფოების დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და მისი დასტაბილურობის მნიშვნელოვან ფაქტორად იქცევა. მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევის, ერთმანეთის ინტერესების პატივისცემის პირობებში შევძლებთ თავიდან ავიცილოთ საფრთხე, რომელიც ნამდვილად არსებობს. დესტაბილიზაციის „ქარბორბალა", მე ასე დავარქმევდი, თანაბრად ემუქრება პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნებს, და, უპირველესად, რუსეთს.

კავკასიისათვის ამ ფაქტორს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამიტომ პრეზიდენტ ელცინთან შეხვედრისას შევთანხმდით, რომ გაგრძელდება „კავკასიური დიალოგი" რუსეთის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, აგრეთვე, ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკათა ხელმძღვანელობის მონაწილეობით.

კისლოვოდსკის დეკლარაცია, ისევე, როგორც თბილისში ხელმოწერილი მანიფესტი, მხოლოდ „სიმბოლურ მოწოდებად" არ დარჩება, კავკასიური დიალოგი უნდა გაგრძელდეს და ჩვენს რეგიონში უშიშროების, სტაბილურობის შენარჩუნების ქმედითი მექანიზმებიც უნდა შეიქმნას.

და ისევ და ისევ უკვე ნათქვამს ვუბრუნდები, განსაკუთრებით ამ დღეებში, ეს არის ფიქრი და ზრუნვა ქვეყნის სტაბილურობაზე, არავითარი ეგრეთ წოდებული „მოხსენებები", როგორიც გამოქვეყნდა, საშიში არ არის, თუ საკუთარი ხელით არ გამოვუთხრით ძირს უკვე მოპოვებულ ნიშნებს სტაბილურობისა და აღმავლობისას, რომელსაც ქვეყანა, ჩემი აზრით, საბოლოოდ დაადგა. ყველაფერი, რასაც წინასწარმეტყველებენ და გეგმავენ ეს ავტორები, რეალურად შეიძლება მხოლოდ მაშინ განხორციელდეს, თუ ჩვენ საკუთარი ხელით გამოვჭედავთ იმ დანას, რომელმაც სისხლი უნდა დაღვაროს საქართველოში. თუ ჩვენს ქვეყანას მოვუვლით და გავუფრთხილდებით, პირველ მონაპოვარს — ქვეყნის სტაბილურობასა და სიმშვიდეს, ვფიქრობ, ყველაფერი ნორმალურად იქნება.

**— მოსკოვში ყოფნისას თქვენ შეხვდით დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების თითქმის ყველა პრეზიდენტს. ცალკე შეხვედრა გქონდათ ბორის ელცინთან. თუ შეიძლება, გვითხრათ რამდენიმე სიტყვა ამის შესახებ?**

— პრეზიდენტების ორმხრივი შეხვედრები საერთაშორისო ღონისძიებათა შემადგენელი ნაწილია არა მარტო თანამეგობრობის ქვეყნებში, არამედ ევროპაშიც. როცა ასეთი ღონისძიებები ეწყობა, ჩვენ სისტემატურად ვხვდებით ერთმანეთს, ასევე, სხვა ღონისძიებების დროსაც. მოკლე შეხვედრა მქონდა თითქმის ყველა პრეზიდენტთან. უნდა გითხრათ, რომ ისინი აბსოლუტურ სოლიდარობას უცხადებენ საქართველოს, რაც ყველაზე მეტად ჩვენს მიერ შეტანილი დოკუმენტების მხარდაჭერით გამოიხატა. და, სხვათა შორის, იმ დახურულ სხდომაზეც რამდენიმე პრეზიდენტმა სრულიად კატეგორიულად დააყენა საკითხი — როდემდე უნდა გაგრძელდეს აფხაზეთის ტრაგედია? სხვათა შორის, ესენი იყვნენ უზბეკეთის, თურქმენეთის, უკრაინისა და ყაზახეთის პრეზიდენტები. ზოგმა გაკვრით, ზოგმა უფრო ფუნდამენტურად, სავსებით პრინციპულად დააყენა საკითხი — როდემდე უნდა დარჩეს დაუსჯელი და სათანადო რეაგირების გარეშე ის, რაც მოხდა? ამას ვამბობ იმის დასადასტურებლად, რაც უკვე მოგახსენეთ, — სოლიდარობას გამოხატავდნენ საქართველოს მიმართ.

თანამეგობრობის პრეზიდენტებსაც აქვთ, რა თქმა უნდა, სხვადასხვა აზრი, სხვადასხვაგვარი პოზიციები და ინტერესები. მაგრამ, რაც შეეხება ქვეყნების ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფოთა ერთიანობას, აგრესიული სეპარატიზმისადმი დამოკიდებულებას, ჩვენ ერთიანი, ან თითქმის ერთიანი ვართ. სასიხარულოა, რომ დებულებები და წინადადებები, რომლებიც საქართველოს არაერთხელ წამოუყენებია 1992 წლიდან მოყოლებული, დღეს უკვე თავისთავად ყველა ქვეყნის საარსებო ინტერესებს შეესაბამება.

ახლა, რაც შეეხება ჩემს შეხვედრას რუსეთის პრეზიდენტთან: ეს იყო მოკლე, მაგრამ უაღრესად კონცენტრირებული საუბარი. სხვათა შორის, ცხოვრებამ, გამოცდილებამ მასწავლა 15-20-25 წუთში ვთქვა ის, რასაც სხვა შემთხვევაში ზოგჯერ საათები და დღეებიც კი სჭირდება. ეს სახელმწიფოებრივი საქმიანობისა და მოღვაწეობის აუცილებელი კომპონენტებია. მე შემთხვევით არ შევეხე წუთებს, 20-25 წუთის განმავლობაში ბატონ ელცინთან ერთად განვიხილეთ პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაზეც დამოკიდებული იქნება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა განვითარების უახლოესი და მორეული პერსპექტივები.

რაც შეეხება რუსეთის პრეზიდენტის ჯანმრთელობას (ამაზეც მინდა გამოვთქვა ჩემი შეხედულება), ტელევიზია საკმაოზე მეტ ინფორმაციას გვაწვდის ამის თაობაზე, მაგრამ ჩემი გამოცდილი თვალით დაკვირვება მაძლევს უფლებას ვთქვა, რომ იგი მშვენიერ ფორმაშია და მოსკოვის სამიტზე გულახდილ, უაღრესად პრინციპულ საუბარს სწორედ მისმა საფუძვლიანმა და საკმაოდ ვრცელმა გამოსვლამ დაუდო სათავე.

მისმა დღევანდელმა მდგომარეობამ მოგვცა საშუალება კვლავ მივენდო მისთვის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება.

როგორც გითხარით, მასთან შეხვედრაზე მე, რა თქმა უნდა, დავაყენე უმთავრესი საკითხი — როგორ განხორციელდება რეალურად მანდატით გათვალისწინებული იდეები, განსაკუთრებით, უსაფრთხო დაბრუნება გალის რაიონში. მე მას ვთხოვე, უფრო სწორად, პირდაპირ დავაყენე საკითხი, რომ, თუ არ იქნება პირადად პრეზიდენტის დირექტივა თავდაცვის სამინისტროსა და საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი, ეს ჩანაწერი შეიძლება ჩანაწერად დარჩეს და გაჭიანურდეს მისი შესრულება. ბატონმა ელცინმა მომცა პირობა, რომ მას ექნება სპეციალური საუბარი იმ მინისტრებთან და იმ უწყებებთან, რომლებსაც ეს საკითხები ეხება. უნდა გითხრათ, რომ მისმა თანაშემწემ, რომელიც საუბარს ესწრებოდა და იწერდა, პრესას განუცხადა: ყველაფერი, რაც ითქვა, რაზეც შეთანხმდნენ პრეზიდენტები, შესრულდებაო.

ასეთია მოკლე კომენტარი ამ შეხვედრასთან დაკავშირებით.

**— როგორც წესი, ორშაბათის რადიოინტერვიუები ეკონომიკის თემით იწყება, ამჯერად, ალბათ, ამით დასრულდება...**

— რაც შეეხება ეკონომიკურ პრობლემებს, ვფიქრობ, შემდეგ შეხვედრაზე გავაგრძელოთ საუბარი. შედეგები, როგორც წინასწარ მომახსენეს, ურიგო არ არის. ზამთრის პრობლემების მიუხედავად, ძირითადი საკონტროლო მაჩვენებლები სრულდება. ქვეყნის მოსახლეობა უახლოეს ხანში ამომწურავ ინფორმაციას მიიღებს კვარტლის შედეგების შესახებ. როცა კვარტლის შედეგებისა და მონაცემების გამოქვეყნებაზე ვლაპარაკობ, მინდა ყველამ გაითვალისწინოს, რომ აქ იგულისხმება თითოეულის ხელფასი, პენსია, თითოეულისადმი დახმარება, თითოეული ლტოლვილის ბედი და ეს ციფრები და შედეგები განსაზღვრავს ჩვენს მომავალს.

სხვათა შორის, მოსკოვის შეხვედრები იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ საფუძვლიანად განვიხილეთ ისეთი პრობლემები, როგორიც არის ქართული პროდუქციის შეტანა რუსეთის, უკრაინის, სხვა ქვეყნების ბაზარზე, აგრეთვე, ვაჭრობისა და საქონლის გაცვლის ყველა ქვეყნისათვის ხელსაყრელი რეჟიმის შექმნასთან დაკავშირებული საკითხები. უნდა გითხრათ, რომ ახლა ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ჩვენს მინისტრებზე, რეგიონების ხელმძღვანელებზე, ჩვენს ბიზნესმენებზე, რომლებმაც უნდა ისწავლონ, რომ, რადგან პროდუქციის შეტანის ხელსაყრელი პირობები და ხელსაყრელი კონიუნქტურა იქმნება, ისინი უნდა დაეუფლონ ამ ქვეყნების ბაზრებზე შეღწევის ხელოვნებას.

საქინფორმი.

[illegible] დასაწყისი [illegible]

## პოლემიკა

# „მართვადი ქაოსის" დოქტრინა საქართველოში აღარ განხორციელდება

ეს დებულება, რა თქმა უნდა, „არახალია", — საკვირველი ის არის, რომ ამ შოვინისტურ ნაბოდვარს ისეთი (ადრე „დემოკრატიულად" მიჩნეული) გაზეთი უთმობს ადგილს, როგორიც „ნეზავისიმაია გაზეტაა" — თუმცა, მთლიანობაში, ზატულინ-მიგრანიანის ოპუსის გამოქვეყნება მაინც შეიძლება დადებით მოვლენად ჩაითვალოს, რადგან მას სააშკაროზე გამოაქვს ის, თუ რას უმზადებენ საქართველოს (რა თქმა უნდა, ადგილობრივი „აგენტურის" მეშვეობით) მტრული ძალები, რომელნიც არც არასდროს შერიგებიან და არც შეურიგდებიან ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას. ამის გარდა, რაოდენ მიუღებელიც არ უნდა იყოს პუბლიკაციაში მოტანილი დებულებები — მათზე დასაბუთებული და არგუმენტირებული პასუხის გაცემა მაინც აუცილებელია, თუნდაც ჩვენსავე საზოგადოებაში არსებული ზოგიერთი მცდარი სტერეოტიპის გასაბათილებლად.

„მოხსენების" ავტორები აღნიშნავენ, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ახალი სახელმწიფოების წარმოშობამ შელახა რუსეთის „უშიშროება" და მისი „გეოპოლიტიკური ინტერესები", ხოლო კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში მნიშვნელოვანი ინვესტიციების მოზიდვამ შეიძლება „პლანეტის ამ ნაწილში დღემდე არსებული გეოპოლიტიკური წონასწორობის დარღვევა გამოიწვიოს". თავისთავად, ეს დებულება, რა თქმა უნდა, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, მაგრამ ამ შემთხვევაში გაცილებით უფრო საინტერესოა იმ წინააღმდეგობის წარმოჩენა, რომელიც თვით სტატიის ავტორთა ლოგიკაში იჩენს თავს, — ამ გზით უფრო უკეთ და წარმატებით ნათელვყოფთ ზემოთ ხსენებული ოპუსის არა მხოლოდ ზნეობრივ, არამედ ინტელექტუალურ სიმწირეს. აი, მაგალითად, ავტორები აღნიშნავენ, რომ აზერბაიჯანი და საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გაწევრიანდნენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც „უმძიმესი სამხედრო მარცხი იწვნიეს და ტერიტორიები დაკარგეს" — დსთ-ს შემადგენლობაში შესვლის მიზანიც სწორედ ამ პრობლემების გადაწყვეტა იყო, ანუ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა რუსეთისა და თანამეგობრობის მეშვეობით.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

სტატიაში ვკითხულობთ: „...ბოლო დროს მოსკოვში იქმნება სრულიად ყალბი წარმოდგენა კავკასიაში რუსეთის ინტერესთა თაობაზე. უამრავ პუბლიკაციაში ისმება საკითხი რუსეთის ამიერკავკასიიდან საბოლოოდ წასვლის შესახებ — სომხეთიდან სამხედრო ბაზების ევაკუაციის პარალელურად. ამავე დროს, მავანნი ამტკიცებენ, თითქოს საქართველოსთან და აზერბაიჯანთან კარგი ურთიერთობების დამყარებას გრძელვადიან საფუძველზე, რუსეთი შეძლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გააძლიერებს ზეწოლას ყარაბაღსა და სომხეთზე, აგრეთვე, აფხაზეთზე, დაეხმარება აზერბაიჯანსა და საქართველოს „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში".

ამ დებულებას მოსდევს ძალიან უცნაური დასკვნა: „რუსეთის წინაშე ამჟამად დგას დილემა: ან მიიღოს შევარდნაძის, ალიევის, თურქეთისა და დასავლეთის ლოგიკა... და სამუდამოდ წავიდეს ამიერკავკასიიდან, აგრეთვე, ჩრდილოეთ კავკასიიდანაც, ან გამოიყენოს არსებული შესაძლებლობები, რათა შეინარჩუნოს თავისი გავლენა ამ რეგიონში".

გასაგებია, რომ „საშუალებებში" იგულისხმება აზერბაიჯანსა და საქართველოში ვითარების დესტაბილიზაცია, სამოქალაქო ომის პროვოცირება, სხვადასხვა ხერხით ხელისუფლების დისკრედიტაცია და შესუსტება, სეპარატისტული ტენდენციების შემდგომი გაძლიერება და ა.შ. ყოველივე ამის მიზანია „ანტირუსულ ძალთა პოზიციების შესუსტება". სწორედ აქ ჩნდება პირველი ლოგიკური წინააღმდეგობა ავტორთა „ნააზრევში". თუკი მათი მოტივი რუსეთის ინტერესების დაცვაა, ხოლო უმთავრეს ტაქტიკად „ანტირუსულ ძალთა პოზიციების შესუსტება" მიაჩნიათ, განა გაცილებით უფრო ბუნებრივი არ იქნებოდა, ეს ძალები იმით შეესუსტებინათ, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანს დახმარებოდნენ იმ პრობლემათა გადაჭრაში, რომელთა გადაწყვეტის იმედითაც ეს ქვეყნები (როგორც თავად აღნიშნავენ) გაწევრიანდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში? ავტორებმა ხომ შესანიშნავად უწყიან, რომ საქართველოს პრეზიდენტი მომხრეა რუსეთთან შემდგომი დაახლოებისა, თუ ეს ქვეყანა დაგვეხმარება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში. რა უფრო მომგებიანი და ნაკლებად სარისკოა რუსეთისათვის: საქართველოს „არალოიალური" პოზიცია მის მიმართ შეცვალოს დესტაბილიზაციისა და ომის პროვოცირებით თუ იმის დემონსტრირებით, რომ რუსეთს რეალურად ძალუძს და სურს ჩვენი ქვეყნისათვის ყველაზე მტკივნეული პრობლემის მოგვარება? რა თქმა უნდა, მეორე გზა გაცილებით იაფიც არის და ნაკლებად სარისკოც, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ვაწყდებით იმავე წინააღმდეგობას, რომელმაც პირველად თავი იჩინა „ნატოს გაფართოებისადმი" რუსული ისტებლიშმენტის დამოკიდებულებაში. არადა, პრობლემის არსი ის კი არ არის, რომ ნატოს სურს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანათა მიღება თავის რიგებში, არამედ პირიქით — აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები სწორედ ნატოში ხედავენ თავისი უშიშროების გარანტიას. ასევე, თუ საქართველო დღემდე აქტიურად არ მონაწილეობს დსთ-ს სივრცეზე განვითარებულ ინტეგრაციულ პროცესებში და ავტორთა აზრით „საფრთხეს უქმნის რუსეთის ინტერესებს", ამის მიზეზი უფრო ის არის, რომ რუსეთმა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობამ ჯერ არ დაადასტურეს, — შესწევთ თუ არა უნარი დაეხმარონ ჩვენს ქვეყანას იმ პრობლემათა გადაწყვეტაში, რომლებიც ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას უ[illegible] ხელს.

სწორედ ამ ლოგიკურ წინააღმდეგობაში ვლინდება „მოხსენების" ავტორთა ნამდვილი მისწრაფება, — „ნეზავისიმაია გაზეტაში" გამოქვეყნებული პასკვილი არის იმ ძალთა სულისკვეთების გამოხატულება, რომლებსაც ერთის მხრივ, ძალზე ა[illegible]ნებთ „აგრესიული სეპარატიზმის" მხარდამჭერთა პოზიციების შესუსტება თვით რუსეთში (ვინაიდან ეს უკანონოდ მითვისებულის დაბრუნებასა და ეთნიკური წმენდის გამო პასუხისმგებლობას ნიშნავს), ხოლო მეორე მხრივ, ვერ ამაღლდნენ შოვინისტურ-იმპერიულ სიძულვილზე თავისუფლების მოყვარე ერებისა და მათი ლიდერების მიმართ, მზად არიან, ამ სიძულვილის დაკმაყოფილებას საკუთარი „დერჟავის" რეალური, პრაგმატული ინტერესებიც შესწირონ.

საბედნიეროდ, 1990-1[illegible] წლების მწარე გაკვეთილმა ჩვენს ხალხს ბევრი რამ ასწავლა, დიდი გამოცდილებაც შესძინა, — ამდენად „მართვადი ქაოსის" დამანგრეველი დოქტრინის მომხრე ადეპტთა მცდელობა ფუჭად ჩაივლის, ხოლო რუსეთში ადრე თუ გვიან უეჭველად გაიმარჯვებენ ის ძალები, რომელთაც სწორედ ესმით საკუთარი ქვეყნის ინტერესები.

მიხეილ ბედევანიშვილი

# ფასები ძირითადად სტაბილურია

სტატისტიკის დეპარტამენტის ცნობით, სამომხმარებლო ფასების ინდექსმა ერთი კვირის მანძილზე (21-27 მარტი) 99,85 პროცენტი შეადგინა. წინა კვირაში აღნიშნული მაჩვენებელი 100,00 პროცენტი იყო (ეს ინდექსი ასახავს 40 დასახელების საქონლისა და მომსახურებისაგან შედგენილი კალათის ფასების ცვლილებას და განსხვავდება 295-დასახელებიანი კალათის ფასების ცვლილებისაგან, რომელთა საფუძველზეც ხდება ყოველთვიური ინდექსის გაანგარიშება).

მიმდინარე კვირაში ფასები შემცირდა 0,15 პროცენტით, მათ შორის სურსათზე 0,40 პროცენტით, მომსახურებაზე და არასასურსათო საქონელზე ფასები სტაბილური იყო.

სურსათი

წინა კვირასთან შედარებით ფასი შემცირდა კარტოფილზე (10,0 პროცენტი).

არასასურსათო საქონელი

წინა კვირასთან შედარებით ფასები უცვლელი დარჩა.

მომსახურება

წინა კვირასთან შედარებით ფასები სტაბილური იყო.

| | 07.02-13.02 97 წ. | 14.02-20.02 97 წ. | 21.02-27.02 97 წ. | 28.02-6.03 97 წ. | 7.03-13.03 97 წ. | 14.03-20.03 97 წ. | 21.03-27.03 97 წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სფი | -0,06 | 0,15 | 0,02 | 0,07 | -0,28 | 0,00 | [illegible] |
| სურსათი | -0,18 | 0,40 | 0,04 | 0,20 | -0,73 | 0,00 | [illegible] |
| არასასურსათო საქონელი | 0,00 | 0,0 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | [illegible] |
| მომსახურება | 0,22 | 0,0 | 0,15 | -0,09 | 0,04 | 0,00 | [illegible] |

# გასწორება

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 1997 წლის 28 მარტის ნომერში გამოქვეყნებულ „ტურიზმისა და კურორტების შესახებ" საქართველოს კანონში დაშვებულია რამდენიმე უზუსტობა:

1) მე-2 მუხლის მე-16 პუნქტი უნდა იკითხებოდეს:

„არაორგანიზებული ტურისტი-ტურისტი, რომელიც მოგზაურობს ინდივიდუალურად ხელშეკრულების, საგზურის, სამარშრუტო წიგნაკის გარეშე", ხოლო გამოქვეყნებული კანონის მე-16 და მე-17 პუნქტები ჩაითვალოს შესაბამისად მე-17 და მე-18 პუნქტებად.

2) მე-3 მუხლის [illegible] პუნქტი უნდა იწყებოდეს სიტყვებით „ფიზიკური [illegible]" შემდეგ როგორც [illegible]

3) მე-9 მუხლის [illegible] პუნქტში სიტყვების „[illegible]ტული მომსახურების" ნაცვლად უნდა იყოს „საქონლის".

## თანამეგობრობა

...არაფერი არაჩვეულებრივი, ...ოდ დადასტურება, რომ ...ნალისტიკას აკიდებული ...მებლიანი ჩინოვნიკების ...მა" პრესას ბიუროკრა...ეობისდროინდელი და...დებულებით საზღვრავს. ...გომ მიმართვისას – იგი ...ოვარიშჩ" და იგივე „ქე...ა", რაიც უფრო მსოფლ...ელობის გამჟღავნებაა, ...ვიდრე ზრდილობისა. ...ინა", მოგეხსენებათ, „ქა..." ნიშნავს ქართულად და ...წარმოიდგინეთ, თბილი...პრეზიდენტის კანცელა...გამართულ პრესკონფე...ვინმემ „ქალოთი" მი...ჟურნალისტს. ...წარმოიდგენთ. ...ჩვენ კი პრესისადმი პატი...გამჟღავნების ნიმუ...სხვაგან ვეძებთ. ...ლედ, – ადექი, ქალო, აქ ...ადგილია, – მიმართავს ...გვერდით მჯდომ დახ...ქალბატონს ნაკლებად ...წილი ნაცრისფერკოსტუ...მამაკაცი. საპასუხო რე...– ნელი: ასეთ უხამსო...ჩვეულებრივ, ურეაგიროდ ...ებენ. მაგრამ მამაკაცს

არდ შევარდნაძემ ასე უპასუხა:

– ეს საკითხი განვიხილეთ, მაგრამ იგი არ იყო ცენტრალური. ბორის ნიკოლოზის ძემ თავის პრინციპულ სიტყვაში ილაპარაკა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ბილ კლინტონთან შეხვედრაზე, სადაც ამ პრობლემას შეეხნენ. მაგრამ ეს საკითხი არ გამხდარა ჩვენი სპეციალური მსჯელობის საგანი. ასე რომ, ჩემი დიპლომატიური გამოცდილების გამოყენება საჭირო არ გამხდარა.

ჟურნალისტების რეაქცია მყისიერი იყო ედუარდ შევარდნაძის ამ ბოლო წინადადებაზე და სწორედ ეს პასუხი მიიჩნიეს მისი დიპლომატიური გამოცდილების მატერიალიზაციის სახიერ დადასტურებად.

პრესკონფერენციაზე მეტი არაფერი თქმულა დასავლეთთან ურთიერთობის შესახებ, არა იმიტომ, რომ ეს თემა განსაკუთრებით დელიკატურია და ყველა ქვეყანას მოძრაობის მიმართულების არჩევის თავისი უფლება აქვს (რასაც, სხვათა შორის, დსთ წესდებაც ითვალისწინებს), არამედ უფრო იმიტომ, რომ მართლაც დელიკატური მიზეზისა გამო – რუსეთის პრეზიდენტის ჯერ კიდევ

ლისის აეროპორტში საქართველოს პრეზიდენტმა:

– რასაც მე დავესწრებივარ, ასეთი კრიტიკული საუბარი არასოდეს ყოფილა. პრეზიდენტების კრიტიკა მიმართული იყო თანამეგობრობის არაეფექტიანობის წინააღმდეგ. ამ ქრილში ილაპარაკეს პრეზიდენტებმა ნაზარბაევმა, კუჩმამ და სხვებმა.

განსაკუთრებით კრიტიკული იყო საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა, და მის ამ პოზიციას დაეთანხმნენ.

– პრეზიდენტ ელცინის კრიტიკის პათოსი საით იყო მიმართული – თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოთა მიმართ, თუ რუსეთისკენ?

– მე მგონი, მან ანგარიში გაუწია პრეზიდენტების მწვავე და კრიტიკულ საჯარო გამოსვლებს, რომლებიც მოსკოვის სამიტის წინ იყო და სწორად გადაწყვიტა, თვითონ ეთქვა თანამეგობრობის არაეფექტიანობის შესახებ.

ბორის ელცინის მოკლე გამოსვლა პრესკონფერენციაზე კრიტიკული იყო და კონსტრუქციული. იგი შეეხო ინტეგრაციული პროცესების გააქტიურებას, მოძრაობის გაძლიერებას ერთმანეთისაკენ, ორმხრივ და მრავალმხრივ კავშირებს, უწინარესად, ეკონომიკურ ურთიერთობებს.

ხაზი გაუსვა უკვე არსებულ ხელშეკრულებათა აუცილებლად ამოქმედების პრობლემას.

და, იქნებ, ყველაზე მთავარი დასკვნა: თანამეგობრობა არ შეიძლება არსებობდეს, თუ მის ფარგლებში იქნება კონფლიქტები. ეს არის კონფლიქტები აფხაზეთში, დნესტრისპირეთში, მთიან ყარაბაღში... – ასე თქვა რუსეთის პრეზიდენტმა.

# მარტის თოვლზე დაყრილი თეთრი ფურცლები

...თან გაირკვევა, რომ იგი ...ის პრეზიდენტის პრეს...ის თანამშრომელია), ...და მაინც ამ ადგილზე ...იჯდეს, აძლიერებს მე...და რა გვარი ხარო, ისე ...ება ქალბატონს, საჩიერის ...ში გვარის ჩაწერით რომ ...ებდით ერთ დროს მალა...გამყიდველს.

...ჩვენი მეზობელი მალაზიის ...დეველი არ არის, სერბე...(ყოფილი იუგოსლავიის) ...ვიზიის საკუთარი კორე...ონდენტია – იასმინა სტა...ნი, 8 წელიწადია მოსკო...ცხოვრობს, იცის როგორ ...ქცევ ამგვარ სიტუაციაში ...ის დასაცავად ჩემს „რა...ლ გაბრძოლებას" არ მი...ს.

– მამოსასვლელში სიები ...და შევიძლიათ იქ ამო...ოთ ჩემი გვარი, – უპა...ს აუღელვებლად.

– იქ ბევრი გვარია.

– ჩემიც არის.

...მინისტრატორი მხარდა...ს გარემო მყოფთა მო...ებებს.

– ...ო, ამხანაგი დამემოწმება, ...თითებს ორტ-ს თუ „ინ...აქსის" ჟურნალისტზე, – ...ადგილი ხომ დაკავებული...

...„ამხანაგი" ყურადღებას არ ...ს.

...ლოს მიხვდება, რომ ...„ნავგო და „გამარჯვე...ო" უკან იხევს:

– ...კაცი რომ იყო, ვიცი, რა...გიზამდი, მაგრამ ქალი ...

...მადლობა ღმერთს, მი...ოთ, რომ ქალსა და კაცს ...ის განსხვავება არსებობს, ...ასუხებს იასმინა.

...ამ სიგრძე პასაჟი მხო...დ დახალასტურებლად იმ..., რომ ამალა ქმნის მეფეს. ...ამდენი ასეთი ამალის წე...მეუდარებლად უფრო მა...დონეზე, სხვა მასშტაბითა ...მძაფრით იბრძვის ხელი...ებაში გაელენის მოხა...ბლად, ქმნის სახეს (თუ ...ნჯებს?) თანამედროვე ...თის.

...თი, რომელშიც აირკლება ...დი მოელენა, მაღლიდან ...ზოგს კი მეორე რუსე...რსებობისაც არ სჯერა... ...ვეთარი კომენტარი. ...ლოდ ფაქტი.

* * *

...იყო ისიც, რომ ივა...ოგჩენიამ, დსთ აღმა...ელმა მდივანმა, ამ მე...ში პრესკონფერენციის ...ქართველ ჟურნალი...სამალება არ მოგეცა, ...ოდით ჩვენს პრეზი...თუმცა, კოროტჩენიასავე ...ით – პრეზიდენტებს ...თი კითხვა – ერთის ...ჩვენც გვეძლეოდა.

...რდნაძეს ჰკითხა სხვამ, ...ელმა და ესეც ბევრის ...ია: თავისი ქვეყნი...აქტუალურეს პრობლე...ოლეგა-ჟურნალისტს მა...მაინც შენი ქვეყნის პრე...ის ამირი აინტერესებს. ...ამ დავუგდოთ ყური. ...დიდარი დიპლო...გამოცდილების გა...ნებით, როგორ შე...ამოსავლეთით ნა...ერცხლების პრობლე...ეს იყო, ალბათ, სა...სახელმწიფოთა მეთა...შეხვედრაზე? – რადი...„მაიაკის" კორესპო...ამ შეკითხვას ედუ...

სუსტი ჯანმრთელობა – შეკითხვებიც და პასუხებიც მაქსიმალურად ლაპიდარული იყო.

ედუარდ შევარდნაძე შემდეგ იტყვის, რომ პრეზიდენტების დახურულ სხდომაზე მისი გამოსვლა ამ საკითხთან დაკავშირებით მწვავე იყო. მან იქ განაცხადა: ჭეშმარიტებაა, რომ 5 წელიწადია დსთ წევრები ვართ, მაგრამ ისიც ჭეშმარიტებაა, რომ 5 წელიწადია თავისუფალი ქვეყნები ვართ, რომ თავიანთი საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრა ამ ქვეყნების სრული უფლებაა.

ამიტომ არის, რომ თვით რუსეთიც დასავლეთთან ურთიერთობის პოლიტიკას ირჩევს, დასავლეთთან ურთიერთობენ პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნებიც. მათ შორის, საქართველოც. დასავლეთი რომ არ ყოფილიყო, მისი ეკონომიკური, ფინანსური, ჰუმანიტარული დახმარების გარეშე, ჩვენ – დსთ წევრი ქვეყნები – ვერ გადავიტანდით შიმშილსა და ქაოსს, რომელშიც აღმოვჩნდით.

ამიტომ, დასავლეთისკენ სწრაფვა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს განხილული, როგორც ალტერნატივა თანამეგობრობისა, ან რუსეთის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობა.

ამ თვალსაზრისით სავსებით ნორმალურია სტრატეგიული პარტნიორობის სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებებით დადასტურება, რაც საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

და არა მარტო საქართველოსი.

– ორმხრივი და მრავალმხრივი კავშირების განვითარების აუცილებლობას ბევრმა პრეზიდენტმა გაუსვა ხაზი. თურქმენეთის და უზბეკეთის პრეზიდენტებმა – განსაკუთრებით, – თქვა ედუარდ შევარდნაძემ.

სხვათა შორის, ედუარდ შევარდნაძე, როგორც მან განაცხადა, მწვავე „ჩხვლეტებს" ელოდა ასეთი პოლიტიკის გამო, მაგრამ პრაქტიკულად ასე არ მოხდა. მას მხარი დაუჭირეს.

* * *

მოვლენებს ცოტა გავუსწარით.

გაგახსენებთ, რომ პრესკონფერენციაზე ვართ კრემლში და ველოდებით პრეზიდენტების შემოსვლას.

შემოდიან.

ბუნებრივია, ყველა ელცინს უყურებს, რათა საკუთარი შთაბეჭდილება შეიქმნას.

დავაკვირდეთ.

რუსეთის პრეზიდენტი საკმაოდ ჯანმრთელი და ენერგიული, მაგრამ ფერმკრთალი, შეფერთხილი და დამცხრალი ასლია ბორის ელცინისა. ის ვულკანური ენერგია, რომელიც მასში ყოველთვის ჩქეფდა, ახლა თითქოს შიგნით არის ჩაბრუნებული...

ამ ჩაბრუნებული ენერგიის ამოფრქვევას, გამჟღავნებას რაღაც დრო სჭირდება. ამიტომ რჩება შენელებული რეაქციის შთაბეჭდილება. ასეთია პირველი შეხედვით.

ბორის ელცინმა დსთ ქვეყნების მეთაურთა ეს შეხვედრა თანამეგობრობის ბედისმიერ ეტაპად მიიჩნია, რომელმაც ალიანსის ხუთი წლის თავზე დაადასტურა, რომ დსთ დროის კარნახით შეიქმნა და შედგა კიდეც, არის და უნდა იყოს.

თუმცა, როგორც მან აღნიშნა, პრეზიდენტების დახურულ შეხვედრაზე გულახდილი და პრინციპული, კრიტიკული საუბარი გაიმართა დსთ ნაკლოვანებათა შესახებ. ამ ხუთი წლის მანძილზე, – თქვა მან, – ასეთი გულახდილობა არ მახსოვს.

იგივე დაადასტურა უკვე თბი-

როგორც იქნა! როგორც იქნა, პრობლემები და აქცენტები, რომლებიც არაერთხელ გამოუკვეთია თავის გამოსვლებში ედუარდ შევარდნაძეს, მთლიანად გაზიარებული აღმოჩნდა.

ეს უკვე იმედის მომცემია, იმის იმედის, რომ სიტყვასა და საქმეს, გადაწყვეტილებასა და მოქმედებას შორის შეუთავსებლობა, რაც აქამდე დსთ და რუსეთის მხრიდან კონფლიქტებისადმი დამოკიდებულებაში არსებობდა, ბოლოს და ბოლოს, მოიხსნა.

ამ იმედის საფუძველი მარტო ლოგიკა არ არის. პრეზიდენტმა კუჩმამ, რომელმაც მოსკოვის სამიტი დსთ განვითარების ახალ ეტაპად მიიჩნია, პრესკონფერენციაზე განაცხადა: – ჩვენ მოვილაპარაკეთ მთავარზე – არა მარტო დავაფიქსიროთ პრობლემები, არამედ გადავწყვიტოთ ისინი. რა არის ის თანამეგობრობა, რომელიც კონფლიქტებითაა არეული?!

და კიდევ ერთი, მგონი, უმთავრესი:

სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი „აფხაზეთის (საქართველო) კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის მიმდინარეობის შესახებ" და „აფხაზეთის (საქართველო) კონფლიქტის ზონაში მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაციის განვითარების შესახებ" თავისთავად მნიშვნელოვანი დოკუმენტებია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ეტაპობრივად აღდგენის გზაზე. მაგრამ ჯერ მხოლოდ დოკუმენტებია.

ისინი უნდა ამოქმედდეს.

და სწორედ ამაზე ესაუბრა 29 მარტს საქართველოს პრეზიდენტი რუსეთის პრეზიდენტს პირისპირ შეხვედრის დროს.

ყველასთვის ცხადია, რას ნიშნავს რუსეთის პრეზიდენტის, იგივე მთავარსარდლის სიტყვა რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალებისთვის. ასეთი განკარგულების გაცემას დაჰპირდა ბორის ელცინი ედუარდ შევარდნაძეს. თუმცა, აქვე გამოთქვა ერთგვარი შეშფოთება იმის გამო, რომ უშიშროების ზონის გაფართოებას არ მოჰყვეს გართულება.

ეს, ჩანს, სეპარატისტთა აგრესიული განცხადებების ერთგვარი გამოძახილია.

რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრი იგორ როდიონოვი მზად არის სამიტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესასრულებლად.

ყველანაირი საფუძველი არსებობს, დავასკვნათ, რომ არასოდეს ისე ახლოს არ ვყოფილვართ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან, როგორც დღეს.

მაგრამ ნებისმიერი სულსწრაფობა, მაქსიმალიზმი და ემოციებს აყოლა მხოლოდ ავნებს საქმეს.

– თუ ამ გადაწყვეტილებებს პრაქტიკული შედეგი არ მოჰყვა, მაშინ დსთ გაკოტრებული აღმოჩნდება. – ეს ედუარდ შევარდნაძის სიტყვებია.

**არმაზ სანებლიძე,**
„სრ" სპეც.კორ.
მოსკოვი – თბილისი.

(დასასრული იქნება).

...ანები ...ველი ...შევარდნაძე.

### ბელორუსია უცხოელ ჟურნალისტებს ზღუდავს

ბელორუსიის მთავრობამ განაცხადა, რომ განზრახული აქვს გაამკაცროს რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხოელ ჟურნალისტთა საქმიანობის წესი. ეს გადაწყვეტილება ემთხვევა ბელორუსია-ამერიკის დიპლომატიური სკანდალის გაძლიერებას. მთავრობის წარმომადგენლის ივანე ბამკევიჩის თქმით, ახალი წესები შეეხება რესპუბლიკაში აკრედიტებულ ყველა ჟურნალისტს, რომელთაგან ბევრს არ დაუშვებენ ხელახალ აკრედიტაციაზე. ყველაზე მეტად ახალი წესები შეეხება რუს ჟურნალისტებს: სულ ცოტა ხნის წინათ რუსეთის სამივე ტელეკომპანიის ჟურნალისტებს აუკრძალეს გადაღებული მასალების მოსკოვში გადაცემა.

### ნახევარტონიანი „სიურპრიზი"

დრეზდენის ცენტრალური ვაგზლის რაიონში 26 მარტს იპოვეს მეორე მსოფლიო ომის დროს ყველაზე დიდი ბომბი. გაზეთ „ექსპრესის" ინფორმაციით, ინგლისური წარმოების ბომბის წონა ნახევარ ტონას აღემატებოდა. ექსპერტთა შეფასებით, ასაფეთქებელი მოწყობილობა ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ ქალაქის ფარგლებს გარეთ მისი გატანა ვერ მოხერხდებოდა, ამიტომ სპეციალისტებმა შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთ გამოსავლად მიიჩნიეს ბომბის ადგილზე განადგურება. მას შემდეგ, რაც გახიზნეს ახლომდებარე სახლების მცხოვრებნი, გადაკეტეს ავტომობილებისა და რკინიგზის მატარებლების მოძრაობა, ბომბს ირგვლივ ქაღალდის რულონები შემოუწყვეს და ააფეთქეს. ერთადერთი ზარალი, რაც აფეთქებამ გამოიწვია, ის იყო, რომ დაეცა ქუჩის განათების ანძა.



### მინსკი: იქნება ლენინური შაბათობები

გაზეთ „დეილი ტელეგრაფის" პოლიტიკური მიმომხილველის აზრით, ბელორუსიის პრეზიდენტს ალექსანდრე ლუკაშენკოს ეცოტავება, ჰიტლერს რომ ჰგავს. ამიერიდან, მას განზრახული აქვს, რესპუბლიკაში სტალინური რეჟიმიც დაამყაროს. აალორძინა რა საბჭოთა ეპოქის ეროვნული სიმბოლო, „ნამგალი და ურო", მას არც ლენინური შაბათობები დაავიწყებია. პირველი მათგანი მოეწყობა რუსეთის რევოლუციის ბელადის დაბადების დღეს – 22 აპრილს. ლუკაშენკოს თქმით, კომუნიზმისაკენ დაბრუნების ინიციატორი გახდა ხალხი, ხოლო იგი მხოლოდ ერის იდეების რეალიზატორია. ამავე დროს, ბელორუსიის ინტელიგენცია თავის პრეზიდენტს დაუფარავი ირონიით ეკიდება და ლუკაშენკოს ნაცვლად „ალკაშენკოს" უწოდებს.

### განხეთქილება სავაჭრო პარტნიორთან

მალაიზიამ ოთხშაბათს გაწყვიტა პოლიტიკური და საქმიანი ურთიერთობა მეზობელ სინგაპურთან, იუწყება ამერიკის გაზეთი „იუ-ეს-ეი თუდეი". ესოდენ მკაცრი ნაბიჯის გადადგმის მიზეზი გახდა სინგაპურის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ლი კუან იუს გამონათქვამები მალაიზიაზე. მან უპატივცემლოდ მოიხსენია მალაიზიის ერთ-ერთი შტატი, ჯოხორი, და მას უწოდა ადგილი, რომელიც „ცნობილია მხოლოდ და მხოლოდ ბათქა-ბუთქით, ყაჩაღური თავდასხმებითა და ავტომანქანების გატაცებით". გაზეთის მონაცემებით, ორი სახელმწიფოს ურთიერთობა ახლა ყველაზე დაბალ დონეზეა 1965 წლის შემდეგ, როდესაც სინგაპური მალაიზიის შემადგენლობიდან გავიდა. ამავე დროს, მალაიზია შეერთებული შტატების შემდეგ სინგაპურის მეორე სავაჭრო პარტნიორია. შარშან, ორ ქვეყანას შორის საქონელბრუნვამ 35 მილიარდი დოლარი შეადგინა.

## რუსეთი – ერაყის უპირველესი მეგობარი



ერაყში იმყოფება რუსეთის წარმომადგენლობითი დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას ამ ქვეყნის სათბობისა და ენერგეტიკის მრეწველობის მინისტრი პეტრე როდიონოვი. ერაყელმა კოლეგამ ამილ რაშიდმა დელეგაციის წევრებს უთხრა, რომ სადამ ჰუსეინმა მას დაავალა „აბსოლუტური უპირატესობა მიანიჭოს მეგობრებს, უწინარეს ყოვლისა – რუსეთს, ერაყის ნავთობის გაყიდვის და ჰუმანიტარული საქონლის შეძენის დროს".

რუსეთის მხარემ განაცხადა, რომ იგი ღირსეულად აფასებს სადამის პოლიტიკურ გადაწყვეტილებას. იგი ერაყს მიჰყიდის ელექტროსადგურების, სასილოსე და ნავთობის დანადგარების მარაგნაწილებს, რისთვისაც ერაყმა უკვე გამოჰყო 100 მილიონ დოლარზე მეტი, რომელიც გაეროს ნებართვით გაყიდული ნავთობის საფასურად მიიღო. გარდა ამისა, 800 მილიონ დოლარზე მეტი მოხმარდება სასურსათო პროდუქტების შესყიდვას.

1995 წელს ორ ქვეყანას შორის დაიდო შეთანხმებანი ნავთობმოპოვებისა და ნავთობმრეწველობის დარგში 20 მილიარდი დოლარის ოდენობით. მაგრამ მათი განხორციელება შესაძლებელი გახდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაუქმდება ერაყის ბლოკადა და გაეროს ეკონომიკური სანქციები. ალბათ, მაშინ შეძლებს ბაღდადი დაუბრუნოს მოსკოვს თავისი ვალი, რომელიც 8 მილიარდ დოლარს აღემატება.

### მოითხოვენ ანტონესკუს რეაბილიტაციას

რუმინეთის ეროვნული ერთიანობის პარტიის წარმომადგენელმა სენატორმა ჯუსტინ ტამბოზიმ გენერალურ პროკურორს ნიკოლაე კოჩინესკუს მოუწოდა, დაიწყოს მეორე მსოფლიო ომის წლებში რუმინელ ფაშისტთა ლიდერის მარშალ იონ ანტონესკუს რეაბილიტაციის პროცედურა, რომელიც 1946 წელს დასაჯეს სიკვდილით. ამას იუწყება „რომანია ლიბერა". ცნობაში ნათქვამია, რომ ასეთივე მოთხოვნა წამოაყენა დეპუტატმა პეტრე ტურლეამაც. გარდა ამისა, ტამბოზიმ მოითხოვა, რომ მთავრობამ ანტონესკუს ძეგლი დაუდგას. სამი ასეთი ძეგლი რუმინეთში უკვე აღმართეს კერძო პირებმა.

### ადამიანი – შიმპანზეს წინაპარი?

ავსტრალიელმა მეცნიერმა საიმონ ისტლმა წამოაყენა თეორია, რომ ადამიანები და ადამიანისმაგვარი მაიმუნები გაცილებით უფრო ახლობლები არიან, ვიდრე ეს ტრადიციულად ითვლებოდა. წერს ბრიტანული „დეილი ტელეგრაფი". იგი, აგრეთვე ვარაუდობს, რომ შიმპანზეები წინათ ორ ფეხზე დადიოდნენ, მაგრამ შემდეგ დაჰკარგეს ეს უნარი და კვლავ ხეზე გავიდნენ. მეცნიერი დარწმუნებულია, რომ ადამიანები და შიმპანზეები წარმოიშვნენ საერთო წინაპრისაგან არა 5 მილიონი წლის წინათ, როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, არამედ 4 მილიონამდე წლის წინათ. გამოკვლევებმა და გაანგარიშებამ, რომლებიც საიმონ ისტლმა განახორციელა, ცხადყო, რომ ადამიანებისა და შიმპანზეების წინაპარი — ავსტრალოპითეკუს აფარენსისი — ორფეხა იყო, მაშასადამე, შიმპანზეებიც თავდაპირველად ადამიანებივით დადიოდნენ. დასკვნა, რომელიც სწავლულმა გამოიტანა, შემდეგია: „ეს ჩვენ კი არ ჩამოვძვერით ხიდან — მაიმუნები აძვრნენ ხეზე".

### აფერისტობისათვის – თავისუფლების აღკვეთა 9... საუკუნით

დეილი ტელეგრაფმა გამოაქვეყნა მასალა ამერიკის ფინანსური პირამიდის „ფილანთროპიის ახალი ხანის ფონდის" მეთაურის ჯონ ბენეტ – უმცროსის სასამართლოს შესახებ. ბენეტმა შეძლო, გაეცურებინა ასობით არაკომერციული ორგანიზაცია – მუზეუმები და უნივერსიტეტები. ფონდის კლიენტებს შორის როქფელერთა კლანის წევრებიც კი იყვნენ. 1995 წელს თავისი მოღვაწეობის კრახით დამთავრებამდე ბენეტის კანტორამ 358 მილიონი დოლარი დააგროვა. პირამიდა შეერთებულ შტატებში უდიდეს აფერად არის მიჩნეული. სასამართლომ ჯონ ბენეტი, პროფესიით სატვირთო ავტომობილის მძღოლი, ბრალეულად ცნო და მიუსაჯა 900 წლის პატიმრობა და 28 მილიონი დოლარი.

### მჟღავნდება სექტის შემზარავი გეგმები

„აუმ სინრიქოს" ყოფილმა მრჩეველმა დაზვერვის დარგში მორიგ სასამართლო მოსმენაზე ილაპარაკა, თუ როგორ გეგმავდა სექტა ფართო მასშტაბის გაზის იერიშს, იუწყება ფრანს პრესის სააგენტო. სექტას განზრახული ჰქონდა, 50 ტონა ნერვულ-დამადამბლავებელი გაზი „ზარინი" გაეფრქვია ტოკიოში და 10-10 ტონა ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში. 70 ტონა გაზი უნდა ეწარმოებინათ სექტის საყრდენ ბაზაზე, ფუჯის მთის ძირას. ამავე დროს, იაპონიის გაზეთ „ასაჰის" მონაცემებით, 120 ტონა რეაქტივები უკვე წელიწადია ინახება საწყობში. ხელისუფალთ ჯერჯერობით არ შეუმუშავებიათ მისი შემდგომი გადამუშავების გეგმები, თუმცა, რეაქტივების შენახვის ქირამ უკვე ოთხჯერ გადააჭარბა მათი განადგურების ღირებულებას.

## მეცნიერთა ლაბორატორიებში

### სიქაჩლიდან – სიხუჭუჭემდე

მინეაპოლისის (აშშ) უნივერსიტეტის ჰიგიენური ტრანსპლანტაციის ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფმა პროფესორ ჯეფერსონის ხელმძღვანელობით შეიმუშავა გამელოტების წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ეფექტიანი მეთოდი – თმოვანი საფარველის გადანერგვა მკერდიდან და სხვა ინტიმური ადგილებიდან თავზე. ტრანსპლანტაციის ეფექტიანობა, წერს ჟურნალი „ლანცეტი", 100 პროცენტს აღწევს. სპეციალისტთა აზრით, ამ მეთოდს დიდი მომავალი აქვს. ერთადერთი, რაც მელოტყოფილ პაციენტთა გარკვეული ნაწილის უკმაყოფილებას იწვევს, ეს არის მეტისმეტი სიხუჭუჭე.

### გელაპ-ს უნდა ვენდოთ?

იღბლიანი გამოდგა სოციოლოგთა და ფსიქოანალიტიკოს სექსოლოგთა ერთობლივი გამოკვლევა, იუწყება როიტერის სააგენტო. გელაპ-ის საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი სამსახურის მონაცემების საფუძველზე კანავერალის (ფლორიდის შტატი) უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სექსუალური ორიენტაციის დარღვევის ერთ-ერთი უმთავრესი გამომწვევი მიზეზია საკვებისა და სულიერი საზრდოს შედგენილობა და ხარისხი. კერძოდ, საექსპერიმენტო ჯგუფში, რომელიც ხელოვნურად მიღებული პროდუქტებით იკვებებოდა (რძის, კვერცხის, ხორცის ფხვნილი, ხელოვნური ხიზილალა, ხსნადი ყავა და კაკაო), აგრეთვე სისტემატურად კითხულობდა პოლიტიკურ ლიტერატურას და ჟურნალ-გაზეთებს, უყურებდა ეროტიკულ და პორნოგრაფიულ ფილმებს, – შენიშნული ბისექსუალური გადახრები 87 პროცენტს აღწევდა, ხოლო მეორე საცდელ ჯგუფში, რომლის მონაწილეებსაც ეძლეოდათ მხოლოდ ჯანსაღი ხორციელი და სულიერი საზრდო, ასეთი გადახრები მხოლოდ 5 პროცენტს ჰქონდა (ისიც, თანდაყოლილი). მეცნიერთა აზრით, წერა-კითხვის უცოდინარ, ბუნების წიაღში მცხოვრებ ტომებს შორის ეს პრობლემა საერთოდ არ დგას.

### ართმევენ ნაქურდალს

ბულგარეთში დაიწყო ძირფესვი იმპორტული მანქანების კონფისკაცია – იუწყება როიტერი. პირველი აქცია, რომლის კოდური სახელწოდება იყო „მოსკიტი", ხუთშაბათს მოეწყო. მისი მიზანია გატაცებული მანქანებით ვაჭრობის, აგრეთვე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა. შინაგან საქმეთა მინისტრის ბოგომილ ბონევის თქმით, მანქანების ჩამორთმევა ხდება მათი შეძენის კანონიერების შესამოწმებლად. ჯერ ერთი, მფლობელებმა უნდა წარადგინონ დოკუმენტები ბაჟის გადახდის შესახებ, მეორე, დაამტკიცონ, რომ ფული, რომლითაც მანქანაა ნაყიდი, კანონიერი გზით აქვთ შეძენილი. როგორც თვითმხილველნი ამბობენ, მილიცია უბრალოდ აჩერებს მანქანებს ქუჩაში და ესკორტით მიჰყავს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარის ყაზარმასთან, სოფიის გარეუბანში. პირველივე დღეს დააკავეს 500-ზე მეტი მანქანა, რომელთა უმრავლესობას შეადგენდნენ ახალი „მერსედესები", „ბმვ"-ები, „აუდიები" და „ჯიპები". ნაქურდალი ავტომობილების ვაჭრობასთან დაკავშირებული უკანონო ბიზნესის მოცულობა ბულგარეთის მთელი ფარული ეკონომიკის 20 პროცენტს შეადგენს.



1932 წელი. ამელია ერჰარტი თავის „ელექტრასთან".

# მამაცი მფრინავი ქალის ხსოვნის აღსანიშნავად

სამოცი წლის შემდეგ, მას აქეთ, რაც ლეგენდარული ავიატორი ამელია ერჰარტი დედამიწის ირგვლივ ფრენისას უგზოუკვლოდ დაიკარგა, ტეხასელმა ბიზნესმენმა ქალმა გადაწყვიტა, გამოეყენებინა ერჰარტის თვითმფრინავის ზუსტი ასლი და ბოლომდე მიეყვანა საქმე.

17 მარტს 46 წლის ლინდა ფინჩი „ლოქჰიდ ელექტრა მე–10" (1935 წლის გამოშვებისა) თვითმფრინავით გავიდა ოკლენდის იმავე აეროდრომიდან, საიდანაც აილო სტარტი სამოცი წლის წინათ მისმა განთქმულმა წინამორბედმა. ათასობით მაყურებელი შეიკრიბა მამაცი ბიზნეს-ლედის გასაცილებლად. ფინჩის თვითმფრინავმა რამდენიმე საპატიო წრე დაარტყა აეროდრომის თავზე და გაემურა ბრუნბერკში (კალიფორნიის შტატი). „ელექტრა" გადაკვეთს ამერიკის შეერთებულ შტატებს, სამხრეთ ამერიკას, აფრიკას, ევროპასა და აზიას, სანამ 22 მაისს დაბრუნდებოდეს ოკლენდში. 48 ათასი კილომეტრი სიგრძის მოგზაურობის დროს დაგეგმილია 30 გაჩერება. ლინდას გადაწყვეტილი აქვს, ზუსტად დაიცვას მარშრუტი, რომელიც ამელია ერჰარტმა შეიმუშავა.

ფინჩის 4,5 მილიონი დოლარის ღირებულების „დედამიწის ირგვლივ ფრენის" პროექტი უკავშირდება გამოჩენილი ამერიკელი მფრინავი ქალის დაბადების 100 წლისთავს. ამელია ერჰარტის სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერა მსოფლიო ავიაციის ისტორიაში – იგი გახდა პირველი ქალი, რომელმაც მარტოდმარტომ გადაუფრინა ატლანტის ოკეანეს 1932 წელს, და განახორციელა კიდევ მთელი რიგი რეკორდული გადაფრენები. მსოფლიოს ირგვლივ შემოფრენის პირველი ცდა ერჰარტმა მოიმოქმედა 1937 წლის 17 მარტს. მაგრამ მეორე ეტაპზე პილოტი იძულებული გახდა თვითმფრინავი დედამიწაზე დაესვა ტექნიკური უწესრიგობის გამო. მორიგი სტარტი ამელიამ აიღო იმავე წლის 20 მაისს. 2 ივლისს ახალი გვინეიდან ჰოულენდის კუნძულამდე (წყნარ ოკეანეში) ეტაპზე თვითმფრინავი გაქრა ამელიასა და მის ნავიგატორთან, ფრედ ნუნთან ერთად. ხანგრძლივი ძიების შედეგად ვერ აღმოაჩინეს ვერავითარი კვალი: თვითმფრინავს და ეკიპაჟს თითქოს მიწამ უყლაპა პირი. ერჰარტის იდუმალმა გაქრობამ, ბუნებრივია, უამრავი თეორია წარმოშვა. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, იგი საჯაშუშო მისიას ასრულებდა იაპონიის ტერიტორიაზე.

თავისი წინამორბედის ფრენის ტრაგიკული დასასრულის მიუხედავად, ფინჩს ხიფათიანი მოგზაურობისა არ ეშინია. მას ყოველ ეტაპზე ახალი ნავიგატორი გაჰყვება.

– ჩემი მოგზაურობა მსოფლიოს გაახსენებს ამელია ერჰარტს და მის მიმდევრებს. ადამიანებმა არ უნდა დაივიწყონ ასეთი სახელები. ამ მფრინავის სიცოცხლე ნათელი მაგალითია იმისა, რომ არა აქვს ზღვარი ადამიანის შესაძლებლობებს, სულ ერთია, მამაკაცი იქნება თუ ქალი, – განუცხადა ჟურნალისტებს ლინდამ გაფრენის წინ.

ერჰარტის მშობლიური ქალაქის – ეტჩინსონის (კანზასი) მერმა ფინჩს საპატიო მცხოვრების წოდება მიანიჭა და ქალაქის გასაღები გადასცა. დამშვიდობებისას მისცა ვეირვეინი, რომელიც მან უნდა ჩამოაგდოს მამაცი მფრინავი ქალის ხსოვნის აღსანიშნავად ჰოულენდის კუნძულზე გადაფრენისას.

„ელექტრა მე–10" ერთ-ერთია ამჟამად შემორჩენილ ორ მოდელთაგან. როდესაც ფინჩმა მოდელი იყიდა, მას ბევრი ბლოკი აკლდა. ამიტომ ტექნიკურ სპეციალისტთა გუნდს ფინჩის ხელმძღვანელობით უდიდესი აღდგენითი მუშაობის გაწევა მოუხდა. „ელექტრა" კომპანია „პრატ ენდ უიტნის" ორი ძრავით არის აღჭურვილი და 320 კმ სთ სიჩქარეს ავითარებს.

(როიტერის სააგენტოს მასალების მიხედვით).



60 წლის შემდეგ „ლოქჰიდ ელექტრა მე–10" კვლავ მიფრინავს დედამიწის ირგვლივ სამოგზაუროდ.



ლინდა ფინჩი გაფრენის წინ.

უცხოეთის გაზეთების, სააგენტოების, საინფორმაციო ბიურო „მედიანას" და „პლანეტა-პორტეს" მასალების მიხედვით.

მოამზადა
**არჩილ მანჯგალაძემ.**

საქართველოს რესპუბლიკა
№74. სამშაბათი. 1 აპრილი. 1997 წელი.

## ჩემი თანამედროვე

**ამ ბოლო დროს ზურაბ ქაფიანიძე პროფესორის პორტფელით დადის. ჩვენს საოცრად ეროვნულ მსახიობს, მეციხოვნის ჯაჭვის პერანგი და დავითფერული უფრო შეშვენის, მაგრამ რას ვეტყვი, რას გავუბედავ, შეიძლება დამფშვნას, თავ-პირი დამილეწოს...**

დადის ქლალი წვერით, დააბოტებს, თუშურ ქუდს არ იცილებს, როხროხით ცასა და მიწას აზანზარებს, პროფესორის პორტფელში კი (ახლახან თვითონ მითხრა) შუმეროლოგიის მასალები უდევს.

– საიდან სადაო, – იკითხავთ.

შუმეროლოგიამდე იგი ქართულ დამწერლობას მიუყვანია. მეუბნება: – ეს, ჩემო „მარდალი" (ასე მიკვეცავს გვარს), სულ ერთი უწერელი (თვითონ ნაკიეთელია) ქართულის მასწავლებლის მადლიაო.

– ერთხელ გვითხრა, ყველა ქართულ ასოს თავისი შინაარსი აქვსო. გულიანად გამეცინა, რადგან მე ასე ვიცოდი: ასო იწერებოდა და იკითხებოდა მხოლოდ. მასწავლებელმა დამსაჯა, გაკვეთილი დამატოვებინა... ის დღე და ის დღე, გადავწყვიტე. რადაც უნდა დამჯდომოდა, გამეგო – ასეთი რა შინაარსი ჰქონდათ ქართულ ასო-ნიშნებს. დავამთავრე, მარდალი, თეატრალური ინსტიტუტი, დავიწყე მუშაობა ქუთაისის თეატრში, ინტერესი კი ქართული ასომთავრულისადმი მაინც არ განელებულა. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ დაუსწრებლად განვაგრძე სწავლა ქუთაისის პედინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, ჩავუჯექი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის დამწერლობებს, გავეცანი ივანე ჯავახიშვილის, რამაზ პატარიძის და სხვა ქართველ მეცნიერთა მოსაზრებებს ქართული ასომთავრულის შესახებ. ამ ინტერესმა და კვლევა-ძიებამ მიმიყვანა შუმერებამდე... ხომ არსებობს თეორია, რომ ეს ტრაგიკული ბედის ხალხი ქართველური ტომების მონათესავენი იყვნენ. მე უკვე ვამტკიცებ, რომ ძველთაძველი შუმერული ანბანი ქართული ასომთავრულია, რასაც ბევრი ქართველი მეცნიერი იზიარებს.

ამ საკითხზე გამოვიდა ჩემი წიგნი „შუმერების ანბანი – ქართული ასომთავრული", პლაკატი – „კაცობრიობის ანბანური გავრცელების ახალი ცხრილი", პლაკატი – „კაცობრიობის ანბანური პირველი კალენდარი", გამოვეცი გაზეთი „შუმერი"... ახლახან „სალიტერატურო გაზეთში" დაიბეჭდა ჩემი ვრცელი სტატია – „კაცობრიობის პირველი დამწერლობა, შუმერების ანბანი – ქართული ასომთავრული. ძველი აღმოსავლეთის სამყაროსეულ ცივილიზაციათა სათავე". კარგი იქნება, თუ ქართველი მეცნიერების



# შუმერი

თვალსაზრისს ქვეყნის ხელისუფლებაც მიაქცევს ყურადღებას, ანუ ხელს შეუწყობს საქართველოს უძველესი ისტორიის აღორძინებას.

შევბედე:

– ვთქვათ, რას აძლევს საქართველოს, ჩემო ზურა, ამ საკითხებზე გაწამაწია?

– ეეეე... შენ რა გითხრა!.. ეს საკითხი წარმოაჩენს 4125 წლის წინათ დაკარგულ, გაწყვეტილ ისტორიას, მარდალი, ნახულობს თავის სისხლსა და ხორცს, ნათესავებს – ხეთებს, ხათებს, ძველ მესხებს, ელამელებს, ბასკებს, ხმელთაშუა ზღვის შემოგარენში მცხოვრებ ხალხებს, ხიდს სდებს ორ რელიგიას – ქრისტიანულსა და მუსლიმანურს შორის... მეტი რაღა გინდა!..

– ზურა, ძვირფასო, აგერ, რედაქციის წინ რომ ბავშვიანი ქალი დგას და მათხოვრობს, იმისთვის რა მნიშვნელობა აქვს შუმერული ანბანის ისტორიას?

– იმისათვის აქვს, თუ აქვს!.. მე რომ ეს ჩემი ორი პლაკატი მსოფლიოს ყველა ენაზე გამომაცემინა, უდიდესი თანხა შემოვა და იმ მათხოვარსაც (და მასეთს კიდევ რამდენს) ეშველება... ბიჭო, ასეთი თქმულება თუ გსმენია შენ!.. ნახე, რა სიბრძნეა მიგ: ერთი კაცი, თურმე, ანწლის ლობეს ლობავდა. ამას რას შვრებიო – ჩამოუვლია ღვთის კაცს. ხვალ ვკვდები და მეტი რად მინდაო – უთქვამს მლობავს. გაიგო თურმე ეს ღმერთმა და დაასკვნა – არ შეიძლება კაცმა იცოდეს, როდის მოკვდებაო... მას შემდეგ, მართლაც არავინ იცის, სად წამოეწევა სიკვდილი და ყველა მკვიდრად, ნელ-ნელა, შთამომავლობისათვის აშენებს ყველაფერს!.. ანდა, ვაჟა ნახე, რას ამბობს: კაცი კვდებოდა და ულვაშს ისწორებდაო... ასეა, ძმაო... თქვენ, არავის არაფერი გჯერათ და, რა ვქნა!.. აგერ, გეუბნები და დაწერე: ჩამაბაროს მთავრობამ ერთი სოფელი და მე ვიცი, ხალხს როგორ ვაცხოვრებ... არ მოაკლდებათ არაფერი, სამაგალითო სოფელი იქნება!..

– კი მაგრამ, უშველე ნაკიეთს!..

– რაჭაში არა; რაჭაში ვილა დარჩა... ჩამაბარონ ხალხმრავალი სოფელი და მე ვიცი!..

* * *

რაჭიდან ჩამოსული, იქაური სილაღითა და სიალალით აღვსილი, გუშინ ბარში და თოხში მომუშავე, ტყის მჭრელი და რიონის ზვირთებით მორების უბადლო დამცურებელი, მთის ბუნებაში ნაწრთობი სხეულით, დევის ჯან-ღონით, უცებ იქცევა ქართველი ხალხის უსაყვარლეს კინომსახიობად.

ასეთი ეფექტი სპარტაკ ბაღაშვილის შემდეგ აღარ ენახათ...

აბა, მერაბ კოკოჩაშვილის „მიხა" და შოთა მანაგაძის „ხევსურული ბალადაო", აბა, რეზო ჩხეიძის „ღიმილის ბიჭები" და თენგიზ აბულაძის „ვედრებაო", აბა, ნოდარ მანაგაძის „ივანე კოტორაშვილი" და გიგა ლორთქიფანიძის „წიგნი ფიცისაო"... რა ვიცი, რამდენი ჩამოვთვალო, სულ „დიდებითი" გმირები, სულ გულქართლები და სამაგალითონი, უშუალობით, შინაგანი ხიბლით, ლაზათით რომ აცოცხლებდა ქაფიანიძე და გარშემო ხალხის განუზომელ სიყვარულსაც გრძნობდა... აბა, სახალხო არტისტობა, აბა, რუსთაველის სახელობის პრემია, მიწვევები სხვადასხვა ქვეყნების კინოსტუდიებში... მასთან გაჟლა და ჭიქის აწევა ეამაყებათ, მასთან მეგობრობას ნატრობენ... ზურას იწვევენ რაიონებში, საკონცერტო პროგრამებში, რადიოსა და ტელევიზიაში, ყველაზე პატრიოტული ლექსი მან უნდა წაიკითხოს, ყველაზე პატრიოტული სიტყვა მან უნდა თქვას... მშვენიერი ქალები ღიმილს ესვრიან, მეგობარი პოეტები ლექსებს უძღვნიან... აი, ანზორ აბულაშვილი:

„ეგ ნიჭი, შენი ნათელი
ხატი,
ფიცხი, მდუღარი და
წარმართული,
მაგრამ სპეტაკზე უფრო
სპეტაკი,
თითქოს ქართულზეც უფრო
ქართული.
ჩემო პაპაი და ჩემო მიხა,
კოტორაშვილო — ჩემო ივანე,
ბრძენო და ქველო და
მეხთატეხავ,
სული ვერა და ვერ
დაივანე..."

გაივლის მცირე ხანი და ზურაბ ქაფიანიძე მთელი გზნებით წაიკითხავს ანზორ აბულაშვილის დღეს უკვე მთელ საქართველოში უპოპულარეს ლექსს „მახარობელი".

„წუხელის ბიჭი
დაბადებულა,
გადაჭარბებად თუ არ
ჩამითვლით,
ისეთი ბიჭი დაბადებულა,
დაურქმევიათ თურმე
დავითი".

– ზურამ უდიდესი პოპულარიზაცია გაუწია ამ ლექსს, – ამბობს ანზორ აბულაშვილი, – აი, იგი უკვე სამოცი წლისაა, მაგრამ ჯერ კიდევ რჩება სულიერი და ფიზიკური ძალების განვითარების მწვერვალზე – დავარჯგებული და დაბრძენებული, მრავალმხრივი ინტერესების შემოქმედი, თვით მეცნიერების ჩათვლით, სადაც მან, შესაძლებელია, მთელი გადატრიალება მოახდინოს, კერძოდ – შუმეროლოგიაში. მაგრამ დიდად დასანანია, რომ, როგორც მსახიობი, აგერ თითქმის ათი წელია – საქმესაა მოწყდარი; ვეენანება, რომ მისი ტალანტი და შესაძლებლობანი ყოველდღიურ წვრილმანში იფლანგება. ის ბუნების საჩუქარია – დღევანდელობისათვის ბოძებული, მაგრამ რად გინდა, თუკი გამოუყენებელი დაგერჩა. ჭეშმარიტად ქართული ჰეროიკულ-პატრიოტული ფილმისთვის უკეთესი რაღა უნდა ინატროს რეჟისორმა: მონუმენტური, მასიური, ყველა მონაცემით სახალხო გმირისა და წინამძღოლის როლის შესასრულებლად დაბადებული... არადა, დრო არ იცდის, დრო არ ითმენს. ვაი, რომ ბევრჯერ გვეხდომია სანანებლად ამგვარი გულგრილობა თუ დაუდევრობა...

მაშ, ათი წელიწადია ზურაბ ქაფიანიძე ახალ როლში აღარ გვინახავს. რომ ვუთხარი, რად შეაქციე ზურგი თეატრსა და კინოსმეთქი, ისე შემომიბღვირა, კინაღამ გავთავდი.

– მე შევაქციე ზურგი, მარდალი, თუ მაგათ შემომაქციეს?! შენ იცი თუ არა, რომ ჯერ კიდევ 1982 წელს გავაკეთე ინსცენირება – „ახლოს მოიწი, სამშობლოს გული!.. – ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის, გიორგი ლეონიძის და სხვათა ლექსების მიხედვით?!

დაედგი კინომსახიობის თეატრში, აწყდებოდა მაყურებელი!.. ისეთმა ხალხმა შემიშალა ხელი, რომ გითხრა, არც დაიჯერებ!.. სულიკო ჟღენტი თავის სცენარში როლს რომ მიაწერდა: ზურაბ ქაფიანიძემ უნდა ითამაშოსო, როლზე სხვა აჰყავდათ!..

შევბედე:

– როლები, მე მგონი, არ გაკლდა...

– თავიდან კი, მერე, რომ დაინახეს, ნამეტანი მაღლა-მაღლა მიფრინავსო, აღვირი მოქაჩეს!.. ესა ვართ ქართველები! მაინც გავიგან, სულ მალე სპექტაკლსაც დავდგამ და კინოსაც გადავიღებ. უმდიდრესი ქართული ტრადიციები, ჩვენი წინაპრების სიბრძნე, წეს-ჩვეულება რომ იყოს მექებული, ისეთ რამეს გავაკეთებ!.. აი, ნახავ!..

* * *

ზურაბ ქაფიანიძის მტკიცებით, მეგრულის, სვანურის ზოგიერთი სიტყვა ემთხვევა შუმერულისას და შინაარსითაც ერთნაირია. სვანეთში, რაჭაში დღესაც სრულდება ზოგი რიტუალი, რომელიც გავრცელებული იყო შუმერებში.

თუკი ასეა, ხომ შეიძლება უშორეს შუმერთა სისხლი-სისხლთაგანიც დადიოდეს ვინმე დღეს ჩვენ შორის?

ზურაბ ქაფიანიძის შემხედვარეს სულ უფრო მიძლიერდება ეს აზრი.

**ვილენ მარდალეიშვილი.**

## ჩოგანი

### ჭადრაკი

## ბოლო აკორდი

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საქართველოს 57-ე ჩემპიონატი ჭადრაკში ვაჟთა შორის. უკანასკნელ, მე-11 ტურში ლიდერმა გიორგი ყაჭეიშვილმა ყაიმით დაამთავრა პარტია საერთაშორისო ოსტატ რომან სიჭინავასთან (სენაკი) და 9 ქულით პირველად გახდა საქართველოს ჩემპიონი. 20 წლის თბილისელ საერთაშორისო ოსტატს ოქროს მედალი გადაეცა. 8,5 ქულით ამ ლია ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა ერევნელმა არტურ ჩიბუხჩიანმა. რომან სიჭინავა 8 ქულით მესამე ადგილზე გამოვიდა. ყაიმით დამთავრდა საერთაშორისო ოსტატების გიორგი ბალათუროვის და სანდრო დვებუაძის პარტიაც. გიორგი ბახტაძემ მოუგო ფრიდონ ყალაგაშვილს, ხოლო დავით შენგელიამ – იური ჩიქოვანს. საბოლოოდ ბალათუროვმა, დვებუაძემ, ბახტაძემ და შენგელიამ 7,5-7,5 ქულა მოაგროვეს და, კოეფიციენტთა ცხრილით, შესაბამისად, მე-4 – მე-7 ადგილები დაიკავეს. იმის გამო, რომ ჩიბუხჩიანი ტურნირში უკონკურსოდ ასპარეზობდა, საქართველოს ჩემპიონატის ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები გადაეცათ სიჭინავას და ბალათუროვს.

წლეულს არგენტინაში ჩატარდება 26 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს ნაკრები ჩემპიონის ტიტულს დაიცავს. გუნდის სამი წევრი უკვე ცნობილი იყო: ყაჭეიშვილი, სიჭინავა, დვებუაძე. საქართველოს ჩემპიონატის შედეგების გათვალისწინებით, ამ გუნდის წევრი გახდა ბახტაძეც. სათადარიგო მონაწილის ვინაობა მოგვიანებით გახდება ცნობილი.

ვაჟთა ჩემპიონატში, როგორც ვიუწყებოდით, 14 მოჭადრაკე ქალიც ჩაება. მათგან საუკეთესო შედეგი აჩვენეს: დიდოსტატმა მაია ლომინეიშვილმა – 7 ქულა, საერთაშორისო ოსტატებმა ინგა ხურცილავამ და ნატო ეძგვერაძემ – 6,5-6,5 ქულა, ოსტატმა სოფიკო ტერელაძემ და საერთაშორისო ოსტატმა სოფიკო ნიკოლაძემ – 6-6 ქულა. რუსუდან გოლეთიანმა (სოხუმი) და სოფიკო ტყეშელაშვილმა (ქუთაისი) – 5,5 ქულით საერთაშორისო ოსტატების ბალი მოიპოვეს. გოლეთიანს ამ წარმატებისთვის ფიდე ქალთა შორის საერთაშორისო ოსტატის წოდებას მიანიჭებს.

ეროვნული ოსტატის ნორმა შეასრულეს დავით შენგელიამ, ჯაბულ მახარაძემ (ბათუმი) და სოსო კეირიაშვილმა (გურჯაანი).

4 აპრილს თბილისის ჭადრაკის სასახლეში საქართველოს ქალთა ჩემპიონატი აიღებს სტარტს.

**ლელა თანდაშვილი.**





### ფეხბურთი

# რეკორდი კარგია, ზომიერება – უკეთესი

## საქართველო – სომხეთი 7:0 (2:0)

უპირველეს ყოვლისა, დავით ყიფიანსა და რევაზ ძოძუაშვილს ვულოცავთ ჩინებულ სანაკრებო დებიუტს. ამავე დროს, როგორც ქვეყნის ეროვნული ნაკრების კეთილისმსურველნი, გამოვთქვამთ შიშს – უბრძოლველმა ტრიუმფმა მასპინძლებს პასუხსაგები ოფიციალური მატჩების წინ დათვური სამსახური არ გაუწიოს. ასეთი ეჭვის საფუძველს გულშემატკივართა და სპეციალისტთა წრეებიდან უკვე გამოჟონილი მოჭარბებული ემოციები გვაძლევს. მოკლედ, ქება-დიდებას ნუ გადავყვებით, ანუ, ფაქტი მივიღოთ ისე, როგორც ჩვენი გუნდის ინტერესები მოითხოვს: მოსახდენი მოხდა! ახლა კი თანმიმდევრულად შეხვედრის შესახებ.

**მატჩის წინ**

ლეგიონერთაგან ქართველებს უკანასკნელი თემურ ქეცბაია შემოუერთდა.

„უცხოელები" სტუმართა თავკაცმა ხორენ ოჰანესიანმაც გამოიძახა და უკომპრომისო პაექრობასაც ველოდით, რაც მეტოქეთათვის გაცილებით სასარგებლო გამოდგებოდა.

უფრო მეტი ვნებათაღელვა სტადიონის მისადგომებთან შეიმჩნეოდა. ამხანაგური შეხვედრისათვის ბილეთის სოლიდური ფასის – 5 ლარის გადახდა ერთეულებს თუ შეეძლოთ. ფეხბურთის ჭეშმარიტ ქომაგთა უმრავლესობას ტრიბუნებს მიღმა დარჩენის საფრთხე შეექმნა. შეგახსენებთ, რომ არც პირდაპირი ტელერეპორტაჟი გადაცემულა. მოკლედ, სავსებით „პროგნოზირებადი" გახლდათ ეროვნული სტადიონის „შტურმით აღება". საკითხავია, განა ძნელი გასათვალისწინებელი იყო, რომ მოვლენები სწორედ ასე განვითარდებოდა?

არანაკლებ საგანგაშოა ფეხბურთის მოყვარულთა განსწავლულობის დონე. სხვაგვარად ძნელი ასახსნელია ის უმსგავსობა, რასაც საქართველოს ეროვნული ჰიმნის შესრულებისას ჰქონდა ადგილი – მელოდია დასრულებული არ იყო, ტრიბუნებზე კი ტაში გაისმა (!)

**მატჩი**

პირველი გაიმი, როგორლაც მეგვიძლია გამოცდად მოვნათლოთ. სტუმრები ვარდნაში ცდილობდნენ ბურთის ართმევას, თამაშგარე მდგომარეობის შექმნას, შეტევის ორგანიზებას... მიუხედავად ამისა, გიორგი ქინქლაძე, თემურ ქეცბაია, ლევან კობიაშვილი, შოთა არველაძე და გიორგი ნემსაძე თანაგუნდელებთან ერთად დიდ უპირატესობას ფლობდნენ. ანგარიში მეთორმეტე წუთზე შოთა არველაძემ გახსნა – იგი მეკარესთან პირისპირ გიორგი ქინქლაძემ გაიყვანა, დანარჩენი კი ტექნიკის საქმე იყო. მალე თემურ ქეცბაიამ ახლოდან ძელს მოარტყა ბურთი, შესვენებამდე რამდენიმე წამით ადრე კი საბერძნეთის აეკის ქართველი ლიდერის გარღვევას პენალტი და „ქინქლის" მეორე გოლი მოჰყვა.

ასეთი „ცალკარას" ფონზეც კი ადვილად შესამჩნევი იყო, რომ გოჩა ჯამარაული შორს არის ჩვეული სპორტული ფორმიდან, რომ მასპინძელთა დაცვის ცენტრში საკმაო ხარვეზებია, რასაც ირაკლი ზოიძის კართან მეზობელთა ორიოდე სახიფათო მიახლოება ადასტურებს.

სომხებმა წინააღმდეგობა 53-ე წუთიდან – გიორგი ნემსაძის ზუსტი გადაცემიდან და შოთა არველაძის მესამე გოლიდან – შეწყვიტეს. „დავით ყიფიანის ბიჭებმა" მრავალრიცხოვანი შეცვლების შემდეგაც განაგრძეს მეტოქეთა კარის შტურმი. არჩილ (ორჯერ), შოთა არველაძეებმა და მიხეილ ყაველაშვილმა წერტილი დაუსვეს სტუმართა კაპიტულაციას – 7:0. ასე დაიბადა საქართველოს ნაკრების ახალი რეკორდი.

სიამოვნებით დავძენთ, რომ ბოლოს და ბოლოს, „აქილევსის ქუსლად" ქცეულ სტანდარტულ სიტუაციებშიც ივარგეს მასპინძლებმა – მათი ორი გოლი ლევან კობიაშვილის კუთხურიდან ჩამოწოდების შედეგია.

**გია პლატონიშვილი.**

სურათებზე: ასე გაიხსნა ანგარიში; ჩვენი სტოპერები – მურთაზ შელია და კახი ცხადაძე მეტოქის კარსაც ხშირად უტევდნენ; შოთა არველაძემ დატანჯა სომეხი მცველები.

ვარლამ ბენდიურის ფოტო.



სააქციო „ჯი და ჯი" საზოგადოება
კომპანიების "VIST", UNIT Copier", "Samsung Electronics Co. Ltd" ოფიციალური დილერი
გთავაზობთ
VIST
✓ ნებისმიერი კონფიგურაციის კომპიუტერებს პროცესორით INTEL PENTIUM
✓ კომპაქტ-დისკის წამკითხავებს, კომპიუტერის მყარ დისკებს და მეხსიერებას
✓ ლაზერულ და ჭავლურ პრინტერებს
✓ აგრეთვე სხვა პერიფერიას
ფირმა "RICOH"-ს ასლგადამღებ აპარატებს სავაჭრო მარკით
UNIT Copier
Unit C512 ფორმატი A4, 12 ასლი/წთ.
Unit C415 ფორმატი A3, 15 ასლი/წთ., მასშტაბირება 50-200%
Unit C413 ფორმატი A3, 13 ასლი/წთ., მასშტაბირება 61-141%
Unit C522 ფორმატი A3, 22 ასლი/წთ., მასშტაბირება 50-200%
Unit c527 ფორმატი A3, 27 ასლი/წთ., მასშტაბირება 50-200%
Unit C345 ფორმატი A3, 45 ასლი/წთ., მასშტაბირება 50-200%
SAMSUNG
✓ საოფისე ავტომატურ სატელეფონო სადგურებს 8-დან 120 აბონენტამდე
✓ ტელეფონისა და ფაქსის აპარატების ფართო ასორტიმენტს
გარდა ამისა:
✓ სერთიფიცირებულ ცეცხლგამძლე სეიფებს (იაპონია)
✓ კედლის სეიფებს (გერმანია)
✓ ბანკნოტების სათვლელ მანქანებს "MAGNER-35" (იაპონია)
✓ საბუღალტრო და ჯიბის კალკულატორებს (CITIZEN, AURORA)
✓ A4 ფორმატის გერმანულ ქაღალდს
ყველაფერი ეს რეალურ ფასებში. გარანტია და სერვისი 1 წელი.
მიწოდება დაუყოვნებლივ საწყობიდან თბილისში
ჩვენი მისამართია: ლესელიძის ქ.№4, ☎ 93-38-34, 93-38-04

PRIMUS Balticum
ახალი შესაძლებლობები
სამშენებლო ბიზნესში
საუკეთესო სამშენებლო მასალებ
და უახლესი ტექნოლოგიებ
საერთაშორისო გამოფენაზ
2. KAUKASUS BAU
გამოფენა ჩატარდება თბილისში 1997 წლის 7-10 აპრი
ს.ს. „ექსპოჯორჯია" გამოფენების ცენტ
მე-4,5 პავილიონებ
გამოფენის ორგანიზატორები არი
ფირმა PRIMUS Balticum და ს.ს. „ექსპოჯორჯ
გამოფენა მუშაობს 10-დან 18 საათამ
ცნობებისათვის მოგვმართეთ:
380019 თბილისი აკ. წერეთლის 118 ს.ს. „ექსპოჯორჯია"
ტელ: 34-11-00,
ტელ/ფაქსი: 95-83-06
Expo Georgia

### ყურადღება!

### ვის შეიძლება ედგას მანქანაზე სპეციალური ხელსაწყო?

ბოლო პერიოდში ქვეყანაში გახშირდა ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე სპეციალური ხმამაღლა მოლაპარაკე, სანათი და ხმოვანი ხელსაწყოების უკანონო დაყენება. არის შემთხვევებიც, როცა ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლები საკუთარი ავტომობილებით გადაადგილებისას უკანონოდ სარგებლობენ სპეციალური ხმამაღლა მოლაპარაკე, სანათი და ხმოვანი სიგნალებით, რაც მრავალ უხერხულობას უქმნის საგზაო მოძრაობის მონაწილეებს.

შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების თანახმად, სპეციალური ხმამაღლა მოლაპარაკე, სანათი და ხმოვანი ხელსაწყოების დაყენება დაშვებულია შემდეგი სამინისტროებისა და უწყებების ოპერატიულ და სპეციალური სამსახურების სპეცავტომობილებზე:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
საქართველოს უშიშროების სამინისტრო;
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;
სახელმწიფო თავდაცვის სპეციალური სამსახური;
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო;
საქგაზის სპეციალური საავარიო სამსახური;
საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი;
საკონტაქტო ელექტროქსელების საავარიო სამსახური.

საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველო ამა წლის 15 აპრილიდან უზრუნველყოფს სპეციალურ ხმამაღლა მოლაპარაკე, სანათი და ხმოვანი ხელსაწყოების დაყენებაზე ნებართვების გაცემას.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მოაწყობს მიზნობრივ რეიდებს ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომელთა მხრიდან სპეციალური ხმამაღლა მოლაპარაკე, სანათი და ხმოვანი ხელსაწყოების არადანიშნულებით გამოყენების ფაქტების აღსაკვეთად.

დამრღვევ მძღოლთა მიმართ გატარდება ადმინისტრაციული ზომები.

საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესსამსახური.

ვაკანსია კომერციუ
იურისტის ადგილზ
ვაშინგტონში მოქმედი ფირმა Che
International, აცხადებს ვაკანსიას იუ
ადგილზე, რომელიც იმუშავებს USAI
მიერ დაფინანსებულ საქართველოს
ეკონომიკურ რეფორმათა პროექტ
ექტი ხორციელდება თბილისში
ბულ ეკონომიკური პოლიტიკის
რმის ცენტრის (CEPAR) მიერ.
მოვალეობანი: კომერციულ და
მიკურ კანონმდებლობათა სფერო
მერციული იურისტი იმოქმედებს.
საქართველოს მთავრობასა და
წიფო დაწესებულებებს შორის
მირებელი პირი; მოამზადებს
მოხსენებებს საქართველოს კომერ
კანონმდებლობის რეფორმების
მოამზადებს იურიდიულ მითითებ
მერციული და ეკონომიკური რეფ
თემაზე და აგრეთვე, მონაწილე
იებს აღნიშნულ საკითხებზე წარ
სემინარებში. კომერციული იურ
ვალეობანი აგრეთვე, მოიცავს
კონსულტაციებს საქართველო
სავაჭრო ორგანიზაციაში გა
პროცესში.
კვალიფიკაცია: იურისტის
მი წლის გამოცდილება იურ
მიანობაში; ქართული, რუსუ და
ლისური ენის სრული ცოდნა;
ცესორში მუშაობის უნარი;
ელოს მთავრობასა და პარლამენტ
თიერთობისას საჭირო კომუნიკ
მაღალი დონე.
თქვენი მონაცემები მიღებ
ქ-ნ ჩანდა კოლომბოს მიერ
მართზე: ჭანტურიას ქ. № 12
თბილისი. ფაქსი: 98-84-39 ან
@GAECON.PVT.GE. მონაც
მნულ ვაკანსიაზე მიიღება 4

ეროვნული ბიბლიოთეკა


# დედოზარი

საქართველოს რესპუბლიკა | ყოველთვიური დამატება | №1 | 1 აპრილი. 1997 წელი.


დაბადება

## მრავალჟამიერ!

ზარები დასაბამიდან რეკავდნენ. რეკავდნენ მწუხრზეც და ცისკარზეც. წკრიალ-წკრიალით, ხმამიწყობილად გალობენ პატარა ზარები. დროდადრო დედოზარიც დაიგრიალებს და დაიბუბუნებს ხოლმე სამრეკლოზე.

ახლაც დაიბუბუნა დედოზარმა, ცა და ქვეყანა გარეთ გამოიხმო, როცა ახალი ცხოვრება, ახალი დემოკრატიული შენება დაიწყო...



დედოზარი ყველაზე მძლავრი ზარია, ის მხოლოდ მაშინ მრისხანებს, როცა ქვეყანას უჭირს და მაშინაც დააგუგუნებს მძლავრ სიმღერას, როცა ქვეყანა წელში გაიმართება.

დედოზარი საქართველოში ქართული სოფელია. ის ახლა ბრძენკაცივით დუმს, ჩაფიქრებული უსმენს ქვეყნის მაჯისცემას და ხვალინდელ დღეზეა მიყურადებული. მას მორჩილება არა სჩვევია, რადგან გულმართალია და ახლაც მზად არის, ქვეყნის ჭირისა და ლხინის შესაფერისად იგუგუნოს.

ქართულ სოფელს — ქვეყნის დედოზარს დღეს მართლაც ძალიან გაუჭირდა. მაგრამ ეს დროებითია. თითოეული მოქალაქის ვალია ხელი შეაშველოს, მხარში ამოუდგეს მხვნელსა და მთესველს, მევენახეს, მეხილესა და მეჩაიეს...

„საქართველოს რესპუბლიკის" სოფლის მეურნეობის რედაქციის თანამშრომლები მზად ვართ ობიექტურად გავაშუქოთ ჩვენი მიწის ჩივილი... სწორედ ამ მიზნით გადავწყვიტეთ თვეში ერთხელ შევახვედროთ მკითხველი „დედოზარს".

გეგმა ამ გაზეთის დაბადებისთვის ჯერ კიდევ შარშან, დეკემბერში შევიმუშავეთ, მაგრამ, მოგეხსენებათ, სოფელი ქალაქთან საკმაოდაა დაცილებული. ეკონომიკურმა სიდუხჭირემ ხომ ყველა ოჯახში შეაბიჯა და ჟურნალისტებსაც გაგვიჭირდა რაიონებში მიმოსვლა...

ვფიქრობთ, ჩვენი ინიციატივა სასარგებლო იქნება სოფლის მეურნეობის მშრომელთათვის და ოდნავ მაინც დაეხმარება იმ პრობლემათა გადაწყვეტაში, რომლებიც ხელს შეუწყობენ ტრადიციული ქართული სოფლის აღორძინებას.

„დედოზარის" დღევანდელი პირველი ნომერი უნაკლო არ იქნება — საჭრელმა პირი ლესვაში უნდა გამოიტანოს.

ამდენად, მომდევნო ნომრები, შევეცდებით, უკეთესი იყოს. თუ ჩვენთან ერთად თქვენც ითანამშრომლებთ, თქვენი მხარდაჭერაც გვექნება, საქვეყნო საქმეც დროულად გადაწყდება.

ზარებს მნათენი ტაძრების სამრეკლოებიდან რეკავენ. ალბათ, ქართული ეკლესიაც დალოცავს ჩვენს „დედოზარს" და მთელი ერი, ვითარცა მრევლი, გაერთიანდება ამ ზარის გარშემო. ქართული სოფლის ამ ბუმბერაზი დედოზარის სამრეკლოზე ახლა დიდი სამუშაოები მიმდინარეობს.

...ქართული სიდარბაისლით შემოაბიჯა გაზაფხულმა. უკან დარჩა ცივი ზამთარი და განსაცდელი. ალბათ, სიმბოლურია, რომ ჩვენი „დედოზარიც" სიცოცხლის განახლების ჟამს მოევლინა წუთისოფელს.

სოფელი კვლავ გახდება ბურჯი ქვეყნის ალმშენებლობისა, კვლავ იქცევა დედოზარად და ისევ ომახიანად დააგუგუნებს „მრავალჟამიერს"...

ექო

## მრთობლივი ძალისხმევით დიდი საქმე გაკეთდება



როგორც იქნა, სოფლისთვის მოვიცალეთ... აგრარული სექტორი ძალას იკრებს. მას თანდათან მეტი ქომაგი და მზრუნველი უჩნდება. სიამოვნებით შევიტყვე, რომ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას" ამიერიდან ექნება ჩანართი გაზეთი „დედოზარი", რომელიც სისტემატურად გააშუქებს სოფლის სოციალურ-ეკონომიკის აღორძინების საქმეში არსებულ მდგომარეობას.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო მიესალმება ამ წამოწყებას. ეჭვი არ მეპარება, რომ გაზეთი მხარში ამოუდგება აგრარიკოსებს და ჩვენთან ერთად ერთობლივი ძალისხმევით დიდი საქმე გაკეთდება. არადა, რომ იცოდეთ, საქმეს მართლაც ბოლო არ უჩანს. და ასეთ ვითარებაში როგორ სჭირდება ხალხს გაზეთი...

წლეულს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ქვეყნის აგრარულ-სამრეწველო და სასურსათო კომპლექსში დაწყებული ძირეული რეფორმების გატარებას. აგრარულმა სექტორმა დაკარგული პოზიციები სრულად უნდა დაიბრუნოს იმ ახალი რეალიებიდან გამომდინარე, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით და რომელსაც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის რთული და ტკივილებით აღსავსე პერიოდი ჰქვია. ამ გარემოებას ხაზს ვუსვამ იმის გამო, რომ, რაც ყოფილი საბჭოთა კავშირის დროს აგრარული სფეროს განვითარების ძირითადი პირობა იყო, მისი დაშლის შემდეგ, ნგრევის საფუძველი გახდა. მიზეზების მოყოლას არ შევუდგები. ახლა მთავარი ის არის, რომ მოსახლეობა, სპეციალისტები ღრმად გაერკვნენ სახელმწიფოს ახალ აგრარულ პოლიტიკაში, გააკეთონ სწორი დასკვნები და უშეცდომოდ განსაზღვრონ თავიანთი როლი და ადგილი. დამერწმუნებით, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველივე ამას.

ქვეყნის ეკონომიკისათვის ზრუნვა სოფლიდან უნდა დაიწყოს, რადგან ის ეკონომიკის საფუძველთა საფუძველია.

აგრარულ-სამრეწველო და სასურსათო სექტორი ქვეყნის ეკონომიკაში პირველი იყო, რომელმაც უკანასკნელ წლებში ზრდას მიაღწია. მიუხედავად გაუგონარი გვალვებისა და საერთოდ უამინდობისა, ეკონომიკის ზრდა 1996 წელსაც აღინიშნა.

ეს და სხვა წარმატებათა ფაქტები, რაღა თქმა უნდა, თავისთავად მეტყველებს სექტორის მაღალ სიცოცხლისუნარიანობაზე და დაწყებული პროცესების შეუქცევადობაზე.

თვით საერთაშორისო ექსპერტებიც კი აღიარებენ, რომ სწორედ ამ სექტორშია საიმედო საფუძველი, საექსპორტო პროდუქციის მოცულობის ზრდისა და საზოგადო ეკონომიკური დონის ამაღლების ყველაზე მეტი შესაძლებლობა.

ვფიქრობ, საკამათო არ არის, რომ დღეს ყველა დარგთან შედარებით, დასაქმებულთა მეტი რაოდენობა სწორედ ამ სფეროშია. ალბათ, საკმარისი იქნება, თუ ვიტყვით, რომ მილიონზე მეტმა ოჯახმა უკვე კერძო საკუთრებაში ან იჯარით მიიღო სასოფლო-სამეურნეო მიწები.

ახლა გაზაფხულია და ყოველი საათის გამოყენება საშური საქმეა. დღეს, შეცვლილ გარემოში, ცენტრიდან მართვა ნაკლებად ეფექტიანია, მით უფრო, როცა სამინისტროს ფუნქციები რადიკალურად შეიცვალა. მის ძირითად ამოცანად იქცა მეწარმეთათვის ხელშემწყობი პირობების სამართლებრივი ბაზის ფორმირება, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მიმდინარე პროცესების ანალიზი და უახლესი და შორეული პერსპექტივისათვის გამოსადეგი დასკვნების გაკეთება.

ვფიქრობ, სწორად მოვიქეცით, როცა რეგიონული საგაზაფხულო თათბირების ჩატარება გადავწყვიტეთ. ეს საშუალებას მოგვცემს უფრო ღრმად გავერკვეთ დღევანდელ მდგომარეობაში, შევაჯეროთ ჩვენი აზრები სამხარეო და რაიონული რგოლის ხელმძღვანელობასთან, მეწარმეებთან, აღმოვუჩინოთ მათ შესაძლო დახმარება სასუქებით, შხამ-ქიმიკატებით, საწვავით, თესლით, სარგავი მასალით უზრუნველყოფისა და ტექნიკის რაციონალურად გამოყენებაში. გავერკვეთ, რამდენად სწორად და ეფექტიანად სრულდება სამინისტროს მიერ დაშვებული ბრძანებები კომპლექსის განვითარების კარდინალურ საკითხებზე, კერძოდ, მიწების განაწილებისას დაშვებული შეცდომების აღმოფხვრის, მიწების იჯარით გაცემის საკითხებზე. მიგვაჩნია, რომ მიწის რეფორმა ეკონომიკურ რეფორმათა საფუძველია და მისი სწორად განხორციელება თავისუფალ მეწარმეთა სიცოცხლისუნარიანობის ჩამოყალიბების საფუძველი უნდა გახდეს.

იხ. გვ. - 6 გვ.

## ჩინიანმაც და უჩინომაც სოფელს უნდა მივხედოთ

1997 წელი საქართველოს ეკონომიკის გარდატეხის წელიწადია. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოფლად საგაზაფხულო სამუშაოების დროულად ჩატარებას. სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება რომ გაიზარდოს, სოფელზე უფრო მეტად უნდა ვიზრუნოთ. ადრე ყველაფერი ცენტრალიზებული წესით იგზავნებოდა. ზოგჯერ სასუქებს, შხამქიმიკატებს, თესლს იმდენს გვაწვდიდნენ, რომ უარსაც კი ვამბობდით. ის დრო წავიდა...

დღეს საბაზრო ეკონომიკის პირობებში საქმე სხვაგვარად არის. ყველამ თავის თავს თვითონ უნდა მიხედოს, ყველამ უნდა ვიშრომოთ...

ამ გაზაფხულისათვის მოსახნავდასათესია 507 ათასი ჰექტარი ფართობი, დღეისათვის მხოლოდ 156 ათასია მოხნული, რაც შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 62 ათას ჰექტარზე მეტია, მაგრამ, აბა, საერთო რაოდენობას შევადაროთ!..

საგაზაფხულო სამუშაოებს ჯადოსნური ჯოხით ვერ შევასრულებთ, საჭიროა მანქანები, საწვავსაპოხი, თესლეული. მარტო დიზელის საწვავი 3,8 ათასი ტონაა საჭირო. გვაქვს მხოლოდ 500 ტონა. დეფიციტია, აგრეთვე აზოტოვანი, ფოსფოროვანი და კალიუმიანი სასუქები.

საგაზაფხული სამუშაოების ორგანიზებულად და აგროტექნიკურ ვადებში ჩატარებისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა ბაკურ გულუამ გამოსცა ბრძანება, რომლითაც სოფლის მეურნეობისა და სურსათის რაიონულ სამმართველოებს, სახაზინო საწარმოებს და საზოგადოებებს შესაბამისი დავალებანი მიეცათ...

ამასთან, შეიქმნა ოპერატიული შტაბი, სადაც ყველა საკვანძო საკითხი წყდება:

კორპორაცია „საქაგროტექსერვისს" დავალებული აქვს მიწათმოსარგებლეთა საწარმოო მომსახურების გაუმჯობესება და მათთვის საჭირო რაოდენობის საწვავ-საცხები მასალების და მარაგ-ნაწილების მიწოდება;

„აგროსერვისმა" უნდა უზრუნველყოს ყველა კატეგორიის მიწათმოსარგებლე მინერალური სასუქებითა და პესტიციდებით. ხოლო თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციამ მეთოდური დახმარება უნდა გაუწიოს ყველა დაინტერესებულ პირს, რათა ყველგან კონდიციური თესლი დაითესოს.

დეფიციტის დაფარვა დაევალათ მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, სახაზინო საწარმოებს „მარცვალს" და „ბოსტანჯიმთესლს".

გაზაფხული დადგა და როგორც გავირჯებით, წლის მოსავალსაც ისეთს მივიღებთ. თუ გვინდა, რომ მოსახლეობის სასურსათო პრობლემა გადავწყვიტოთ, ჩინიანმაც და უჩინომაც სოფელს უნდა მივხედოთ. ეს საყოველთაო საზრუნავი და საფიქრალი უნდა გახდეს. სხვაგვარად საქმეს არ ეშველება.

დღესდღეობით რა მდგომარეობაა და როგორ მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები, მოგითხრობთ „დედოზარში" მოთავსებული მასალებით.

„საქართველოს რესპუბლიკის" სოფლის მეურნეობის რედაქცია ფართოდ გააშუქებს მიმდინარე საგაზაფხულო და სხვა სამუშაოებს. კარგი იქნება, თუ გამოგვეხმაურებიან სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მიწათმოქმედნი და ყველა, ვისაც გული შესტკივა და ვისაც უნდა, რომ უხვი სურსათსანოვაგე გვქონდეს.

საქართველოს რესპუბლიკა
№74. სამშაბათი, 1 აპრილი, 1997 წელი.

## ფიქრები

# კაბინეტში ხალხის მხარდაჭერის იმედით შევაბიჯე

**თენგიზ ოქროცვარიძე — საგარეჯოს რაიონის გამგებელი. სულ სამი კვირაა, რაც ამ თანამდებობაზე მუშაობს. ამ მაღალი სავარძლის შეთავაზება მისთვის ფრიად მოულოდნელი იყო, თუმცა დიდი აღფრთოვანებით შეხვედრია, რადგან კარგად ხვდება, რა მძიმე, რთული გზა ელის წინ.**

**იმ დღესაც მის სამუშაო კაბინეტში თათბირი ინყებოდა. რაიონის ყველა დაწესებულებისა და ორგანოს წარმომადგენლები შეკრებილიყვნენ. მაგრამ ბატონმა თენგიზმა მაინც მოახერხა ეამბნა ჩვენთვის ის ფიქრები და განცდები, რაც მისი დანიშვნის ბრძანებულებაზე ხელის მოწერის შემდეგ, პრეზიდენტის კაბინეტიდან თავის კაბინეტამდე, თბილისიდან საგარეჯომდე თან დაემგზავრა.**



საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულში დავიბადე და გავიზარდე, აქვე ვეზიარე შრომის მადლს და ჩემი ხალხის სიყვარულს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დავიწყე პატარძეულის მეცხვარეობის მეურნეობაში ეკონომისტად. ეს წლები ჩემთვის დაუვიწყარია იმიტომ, რომ გარდა ჩვენი მეურნეობისა, კარგად გავეცანი რაიონის ეკონომიკურ პოტენციალს, მის შრომისმოყვარე ადამიანებს, მათს ავსა და კარგს, გავეცანი და საკუთარი ფეხით მოვიარე ჩვენი რაიონის ველ-მინდვრები, სახნავ-სათესები, ბაღ-ვენახები, მეცხოველეობის ფერმები, შრომითი კოლექტივები.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. წლების განმავლობაში ვმუშაობდი რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროში, შემდეგ კი კახეთის რეგიონის კონტროლის პალატაში, მაგრამ მშობლიურ რაიონთან კავშირი არასოდეს გამიწყვეტია. სადაც უნდა ვყოფილიყავი, რაიონის ეკონომიკის მაჯისცემას ყოველთვის ვგრძნობდი, მასზე ფიქრი ყოველთვის თან მდევდა. იმ ავად მოსაგონარი წლების შედეგები, რომლის წყალობითაც გაპარტახდა ერთ დროს აყვავებული გარე კახეთის ეს ულამაზესი მხარე, ახლაც მძიმე ლოდად მაწევს გულზე.

ფიქრები ჩემდა უნებლიეთ მოჯარდა სადღეისო მტკივნეული საკითხების მოგვარებაზე და მეც ყველა კითხვაზე ერთსა და იმავე პასუხს ვაძლევდი: ყველაფერი, რაც იყო, ხალხმა შექმნა და მომავალშიც ხ[illegible]ს მხარდაჭერისა და გარჯილობის იმედი მაქვს.

საგარეჯოს რაიონი ოდითგანვე მემინდვრეობისა და მეცხოველეობის რაიონი იყო, სამი ათეული წლის წინათ განსაკუთრებული ყურადღება მევენახეობის განვითარებას მიექცა, ხოლო უფრო მოგვიანებით, თავისი ხვედრითი წილი დაიკავა მრეწველობამ, რომელიც საკმაოდ სწრაფად ვითარდებოდა.

იმ წლების სანდო მონაცემებით უდაბნოს მეცხვარეობის მეურნეობას 24 ათასი სული ცხვარი ჰყავდა. 100 ათას სულს ითვლიდა კერძო სექტორიც, ჰქონდა კარგი საკვები ბაზა და საზამთრო სადგომები. ახლა ყოველივე ეს მავანთა წყალობით გაპარტახებულია. დანგრევის პირას არის მისული სოფელ უდაბნოს საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები.

გარეჯელებმა 60-იან წლებში დიდი სიკეთე მიიღეს. აშენდა ივრის კაშხალი, მარჯვენა და მარცხენა მაგისტრალური სარწყავი არხები, რომლითაც საგარეჯოს რაიონში ათასობით ჰექტარი სახნავ-სათესი და ბაღ-ვენახები ირწყვებოდა. დღეისათვის სარწყავი სისტემა თითქმის მთლიანად გამოსულია მწყობრიდან. გასარწყავების წყალობით რაიონში ვიღებდით ათასობით ტონა მოსავალს, რაც რაიონის მოსახლეობას მთლიანად აკმაყოფილებდა მარცვლეულით.

იმავე ხანებში მუშაობდა გარეჯის მერძეული პირუტყვისა და გიორგიწმინდის მეღორეობის კომპლექსები, საგარეჯოსა და პატარძეულის მეფრინველეობის ფაბრიკები, რომლებიც მეცხოველეობისა და მეფრინველეობის პროდუქტებით ამარაგებდნენ რაიონისა და რესპუბლიკის ქალაქების მოსახლეობას.

საგარეჯოს რაიონი ძირითადად სასოფლო-სამეურნეო რაიონია, მაგრამ ერთ დროს გარკვეული ხვედრითი წონა მოიპოვა მრეწველობამ. საკმარისია აღინიშნოს, რომ აქ ფუნქციონირებდა ავტოშემკეთებელი, საბურავების შემკეთებელი, საკონსერვო, რკინა-ბეტონის, საშენ-მასალათა, ყველ-კარაქის და სხვა მსხვილი და წვრილი საწარმოები. ეს საწარმოები დღეისათვის, ელექტროენერგიის დეფიციტის გამო, უმოქმედოდაა. გარდა ამისა, საწარმოთა უმრავლესობა ნედლეულს იღებდა მეზობელი რესპუბლიკიდან, გამოშვებული პროდუქციის გასაღებაც იქვე ხდებოდა.

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს მევენახეობაშიც. მართალია, ვენახების პრივატიზაცია მოხდა, ხოლო ნაწილი არენდით გაიცა, მაგრამ ვენახების საკმაოდ დიდი ნაწილი მოსახლეობამ გაკაფა, რაც შემორჩა, მოკლებულია აგროტექნიკურ დროულ მომსახურებას. ამას შედეგად მოსავლიანობის მკვეთრი დაქვეითება მოსდევს.

მიზეზი, რამაც ჩვენი ცხოვრების დონის დაქვეითება და დაცემა გამოიწვია, ფართო საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი. საგარეჯოს რაიონი ერთ-ერთი მომიჯნავე რაიონია თბილისისა და რუსთავისა, საიდანაც სიკეთესთან ერთად, სწრაფად ვრცელდება ჩვენი ცხოვრებისა და ყოფისათვის მიუღებელი მანკიერებანი, დანაშაული. რაიონში წლების მანძილზე პარპაშობდნენ თვითმარქვია პატრიოტები. ვინც რას მოისურვებდა, იმას აკეთებდა, განუკითხაობას და დანაშაულს ბოლო არ უჩანდა: მკვლელობა, ძარცვა-გლეჯა, პირუტყვის დატაცება, ადამიანის გატაცება, საზოგადოებრივი ქონების მითვისება, განუკითხაობა, მოსახლეობის აბუჩად აგდება, თვითნებობა – რაიონის ცხოვრების ნორმად იქცა. ერთ დროს თავმოყვარე, შრომისმოყვარე, პატიოსანი გარეჯელები დააბეჩავეს, დათრგუნეს, დააშინეს, მათთვის საარსებო წყაროს – შრომას მოსწყვიტეს, ხოლო წლების მანძილზე ხალხის მიერ შექმნილი დოვლათი იავარქმნეს, მაგრამ ბოლოს სამართალმა პური ჭამა – მისაზღვევლს მიეზღო, ზოგიც ელოდება თავის განსასჯელს.

მოშლილ და გაპარტახებულ მეურნეობას ზედ დაერთო გასული წლის გვალვები, ხანგრძლივი ქარები და სეტყვა. საგარეჯოს რაიონი უბედურების ზონად გამოცხადდა. საწვავის დეფიციტის გამო სანახევროდ, აგროვადების დარღვევით მოიხნა და დაითესა საშემოდგომო თავთავიანი კულტურები, მევენახისა და აგრონომის მზრუნველი ხელი აკლდა ზვრებსა და ხეხილის ბაღებს, ელექტროენერგიის დეფიციტის გამო, რაც დღეისათვის კვლავ გრძელდება, ვერ ამუშავდა ძირითადი სამრეწველო საწარმოები და სხვა მრავალი.

**აი, ფიქრები, რომლებიც ახალ კაბინეტში შესვლამდე მეძალებოდა და მაშფოთებდა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, პასუხი ერთადერთი იყო, — ყველაფერი, რაც გვქონდა, ხალხმა შექმნა, ამ მარადიულმა და უკვდავმა ფენომენმა, მხოლოდ ხალხის მხარდაჭერისა და მისი შემართების იმედით შევაბიჯე კაბინეტში. ვფიქრობ, კარგად გამიგებენ გარეჯელები, — ჩვენ ხომ ერთი და იგივე მიზანი გვამოძრავებს.**

**თენგიზ ოქროცვარიძე.**

# ერთობლივი ძალისხმევით დიდი საქმე გაკეთდება

სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რეორგანიზაცია, რომელიც „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად ხორციელდება. პროცესი გაჭიანურდა, მაგრამ იგი ბოლომდე უნდა იქნეს მიყვანილი. მთავარია, რეფორმა ისე განხორციელდეს, რომ ახალი სამეურნეო ფორმები სრული ნებაყოფლობის საფუძველზე, წარმოების მაქსიმალური ეფექტიანობის გათვალისწინებით შეიქმნას.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ადგილებზე საკონსულტაციო სამსახურების შექმნა, რომლის პროექტიც უცხოელი სპეციალისტების დახმარებით მუშავდება. ისინი გადამწყვეტ როლს შეასრულებენ ახალ პირობებში მეურნეობის გაძღოლის ფორმებისა და მეთოდების შერჩევაში, მეწარმეების ტექნოლოგიური და ეკონომიკური ინფორმაციის უზრუნველყოფის, მთლიანად სამარკეტინგო მომსახურების განვითარებაში.

ყველაზე რთულ პრობლემას დღევანდელ მეწარმეთათვის საკრედიტო რესურსებით უზრუნველყოფა წარმოადგენს. შექმნილი მძიმე ვითარებიდან გამოსვლის ერთ-ერთი გზაა სოფლის საკრედიტო კავშირების ქსელის გაფართოება. მათი ანალოგები უკვე შეუდგნენ მუშაობას კასპის რაიონის სოფელ კავთისხევში, სიღნაღის, ლანჩხუთისა და ხობის რაიონებში.

გაგრძელდება მუშაობა უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელშემწყობი პირობების შესაქმნელად. ინვესტიციების მოზიდვა სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულება იქნება, რამდენადაც იგი მიჩნეულია წარმოების გამოცოცხლების აუცილებელ პირობად. ჩვენი ამოცანაა, რაც შეიძლება მეტი ოჯახი და საწარმო მოიცვას ინვესტიციებმა.

აკი მოგახსენეთ, საქმეს ბოლო არ უჩანს... დაე, ყოველთვის მუხლმაგარი და შემართული ყოფილიყოს გაზეთი „დედოზარი“, დაე, მუდამ იგუგუნოს და სამრეკლოდან ქუდზე კაცს მოუხმოს, რადგანაც ეს ქვეყანას ძალზე სჭირდება.

დასასრული. დასაწყისი იხ. მე-5 გვერდზე.

**ბაკურ გულუა,**
სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი.

## ინფორმაცია

### სამინისტრო რეგიონებში გავიდა

საგაზაფხულო სამუშაოთა ორგანიზებულად ჩატარების დამატებით ღონისძიებებთან დაკავშირებით სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტრო სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელობასთან ერთად აწყობს ზონალურ თათბირებს.

ასეთი თათბირები უკვე გაიმართა კახეთის, ქვემო და შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში, მალე დასავლეთ საქართველოს ეწვევიან.

თათბირებში მონაწილეობენ მხარის რწმუნებულები, რაიონის გამგებლები, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს წამყვანი სპეციალისტები, მიწის რესურსებისა და კადასტრის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობების ხელმძღვანელები.

### ქობულეთის სემინარები

უსხოური და ადგილობრივად წარმოებული საკვები პროდუქტების დაბალი ხარისხი, ჰიგიენურად დაუცველი, ანდა სულაც ფალსიფიცირებული საკვები პროდუქტების მოხმარების საკითხებზე იყო საუბარი გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება **GTZ** წარმომადგენლებთან, რომლებიც პროდუქციის ხარისხის პროგრამას ამუშავებენ. მათ მიაჩნიათ, რომ თავდაპირველად ისეთი კანონპროექტია შესაქმნელი, რომელიც სურსათის ძირითად საკანონმდებლო ნორმებს მოიცავს.

კანონპროექტის კონცეფცია შეიმუშავეს 16-21 მარტს ქობულეთში გამართულ სემინარზე. გერმანელთა მხარის წარმომადგენლების განმარტებით ქართულმა მხარემ ისეთი გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს, რომლითაც მოწესრიგდება კვების პროდუქტების მართვა და კონტროლი.

### ფქვილის ხარისხი უნდა გაუმჯობესდეს

პურპროდუქტების სისტემის რეფორმათა ორგანიზებულად და დროულად დასრულებისათვის სახელმწიფო კომისიის სხდომაზე, რომელსაც სოფლის მეურნეობის და სურსათის მინისტრი ხელმძღვანელობდა, სხვა საკითხებთან ერთად ისიც აღინიშნა, რომ უკანასკნელ ხანს ქვეყანაში გაიზარდა მცირე სიმძლავრის პურსაცხობების რაოდენობა და ისინი იმის გამო, რომ ჩვენი წისქვილქარხნები შედარებით დაბალი ხარისხის ფქვილს უშვებენ, იძულებულნი არიან შედარებით ძვირად შეიძინონ იმპორტული ფქვილი. ამიტომ საჭიროა წისქვილქარხნების ხელმძღვანელობამ დროულად იზრუნოს ფქვილის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

### კრედიტები საგაზაფხულო სამუშაოებისათვის

„საქაგროსერვისმა“ შემოიტანა სასუქები, მცენარეთა დაცვის საშუალებები და ქიმიური პროდუქცია. შეგახსენებთ, რომ სამინისტროს შენობაში მოქმედებს ევროგაერთიანების პროექტი, რომელიც ბანკების მეშვეობით გასცემს კრედიტებს საგაზაფხულო სამუშაოებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მარჯვენის იმედით

# კარგ ხელზე ჩაგეგდოს თესლი მიწაში, მხვნელ – მთესველო!

*საქართველო კლიმატურ-ნიადაგობრივი პირობების მიხედვით 22 ზონად არის დაყოფილი, სადაც მოჰყავთ მარცვლეული, ზეთოვანი, ტექნიკური, ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები, ვენახი, ჩაი, ციტრუსი...*

*ყველა კატეგორიის მეურნეობაში 1997 წლის გაზაფხულისათვის მოსახნავ-დასათესია 507 ათასი ჰექტარი, 15 თებერვლისათვის კი 120 ათასი, ანუ მთლიანი დასათესი ფართობის 23 პროცენტია მოხნული, რაც შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 62 ათასით მეტია. დაწყებულია ვაზისა და ხეხილის გასხვლის, აგრეთვე რწყვის სამუშაოები.*

*მიუხედავად განხორციელებული ღონისძიებებისა, ცალკეულ რაიონებსა და საწარმოებში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის მზადებისა და აგროსასურსათო სფეროს საწარმოთა რეფორმები. კვლავ ნაკლები ყურადღება ექცევა სოფლად აგროსაინჟინრო სერვისული საწარმოების შექმნას, რაც თავის მხრივ აფერხებს მეწარმეთა გამართულ მუშაობას და მთლიანად სამუშაოების აგროვადებში დამთავრებას.*

*ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე გვიპასუხა სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის პირველმა მოადგილემ ვლადიმერ გვარჯალაძემ.*

### ვისაც პური აქვს, ძლიერია

საქართველო მიწათმოქმედების უძველესი კულტურის ქვეყანაა, მარტო იმის აღიარება, რომ მსოფლიო მეცნიერებისათვის ცნობილი ხორბლის 21 სახეობიდან ჩვენთან 12 სახეობა გვხვდება, რომელთაგან 5 ენდემურია, საფუძველს გვაძლევს ვიამაყოთ. მართალია, დოლის პური, მახა, ჩელტა, ზანდური, იფქლი, დიკა, ხულუგო, შავფხა და სხვა ჯიშები სამრეწველო ნათესებში აღარ ჩანან, მაგრამ იმის გამო, რომ მაჟნებელ-დაავადებისადმი მეტად მედეგი, ჩაწოლისადმი გამძლე და მაღალი გემური თვისებისანი არიან, როგორც ქართველი, ისე უცხოელი სელექციონერებისათვის ძვირფას სასელექციო მასალას წარმოადგენენ.

დღეს ხორბლის სელექცია მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მიმდინარეობს (საცდელ სადგურებთან ერთად), უკანასკნელ წლებში შექმნილი და დარაიონებულია რბილი და მაგარი ხორბლის ჯიშები „აისი", „დედა" „მუხრანი", „ვარძია", „ქინვალი", „ტაბახმელა" და ა.შ.

იმისათვის, რომ გვქონდეს საკუთარი მეთესლეობა, დატვირთვით დაიწყო მუშაობა ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო კომისიამ. პერსპექტიულობის გამოსავლინებლად იცდება როგორც ადგილობრივი, ისე ინტროდუცირებული ჯიშები და ჰიბრიდები. შარშან ჯიშთა გამოცდის სადგურში იცდებოდა ამერიკული ხორბლის 12 ჯიში, წარმოების შედეგების ერთი წლის ანალიზმა, რომელიც გათვალისწინებული იყო თესვის სხვადასხვა ნორმებზე დაკვირვებისათვის, გვიჩვენა, რომ არც ერთ შემოტანილ ჯიშს შესამჩნევი უპირატესობა არ ჰქონდა. ცდები 1997 წლის მოსავლისათვის გრძელდება. დღეისათვის ქვეყანაში მარცლეული მეურნეობის მიმართ აშკარა შემობრუნება იგრძნობა, ეს პირველ რიგში იმით გამოიხატება, რომ იზრდება მარცვლეულის ნათესები და 1997 წლის მოსავლისათვის 445 ათას ჰექტარს დაიკავებს.

ქვეყნის ყველა კატეგორიის მეურნეობაში საშემოდგომო მარცვლეული კულტურები დათესილია 182,5 ათას ჰექტარზე, აქედან ხორბალი 163 ათას ჰექტარზე. ასეთი მაჩვენებელი არ გვქონდა უკანასკნელი 27 წლის მანძილზე. თებერვლის პირველი დეკადისათვის ნათესების მდგომარეობა ასეთ სურათს იძლევა:

35 ათასი ჰექტარი, ანუ მთლიანი ნათესის 19 პროცენტი კარგი განვითარებისაა, საშუალოა 119 ათასი, 65 პროცენტი, ხოლო 28 ათასი ჰექტარი, ანუ 16 პროცენტი სუსტი განვითარებისაა.

თებერვლის პირველ დეკადაში თოვლის მოსვლით შეიძლება ითქვას, რომ ნათესები დალუპვისაგან გადარჩა, ნალექები ხომ საუკეთესო წინაპირობაა საგაზაფხული კულტურების ხვნა-თესვისათვის, თუმცა შემოდგომა-ზამთრის გვალვებმა თავისი მაინც გააკეთა.

ადრე გაზაფხულზე უნდა შევძლოთ და გამოიკვებოს 160 ათასი ჰექტარი თავთავიანების ნათესები, (გამოკვებილია 100 ათასი ჰექტარი) რისთვისაც 32 ათასი ტონა აზოტოვანი სასუქია საჭირო. ნაშთის სახით რაიონებში ინახება 1200 ტონა, დეფიციტად დარჩენილი 30.8 ათასი ტონის შესასყიდად საჭირო იქნება 3.388 ათასი აშშ დოლარი.

ამის გარდა საჭიროა 7120 ათასი დოლარის 71 ათასი ტონა ფოსფორიანი და 665 ათასი დოლარის 8 ათასი ტონა კალიუმიანი სასუქი, მთლიანად 23554,8 ათასი აშშ დოლარის 224 ათასი ტონა მინერალური სასუქი.

ძირითადი საგაზაფხულო კულტურების თესვის პროგნოზების შესასრულებლად ყველა კატეგორიის მეურნეობაში მარცვლეული კულტურები 265 ათას ჰექტარზე უნდა დაითესოს, აქედან სიმინდი 23, მზესუმზირა 40, სოია 5, შაქრის ჭარხალი 1, კარტოფილი 30, ბოსტნეული 35, ბაღჩეული 7, საკვები კულტურები 121 და სხვა დანარჩენი 3,0 ათას ჰექტარზე.

ამ სამუშაოების შესასრულებლად მომზადებულია სახნავი ტრაქტორების 69 პროცენტი, სათესების 66, კულტივატორების 67, გუთნების 77, სასუქების გამფანტველების 66 პროცენტი. ნაწილობრივ მომარაგებულია სახნავი ტრაქტორებისა და გუთნების სათადარიგო ნაწილები.

# ჟამი ხვნისა და თესვისა

### შარშანდელმა შეცდომამ უნდა დაგვაფიქროს

მარცვლეული კულტურების დასათესად საგაზაფხულო მარცვლეულისა და მარცვალ-პარკოსანი კულტურების 13,7 ათასი ტონა თესლია საჭირო. რაიონების სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოების ოპერატიული მონაცემებით საგაზაფხულო თავთავიანების თესლეულით უზრუნველყოფისათვის დეფიციტი არ შეიქმნება, რაიონების მიწათმოსარგებლეები საჭირო რაოდენობის თესლით დაკმაყოფილდებიან, ამასთან სახაზინო საწარმო „მარცვალს" რაიონებს შიგნით დეფიციტის შესავსებად შეუძლია გასცეს 65 ტონა შვრიის, 80 ტონა ჯიშიანი სიმინდის, 6 ტონა ესპარცეტის, 2 ტონა იონჯის თესლი, აგრეთვე 9 ტონა კარტოფილის სარგავი მასალა. მიწათმოქმედების ს/კ ინსტიტუტის სახაზინო საწარმოებში სარეალიზაციოდ მზად არის 51 ტონა საგაზაფხულო ხორბლის, 137 ტონა საგაზაფხულო ქერის და 26 ტონა სიმინდის, მათ შორის 68 ტონა ჰიბრიდის თესლები. აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ საზამულე ჰიბრიდები შესაძლებლობითა და უნარით არაფრით ჩამოუვარდებიან შემოტანილს, რომლებმაც შარშან მეტად სავალალო შედეგები მოგვცეს, რამაც ბევრ მიწათმოქმედს იმედი გაუცრუა და უკიდურეს სასოწარკვეთაში ჩააგდო. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ სამინისტროს არ აცნობეს მისი შემოტანა, ამერიკული ორგანიზაცია „ეი-სი-დი-აი"-ს შერჩეულმა გამავრცელებლებმა თესლეულის ხარისხი არ შეამოწმებინეს თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო კომისიას, წინასწარ არ შეისწავლეს ნიადაგურ-კლიმატური პირობები, რაც შემოტანილი ჰიბრიდებისაგან განსაკუთრებით მაღალ ფონზე უნდა ყოფილიყო დადგენილი. ასე ხელაღებით, არაპროფესიონალი სპეციალისტების მიერ, რაღაც 2-3 დღეში თარგმნილი რეკომენდაციებით კი ირწმუნებოდნენ, რომ ამერიკული ხიმინდის თესლი გაცილებით სჯობია ადგილობრივ ჯიშებსა და ჰიბრიდებს, რომ თესვის ნორმა 15-18 კგ-მია და ჰექტარიდან შესაძლოა 10-12-14 ტონის მიღებაო და ა.შ. ყოველივე ეს მტკნარი სიცრუე გამოდგა. ეს იყო თვითრეკლამა თესლის გავრცელებისათვის. მთელი რიგი რაიონების მიწათმოსარგებლეებმა მიიღეს 12 მლნ ლარზე მეტი ზარალი. სამინისტრომ ეს საკითხი სხვადასხვა რაიონებში შეისწავლა და აღმოჩნდა, რომ თესლი უკონდიციო იყო. შემოწმებით დადგინდა, რომ ზოგიერთი ჰიბრიდის თესლის გაღივების ენერგია და აღმოცენების უნარი ძალიან დაბალი იყო და ამიტომ მისი თესვა არ შეიძლებოდა. მრავალჯერადმა გადათესვებმაც შედეგი არ გამოიღო. სამინისტრომ „ეი-სი-დი-აი"-საგან ზარალის ანაზღაურება კატეგორიულად მოითხოვა. ამ საკითხის დადებითად გადასაწყვეტად მოლაპარაკება დღესაც მიმდინარეობს.

ერთი უდავოა, სამინისტრო მომავალში აღარ დაუშვებს, რომ საზღვარგარეთულმა ორგანიზაციებმა დაუკითხავად გაავრცელონ დაურაიონებელი და ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო სადგურებში შეუსწავლელი სასოფლო–სამეურნეო კულტურების ჯიშები და ჰიბრიდები.





წლეულს სეზონისათვის რესპუბლიკაში 230 ათას ჰექტარზე დასათესად საჭიროა 6,2 ათასი ტონა სიმინდის თესლი. ოპერატიული მონაცემებით გამოყოფილი რაოდენობა საკმარისია.

ნუ მობრუნდება განვლილი წელი!

40 ათასი ჰექტარის დასათესად საჭიროა 400 ტონა მზესუმზირის თესლი, სამწუხაროდ, ქვეყანაში არ გვაქვს მისი მეთესლეობა და ამიტომ ყოველთვის შემოგვქონდა. ამ ბოლო დროს თესლითა და ტრანსპორტის სიძვირის გამო შემოტანა გაძნელებულია, რის გამოც მასობრივი რეპროდუქციის თესლი ითესება. ამას ისიც დაერთო, რომ 2 წელიწადია ნათესებს უჩვეულო გვალვები ანადგურებს, შარშან 40 ათას ჰექტარზე მეტი დაილუპა, გადარჩენილ ფართობზე მიღებული მარცვალი კი ბეიტი და უხარისხოა, ამიტომაც 230 ტონა თესლის დეფიციტი გვექნება, რომელიც შემოტანილმა უნდა შეავსოს, ოღონდ მან ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო სადგურებში უნდა გაიაროს და პარალელურად ფართო საწარმოო ცდები ჩატარდეს.

### ჰოლანდიური თესლი

ქვეყანაში 1997 წლის გაზაფხულზე კარტოფილი 30 ათას ჰექტარზე უნდა დაითესოს. საჭიროა 105 ათასი ტონა თესლი. ბოლნისის რაიონში მთავრობის დაფინანსებით შემოვიდა 150 ტონა სააღრეო კარტოფილის სხვადასხვა ჯიშები. მთლიანად რაიონის მოსახლეობაში 1200 ჰექტარი დაითესება. თესლი მომარაგებულია. მარნეულის რაიონში კი წლეულს სააღრეო კარტოფილი 500 ჰექტარზე დაითესება. მომარაგებული აქვთ 1500 ტონაზე მეტი. აგრეთვე გერმანიის ტექნიკური დახმარების საზოგადოების ხელშეწყობით შემოვა 60 ტონა სათესლე კარტოფილი.

სამწუხაროა, რომ საქართველოში კარტოფილის მეთესლეობა არ გვაქვს და ადრეულ წლებშიაც ეს მტკივნეული პრობლემა იყო, იგი დღესაც გადაუწყვეტელია. საჭიროა გამოინახოს საკრედიტო საშუალებები, რომ ქვეყანაში კარტოფილის სელექცია – მეთესლეობა გვქონდეს, თუმცა იგი ძვირადღირებული ღონისძიებაა, მაგრამ აუცილებელია, რადგან ქვეყანას ისეთი ბუნებრივი პირობები აქვს, რომ შეუძლია კარტოფილის მოთხოვნილება თვითონვე დაიკმაყოფილოს და საკუთარი თესლიც ჰქონდეს.

ეს საკითხი დადებითად უნდა გადაწყდეს, რადგანაც ყოველწლიურად 100 ათასი ტონა სარგავი მასალა გვჭირდება. საქართველოს ყოველი სეზონისათვის 10 ათასობით ლარის თესლის შეძენა გაუჭირდება, ამასთან გაიზრდება პროდუქციის თვითღირებულება, რაც თავისთავად ისევ მოსახლეობას დააწვება.

### მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა ბოსტნეული

ბოსტნეული ყველა კატეგორიის მეურნეობაში დასათესია 35 ათას ჰექტარზე. სახაზინო საწარმო „ბოსტანჯიშთესლს" მხოლოდ 50 ტონა სხვადასხვა სახის თესლეული გააჩნია, რომელიც სპეციალურ მაღაზიაში იყიდება. უკანასკნებლ წლებში რესპუბლიკაში ველარ იწარმოება საკმარისი რაოდენობის წინასაბაზისო თესლი და „ბოსტანჯიშთესლის" სახაზინო საწარმოები თესლეულს ველარ ამრავლებენ.

სხვადასხვა ბოსტნეულის თესვის ვადების გათვალისწინებით კიდევ არის შესაძლებელი რუსეთის ფედერაციის ასოციაცია „სემენადან" წინასწარი გადარიცხვის შემთხვევაში შემოვიტანოთ ქვეყანაში უკვე გამოცდილი ჯიშებისა და ჰიბრიდების თესლები, მაგრამ უთანხმოების გამო ამას ვერ ვაკეთებთ.

აქვე უნდა ითქვას, რომ ყველას, ვისაც ხელეწიფება, შემოაქვს სხვადასხვა ბაღჩეულ-ბოსტნეულის თესლი, რომლებიც შეუმოწმებელი და ხშირ შემთხვევაში ვადაგასულია და თანაც საკმაოდ ძვირადღირებული.

წლეულს თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციას პირველად მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქართველოს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა, რომ შეემოწმებინათ მათთვის ჰუმანიტარული გზით შემოსული 5 ტონა სხვადასხვა ბოსტნეული კულტურების თესლი.

... საქართველოს ველ-მინდვრებში საკმაოდ დიდი თოვლი მოვიდა, ეს კი დიდი მოსავლის მაუწყებელია, მარტის დასაწყისიდანვე კახეთსა და ქართლში უკვე საგაზაფხულო თავთავიანი კულტურების თესვა დაიწყება.

კარგ ხელზე ჩაგეყაროს თესლი, მთესველო, ერს დღეს შენი მარჯვენის იმედი აქვს.

ესაუბრა
**ნაზი იმნაიშვილი.**

## რეპორტაჟი

# ნეტავ რას მოიტანს ეს გაზაფხული?

საგარეჯოში, მუა ქალაქში, მევენახის სახლი კარგახანია ააშენეს. იგი არქიტექტურით სხვა შენობებისაგან აშკარად განსხვავდება. შენობა წითელი ქართული კრამიტით არის დახურული და ერთი შეხედვით გადაბრუნებულ ვეებერთელა თიხის ჯამს მოგაგონებთ. ისე უხდება სახურავის თავიდან მიწისკენ დაშვებული რკინა-ბეტონის ნაცრისფერი ზოლები, როგორც კახური ნაბდის ქუდს ყაითანი.

ეს უნიკალური ნაგებობა კახელ მევენახესავით ჯმუხი და გულგახსნილია. ლონივრად დგას მიწაზე, როგორც საგარეჯოელი ფალავანი და ისე მკვიდრადაა ნაშენი, ალბათ საუკუნეებს გაუძლებს. ერთი ეგ არის, მუდამ ხალხმრავალი სახლი თითქმის დავიწყებიათ და ლამის ეშმაკები დაეპატრონოს.

დღეს აქ სააქციო საზოგადოება „საქაგროსერვისს" თათბირ-სემინარის ჩატარება განუზრახავს, კარგია, სახლი ცოტახანს მაინც განიავდება და ახმაურდება. თორემ მის სხდომათა დარბაზში და დერეფნებში, ჰაერი ნამეტნავად დამძველებულა.

მარანში, ვეშაპივით გაწოლილ, ერთი ხისაგან გამოთლილ, მამა-პაპურ საწნახელს, მგონი, ჭია გასჩენია. მის წინ ჩაყრილი ქვევრების კედლებსაც ალბათ ობი მოეკიდა. ერთი სული მაქვს სარქველე ავხადო და ქვევრში ჩავიხედო...

სახლის ეზო-ყურეს, იქვე გაშენებულ ვენახს, შორიდანაც აშკარად ეტყობათ, რომ მევენახის ალერსი და მისი მარჯვენის მადლი მოჰკლებიათ. ვენახში ზოგიერთი ბეტონის ამოსაყენებელი უკვე „წამოწოლილა", ზოგიც ახლა აპირებს. საწყალ მრუდე ვაზებს ბალახი მორევიათ და ობლებივით გამოიყურებიან, მათში აქა იქ სიცოცხლეშეწყვეტილსაც დაინახავთ. დანარჩენებს სამამულე დიდი ტანჯვაწვალებით გამოუზრდიათ და ახლა ისინი ჩამქრალი თაფლის სანთლებივით მოჩანან. ულონო მზეს მიფიცხებულან და თვლემენ. ნეტავ, რას მოუტანს მათ წლევანდელი გაზაფხული?

მევენახის სახლი და მისი ეზო-ყურე ჩვენი დღევანდელი აფუტკნილი ცხოვრებისა და ეკონომიკური სიდუხჭირის ერთ-ერთი მკაფიო ნიმუშია... სამაგიეროდ უფლება გვაქვს „დავიკვეხოთ", რომ ეკონომიკა ისე საფუძვლიანად ჯერ არავის დაუნგრევია, როგორც ეს ქართველობამ შეეძელით.

ქვეყნის მოძრავ-უძრავი ქონება თითქმის ნაცარტუტად ვაქციეთ!... ისე რომ, დღევანდელ ჩვენს დუხჭირ ცხოვრებას ნურც დავაბრალებთ ვინმეს და ნურც ვუსაყვედურებთ. ფაფა, რომელსაც, გვინდა თუ, არა, მაინც „მივირთმევთ", ჩვენ თვითონ მოვხარშეთ...

მადლობა გამჩენს, რომ სოფელი მაინც მთლიანად არ განადგურდა. ამას ისევ გლეხის შრომისმოყვარეობას და მის მტკიცე ხასიათს უნდა ვუმადლოდეთ, იმ ხასიათს, რომელიც ჟამთა ცვალებადობის ქურაში იწრთობოდა.

სწორედაც, რომ, დღეს კვლავ სოფლის იმედი უნდა გვქონდეს. ისევ მიწათმოქმედი გადაგვარჩენს, რადგან მხოლოდ მან იცის მიწის ანა-ბანა, მხოლოდ მას ძალუძს აიძულოს მიწა-წყალი, რომ ხვავი და ბარაქა გამოიმეტოს.

ამიტომ, სხვა გზა არა გვაქვს. ნამდვილ მშრომელს ყოველთვის უნდა ვეფეროთ. მუდამ სხვისი მაზიარებელი უზიარებლად არ უნდა დავტოვოთ: მოვეხმაროთ, ვანუგეშოთ იგი, ვინც თავისი დღე და მოსწრება მარჯვენას აწამებს, რომ ქვეყანას სარჩო-საბადებელი ჰქონდეს. თუმცა, თვითონ მას შრომისა და ცხოვრების პირობები ყოველთვის როდი აქვს. არადა, ჯიუტ მიწას მაინც ეჭიდება და „წვენს" აღენს მას.

მე თუ მკითხავთ, მიწათმოქმედი მხოლოდ შრომაზე და გართობაზე უნდა ფიქრობდეს. სხვა საწუხარი და სადარდებელი არ უნდა ჰქონდეს. სამრეწველო საქონელი (ყოველდღიური მოთხოვნილების მაინც), კარზე უნდა მივუტანოთ. ამისათვის იგი შორს არ უნდა მიდიოდეს, თუ გვინდა, რომ ბაზარი გაივსოს, გაიაფდეს და როგორც დღეს ამბობენ, „ცეცხლი" არ ეკიდებოდეს.

ამ სტრიქონებს, რომელიმე მიწათმოქმედი რომ წაიკითხავს, დარწმუნებული ვარ, მწარედ ჩაეცინება და იტყვის, – თუ ღმერთი გწამთ, ჩემი კუთვნილი პენსია თავის დროზე მომეცით, თორემ ფული რა ფერისაა ლამის დამავიწყდეს, მის მოლოდინში თვალ-გული გამომილამდა.

როგორ მოგწონთ? კაცმა 40-45 წელიწადი მიწასთან ჭიდილში გაატაროს, დაიმრიტოს, გაილიოს და პენსია, რაღაც თეთრები, თავის დროზე ვერ მიილოს. მიბრძანეთ, ამას გამართლება აქვს? სხვა რომ არაფერი, ეს ღვთის წინაშეც დიდი ცოდვაა. როგორ გგონიათ, მისი გამგებელი თავის ადგილზე უნდა იყოს?!

იმის მაგივრად, რომ პენსიონერი დარჩენილ წლებს უზრუნველად ატარებდეს და თავის ცხოვრებით კმაყოფილი იყოს, პირიქით ხდება, რა ქვია ამას?

ყველა მებრალება, საცოდავებს, ეს



საგარეჯოს რაიონი. მევენახის სახლი.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

რა დრო წამოეწიათ... ძალიან ბევრს სიცოცხლე გაუმწარდა, ლამის ბოლმამ დაახრჩოთ და დარდმა გადაიტანოთ. იმის გამო, რომ სამკვდროდ ორიოდე კაპიკი ჰქონდათ გადანახული, მშვიდად იყვნენ, ფიქრობდნენ სამათხოვროდ არ დავიმარხებითო და ისიც წაგლიჯეს, ანაბარი არ შეუნახეს. სად უნდა გამოჰყონ თავი?...

დარჩნენ ასე ღვთის ანაბარა და დღეს ბევრს იმედიც არა აქვს, რომ წარმოების საშუალებები სახელმწიფო მაღაზიაში შეიძინოს. მათ ბაზრისაკენ გავუშვირეთ ხელი და აკი ბევრმა მწარედ იწვნია კიდეც.

ზოგიერთი ჩვენი მევენახე, შარშან და შარშანწინ, ჭირისუფალივით დაღონდა. ისე იყო გამწარებული, დანა რომ დაგერტყათ სისხლი არ გადმოუვიდოდა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, კაცმა შვილივით ნაზარდი და ნალოლიავები ვაზი სიცოცხლეს თავისივე ხელით გამოასალმა. მერე და ამ ტრაგედიამ ჯეროვნად დააფიქრა ვინმე?..

ყველაფერი იქიდან მოდის, რომ ამ ბოლო წლებში (ვინ იცის, ეს გაზაფხული რას მოიტანს) მცენარეთა დაცვის პრეპარატები ქორვაჭრების ხელში აღმოჩნდა. ქვეყანაში შხამ-ქიმიკატების უქონლობამ მათ კარი ფართოდ გაუღო და იმათაც შემოზიდეს ფალსიფიცირებული, უხარისხო და ვადაგადაცილებული პრეპარატები. შემოზიდეს და ყიდდნენ სადაც კი მოესურვებოდათ. საკვები პროდუქტების გვერდითაც კი, მაგრამ კაციშვილი ხმას არ იღებდა, თითქოს არ არსებობდა სოფლის მეურნეობისა და სურსათის, გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროები, ეკოლოგიური პოლიცია, მათი ცენტრალური თუ მუნიციპალური სამსახურები...

დილების მეტროდან რომ გამოხვიდოდით, ტროლეიბუსის გაჩერებასთან მაინც (სამთო ქიმიის შენობის წინ), ჰაერი თითქმის მოწამლული იყო. იყიდებოდა ხელით დაფასოებული (დაუფასოებელიც) ძლიერი შხამ-ქიმიკატები. ჩვენს მეურნეებს მაინცდამაინც გული არ ენდობოდათ, მაგრამ იძულებით მაინც ყიდულობდნენ. რისკავდნენ, რადგან სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ...

ამ ღვთით ნაკურთხ ვაზს, ხეხილს, ბაღჩეულსა თუ ბოსტნეულს 500-ზე მეტი ჯურის „მტერი" ჰყავთ და, მცენარეს თავის დროზე თუ არ უმკურნალებ, მოსავალზე ხელი უნდა დაიბანო. მაგალითად, ვენახს ჭრაქის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური წამლობა აგროვადებში უნდა ჩაუტარდეს, თორემ ვაზზე მტევანი კი არა, კლერტიც აღარ დარჩება. ფოთოლიც დაიწვება და გასცვივა. ვენახი, ივნის-ივლისში, გვიანი შემოდგომისას დაემსგავსება.

და რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, ალბათ, თქვენც გინახავთ მავნებელდაავადებისაგან და სარეველისგან შელონებული, გაუბედურებული მცენარე. ჩვენდა სავალალოდ, მათ ჯერჯერობით ისევ შხამ-ქიმიკატებით უნდა ვუმკურნალოთ. მაგრამ იმდენი ახალი პრეპარატი გაჩნდა, მეურნემ აღარ იცის, რომელ დაავადებას რით უმკურნალოს, რა დოზა იხმაროს ან სად შეიძინოს ისინი, რომ იმედიანად იყოს.

დღეს აქ, მევენახის სახლში, სწორედ ამ პრობლემებზე ისაუბრებენ საგარეჯოსა და მეზობელი რაიონების „საქაგროსერვისის" წარმომადგენლები, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოების მუშაკები, აგროსპეციალისტები და მეურნეები. ამბობენ, სტუმრები მოსკოვიდანაც იქნებიანო...

მევენახის სახლის ეზო თანდათან ხალხმრავალი ხდება... ნაცნობ სახეებს ვხედავ. დიდი ხანია არ მინახავს ბატონი ოთარ ცომაია... ვესალმები... იგი სააქციო საზოგადოება „საქაგროსერვისის" თავმჯდომარედ აურჩევიათ. ეს თათბირ-სემინარი სწორედ ამ საზოგადოების ინიციატივით იმართება.

**— ბატონო ოთარ, ქათინაურში ნუ ჩამომართმევთ და დღევანდელი ღონისძიება უდაოდ დროული და საჭირო მგონია.**

# კონკურენტუნარიანი კვების პროდუქტები

## ანუ რისთვის გვჭირდება ბეტა - კაროტინი

ბეტა-კაროტინი – მცენარეული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებაა. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნივთიერებათა ცვლასა და ადამიანის ორგანიზმის ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის.

ეს არის ბუნებრივი პიგმენტი, რომელიც განაპირობებს ბოსტნეულის (გოგრა, სტაფილო) და ციტრუსოვანთა ნაყოფების (მანდარინი, ფორთოხალი) შეფერვას. ადამიანის ორგანიზმში მოხვედრისას კაროტინი A – ვიტამინის ერთ-ერთი წყარო ხდება. მას კიდევ პროვიტამინ A-საც ეძახიან.

კაროტინი აუმჯობესებს მხედველობას, ზრდის ორგანიზმის იმუნურ და საერთო წინააღმდეგობისუნარიანობას, ამცირებს ონკოლოგიურ და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების ალბათობას, იგი C და E ვიტამინებთან ერთად წარმოადგენს ბუნებრივ ანტიოქსიდანტს, რომელიც ებრძვის ქოლესტერინს. გროვდება რა არტერიების კედლებზე, ეს უკანასკნელი იწვევს ათეროსკლეროზს, რომელმაც თავის მხრივ შეიძლება გამოიწვიოს მიოკარდის ინფარქტი ან ინსულტი.

ბეტა-კაროტინი ებრძვის აგრეთვე თავისუფალ რადიკალებს – უჯრედებისა და ქსოვილების დამაზიანებელ ქიმიურად აქტიურ ნაწილაკებს. თავისუფალი რადიკალების წარმოშობის მიზეზები იმალება გარემოს არახელსაყრელ ფაქტორებში (დაჭუჭყიანებული ჰაერი, დასხივება, თამბაქოს კვამლის ბოლი, ალკოჰოლი, ფიზიკური და გონებრივი გადაღლა, ზოგიერთი სამკურნალწამლო საშუალება).

კაროტინზე ორგანიზმის დღიური მოთხოვნილება შეადგენს 5-6 მგ-ს. ჩვენს რაციონში ხილისა და ბოსტნეულის ნაკლებობის გამო, განსაკუთრებით გაზაფხულსა და ზამთარში, კაროტინის მოხმარება ჩვენს მოსახლეობაში არ აღემატება 1-1,5 მგ-ს.

ორგანიზმის კაროტინით უზრუნველყოფისათვის აუცილებელია მისი შემცველი სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების პრეპარატების განუწყვეტლივ მიღება. ამ პრეპარატებს უშვებენ აშშ-ს, შვეიცარიის, გერმანიის, ფინეთისა და სხვა ქვეყნების ფირმები. ეს უფრო ხშირად რბილი ჟელატინიანი კაფსულებია, რომლებიც შეიცავენ სუბსტანციის წვრილკრისტალურ დისპერსიას ცხიმზე, აგრეთვე მყარი კაპსულები, რომლებიც შეიცავენ ბეტა-კაროტინის მიკროკაპსულებს, კაროტინის შემცველი აბები და ა.შ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა ეს პროდუქტი შეიცავს სინთეზურ ბეტაკაროტინს. გაცილებით მეტად ფასობს კვების პროდუქტები, რომლებიც გამდიდრებულია ნატურალური კაროტინოიდებით. სწორედ ეს მოსაზრება გვამოძრავებდა ჩვენ, როდესაც ინსტიტუტში დავიწყეთ მუშაობა ნატურალური კაროტინით გამდიდრებული კვების პროდუქტების მისაღებად. ძირითადი მიზანი მაინც იყო იმის მცდელობა, რომ გამოგვენახა საქართველოში არსებული საკვები მცენარეული ნედლეულის რესურსების სამრეწველო გამოყენების ახალი მიმართულებები, რადგან აღნიშნული ნედლეული დღევანდელ პირობებში წარმოების გამოუყენებელი რეზერვის მდგომარეობაში აღმოჩნდა.

საქმე ის გახლავთ, რომ სსრკ-ს შემადგენლობაში ყოფნისას ჩვენ ხშირად ისეთ პროდუქტებს ვაწარმოებდით, რომელთა წარმოება საქართველოს პირობებში ეკონომიკურად გაუმართლებელია. მაგალითად, ეთერზეთების დარგში წარმოებული პროდუქციის 60-70 პროცენტი მიხაკის ზეთის შემცველი – ევგენოლური რეჰანის ზეთზე მოდიოდა, ამ ზეთის თითოეულ ლიტრში რუსეთი 300 აშშ დოლარის შესატყვის მანეთს გვიხდიდა, მაშინ როდესაც მსოფლიო ბაზარზე ნატურალური მიხაკის ღირებულება 2-3 დოლარს არ აღემატება. აღნიშნულის გამო საქართველოში მცენარეული ზეთების მწარმოებელი დარგი დაშლის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლისათვის კარდინალურად უნდა შეიცვალოს წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტი და შეიქმნას ახალი, კონკურენტუნარიანი პროდუქტები.

ერთ-ერთი ასეთი პროდუქტია ჩვენს ინსტიტუტში შექმნილი ბეტა-კაროტინით გამდიდრებული მცენარეული ზეთები, რომლებიც წარმოადგენენ მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიან სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების პროდუქტებს. აღნიშნულ ზეთებზე, როგორც ბავშვთა კვების პროდუქტებზე, დიდი მოთხოვნილებაა რუსეთის, ევროპისა და ამერიკის ბაზრებზე. საგულისხმოა, რომ ამ პროდუქტის წარმოებით შესაძლებელია მცენარეული ზეთების მწარმოებელი დარგის აღორძინების დაწყება.

ამასთან დაკავშირებით უადგილო არ იქნება, თუ აქ გავიხსენებთ ინგლისში შაქრის წარმოების განვითარების მაგალითს. ამ ქვეყანაში შეიქმნა მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი რაფინირებული შაქრის წარმოების ტექნოლოგია და საიმპორტო ნედლეულის გამოყენებით საექსპორტო შაქრის წარმოება აეწყო. დიდძალმა საექსპორტო შემოსავლებმა ის განაპირობა, რომ მთლიანად დაიფარა ქვეყნის მოთხოვნილება შაქარზე. დღესაც ინგლისი სრულად აკმაყოფილებს როგორც მოსახლეობის, ასევე მრეწველობის მოთხოვნილებას ამ პირველი საჭიროების კვების პროდუქტზე.

დღეს ჩვენ გვაქვს მსოფლიო ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი მცენარეული ზეთების მიღების ტექნოლოგია. მთავრობის მხრიდან სათანადო მხარდაჭერის შემთხვევაში იქმნება იმის შესაძლებლობა, რომ მნიშვნელოვანწილად დავძლიოთ მცენარეული ზეთების მწვავე დეფიციტის პრობლემა, რაც თავის მხრივ საქართველოში დასაბამს მისცემს მარგარინის, მაიონეზის და ბევრი სხვა პირველადი მოთხოვნილების კვების პროდუქტების სამამულო წარმოების განვითარებას.

წლეულს ჩვენს ინსტიტუტში კაროტინით გამდიდრებული კიდევ ერთი პროდუქტი შეიქმნა. ეს არის ციტრუსის ჯემი. გარდა კაროტინისა, ეს პროდუქტი დიდი რაოდენობით შეიცავს აგრეთვე ვიტამინ P-ს, – პექტინს. ამ უკანასკნელის არსებობა კი მიუთითებს პროდუქტის რადიოპროტექტორულ თვისებებზე, ე.ი. მისი მოხმარებით ადამიანის ორგანიზმიდან გამოიდევნება რადიაქტიული ნივთიერებები და მძიმე მეტალები.

აღნიშნული პროდუქტის წარმოება წლეულს ქუთაისის მერის ბატონ თემურ შაშიაშვილის უშუალო ინიციატივით და თანადგომით დაიწყო. დარწმუნებული ვარ იმაში, რომ თანამედროვე ტარაში დაფასოების შემდეგ ციტრუსის ნაყოფის ქუთაისური ჯემი საქართველოში ერთ-ერთი ძირითადი საექსპორტო კონსერვი გა-

– ხვალ-ზეგ საგაზაფხულო სამუშაოები გახშირდება, – ღიმილით ამბობს იგი, – და გვინდა ხმამაღლა ვთქვათ, თუ როგორ მოემზადა „საქაგროსერვისი“ და წლევანდელი სეზონისათვის კიდევ რა აქვს განზრახული.

**— ალბათ, მდგომარეობა გამოასწორეთ, თორემ შარშან და ცოტა ადრეც, როცა „საქსოფლნაყოფიერება“ გერქვათ, ასეთი სურვილი არ გქონიათ.**

– იმიტომ, რომ ოთხმოციან წლებში თუ ქვეყანაში 200 ათას ტონაზე მეტი სასუქი და 25-30 ათას ტონამდე მცენარეთა დაცვის პრეპარატები შემოდიოდა. ამ ბოლო წლებში მათი რაოდენობა იმდენად შემცირდა, ხსენებაც კი უხერხულია, – ამბობს ბატონი ოთარი და უკვე შემოსული მოსკოველი სტუმრების შესახვედრად განეწყო...

– ფირმა „სიბას“ მენეჯერები დსთ ქვეყნებში სერგეი ბელომაპკინი და ანდრეი მნეიდერი, – გვაცნობს მათ ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ზურაბ ლოლაძე.

ამასობაში დარბაზში გვიწვევენ...

ბატონ ზურაბისაგან ვიცი, რომ „სიბა“ შვეიცარიული საერთაშორისო საზოგადოებაა და იგი მცენარეთა და ცხოველთა დაცვის საშუალებებს, ვეტერინარულ პრეპარატებს, სასუქებს, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საკანცელარიო საგნებს, აგრეთვე კულტსაქონელსა და სხვა პროდუქციას აწარმოებს. მას თავისი წარმომადგენლობა მსოფლიოს 60 ქვეყანაში ჰყავს და თავის პროდუქციას აქვე ასაღებს. ბატონები სერგეი და ანდრეი „სიბას“ მოსკოველი წარმომადგენლები არიან, იქ აქვთ ოფისი, საქართველოში კი, როგორც ვთქვით, „სიბას“ უკვე მესამე წელია კოორდინატორი ჰყავს და ამ მოვალეობას ზურაბი ასრულებს.

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, როგორ დაიწყო ეს ურთიერთობა. ყოფილ სასოფლო-სამეურნეო საკავშირო გამოფენაზე, საქართველოს ტექნიკურ-ეკოლოგიური კვლევის სამეცნიერო ცენტრის დირექტორის, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის გიორგი წერუაშვილის შემსხურებელი მანქანა „ოუმ-4“ უნახავთ. ტექნიკურ მონაცემებს რომ გასცნობიან, მანქანის გამომგონებლით დაინტერესებულან. კვალს გამოყოლიან და თბილისში ჩამოსულან... და მაშინ საქართველოში პირველი კონტრაქტები გაუფორმებიათ.

ასე დამყარდა სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობა მსოფლიოში სახელგანთქმულ „სიბასთან“ და აქედან მოყოლებული, დღემდე სამეცნიერო ცენტრი მის პრეპარატებზე დაკვირვებას აწარმოებს.

„სკორმა“, „რიდომილ-მც-მ“, „ტოპაზმა“, „ტრეზორმა“, „ტელმა“ და სხვა პრეპარატებმა „გამოცდა“ ხუთიანზე ჩააბარეს და საქართველოში ფეხი საკმაოდ მტკიცედ მოიკიდეს. ისე რომ, „სიბა“ ბატონ გიორგის ნიჭის წყალობით „აღმოაჩინეთ“...

ამ ფირმის პრეპარატებით შარშან და შარშანწინ 600 ჰექტარი ხეხილის ბაღი, 400 ჰექტარი ვენახი, 1600 ჰექტარი მარცვლეულისა და სხვა ნათესები დამუშავდა. უნდა ითქვას, რომ საწარმოო-სადემონსტრაციო ცდებმა თურმე შესანიშნავი შედეგი გამოიღო და მოსავალი თითქმის გააორმაგა. იმასაც ამბობენ, რომ „სიბას“ სელექციური პრეპარატები მხოლოდ მავნებელ დაავადებებზე მოქმედებენ და სასარგებლო ფლორას კი მაქსიმალურად ინარჩუნებენო.

თათბირ-სემინარი ოთარ ცომაიას გამოსვლით იწყება. – ყველა აგრარულ ქვეყანაში, – ამბობს იგი, – ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება და მცენარეთა მავნე ორგანიზმებისაგან დაცვა სოფლის მეურნეობის საფუძველთა საფუძველია.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს, აგრეთვე სხვა ზემდგომი ორგანოების წყალობით „საქაგროსერვისი“ საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებას წლეულს უკეთ მომზადებული ხვდება. ამჟამად საკმაო რაოდენობის სასუქი გვაქვს. ამასთან, რუსთავის აზოტის ქარხნიდან მოთხოვნისთანავე შეუფერხებლად მივიღებთ იმდენ სასუქს, რამდენიც დაგვჭირდება: საკმაოზე მეტი გვაქვს, აგრეთვე, თავთავიანი კულტურებისა და სიმინდის ნათესების მაღალეფექტიანი ჰერბიციდები.

სოფლის მეურნეობას ვპირდებით, რომ წლეულს, სასუქები და მცენარეთა დაცვის საშუალებები უხვად გვექნება, რადგან გავაფორმეთ კონტრაქტები შვეიცარიის, გერმანიისა და საფრანგეთის ცნობილ ფირმებთან.

სასუქები და პესტიციდები რაიონებში „საქაგროსერვისის“ ფილიალების სპეციალურ მაღაზიებში გაიყიდება და მომხმარებლები შეძენილ პრეპარატებზე სათანადო განმარტებას მიიღებენ. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ მცენარეთა დაცვის საშუალებები და სასუქები მხოლოდ წინასწარი ანგარიშსწორებით გაიყიდება. შეღავათები გათვალისწინებულია (ფასდაკლება, განვადება) იმათზე, ვინც „საქაგროსერვისის“ აქციებს შეიძენს.

– ფასებზე რას გვეტყოდით? – ვიღაცა ნამეტანი გაუბედავი ხმით ამბობს და ამიტომ უყურადღებოდ რჩება.

საუბარს „სიბას“ მენეჯერი სერგეი აგრძელებს. ის გულდასმით ყვება ფირმის მიერ გამოშვებულ პრეპარატებზე, მათი მოქმედების უნარზე და უვნებლობაზე. დროდადრო მას ანდრეი ცვლის. დარბაზში სამუშაო პირობები მაინცდამაინც არ არის, მაგრამ ისინი მაინც გასაოცარ დისციპლინას ამჟღავნებენ. პრეპარატებს ცალ-ცალკე დაწვრილებით და დიდი მონდომებით ახასიათებენ, თან კინოაპარატით „სიბას“ მცენარეთა დაცვის პრეპარატებით შეწამლულ მრავალწლიან და ერთწლიან მცენარეებს, მოსავლიანობის ცხრილებს და დიაგრამებს უჩვენებენ. ზოგჯერ მათ ზურაბ ლოლაძე ეხმარება, და ამათუიმ მცენარის ბიოლოგიურ თვისებებს განმარტავს.

ერთი სიტყვით, მენეჯერებმა კვალიფიციურად და მაღალ დონეზე წარმოადგინეს „სიბას“ მიერ გამოშვებული მცენარეთა დაცვის საშუალებები.

ცნობილია, რომ რელიეფითა და ფლორით შეიცარია ჰგავს საქართველოს. მენეჯერების საუბრის დროს (კინოკადრების თანხლებით) ხან დასავლეთ საქართველოში გულმიან ფერდობებზე გაშენებულ ვენახებში ვიყავით, ხან შიდა და გარე კახეთის ერთ დროს თვალუწვდენელ ზვრებში, ხან შირაქის ველზე მოლივლივე ხორბლის ყანებში და ზოგჯერ კი ქართლის ხეხილის ბაღებში. ჰაი, დედასა, სადღაა ისინი... ნეტავ ნაგუბარში წყალი როდის ჩადგება?..

მენეჯერებმა აუდიტორიას მარტო პროფესიული საუბარი არ აკმარეს. დარბაზში მყოფთ „სიბას“ მიერ გამოშვებული საკანცელარიო სუვენირები და ცალ-ცალკე ანოტაციები გადასცეს იმ პრეპარატებზე, რომლებსაც მათ საოცარი რეკლამა გაუკეთეს.

შეკითხვების დრო დადგა. უმრავლესობას პრეპარატების ფასები აინტერესებს...

– ფასები მართლაც მტკივნეული საკითხია, – ამბობს „საქაგროსერვისის“ თავმჯდომარე, რადგან უცხოეთიდან შემოტანილ პრეპარატებს მძიმე ტვირთად აწვება საბაჟო, დამატებითი ღირებულებისა და სხვა გადასახადები, რომელიც 27 პროცენტს აჭარბებს და პროდუქციას საკმაოდ აძვირებს. რა დასამალია და როგორც აგროფირმებს, ისე კერძო სტრუქტურებს მისი შეძენა უჭირთ... ამ დროს დსთ-ს ქვეყნებიდან შემოტანილ პროდუქციაზე გადასახადი მხოლოდ 0,3 პროცენტია. სათანადო ინსტანციას მივმართეთ, მაგრამ საკითხი დღემდე გადასაწყვეტია. ის, რომ საბაჟო გადასახადი მხოლოდ 7 პროცენტით შემცირდა, ბევრს არაფერს ნიშნავს. თუ გვინდა, რომ სოფლის მეურნეობა აღორძინდეს და რაც მთავარია, უკანონო, ფალსიფიცირებულ და ვადაგასულ პროდუქციას გზა გადაეკეტოს, მცენარეთა დაცვის საშუალებების ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს.

**— მართალი ბრძანდებით, ბატონო ოთარ, — ვამბობ გუნებაში, — როგორც სხვა ცივილიზებულ ქვეყანაში, ჩვენშიაც ფერმერებზე (თუ გვყავს ისინი), აგროფირმებსა და მიწის კერძო მესაკუთრეებზე კრედიტის გაცემის საკითხი აუცილებლად უნდა მოწესრიგდეს. უნდა მოიხსნას ხელოვნურად შექმნილი ბარიერები. მიწათმოქმედებმა კრედიტი უნდა მიიღონ ბანკში, ხოლო სასუქები და მცენარეთა დაცვის საშუალებები ლიცენზირებულ და სერტიფიცირებულ ორგანიზაციებში.**

ბატონი ზურაბი დარბაზში მყოფთ, და განსაკუთრებით მოსკოველ სტუმრებს, ღონისძიებაზე მობრძანებისათვის დიდ მადლობას უხდის და ყველას გასაგონად ამბობს:

– ნუ მოგხიბლავთ მცენარეთა დაცვის საშუალებების დაბალი ფასები. იცოდეთ, მაშინ ისინი ნამდვილად ფალსიფიცირებული ან უხარისხოა. გამყიდველისაგან მოეითხოვეთ ლიცენზია, ან ხარისხის სერტიფიკატი. ყურადღებით დაკვირდეთ პრეპარატის ჭურჭელსა და იარლიყს, გამოშვების თარიღს, მოითხოვეთ პესტიციდების გამოყენების რეკომენდაციები, დახმარების წესი, ნუ ვენდობით ქორეაჭრებს. ამით ჩვენს წმინდა მიწა-წყალს დაბინძურებისაგან გადავარჩენთ...

* * *

მევენახის სახლი ნელ-ნელა ცარიელდება. გარეთ ცივი ქარი ქრის, გეგონებათ ზამთარსა და გაზაფხულს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართავთო. ნუშის ტოტებზე კი კვირტები დაბერილა და სადაცაა აფეთქდება. ნეტავ რას მოიტანს ეს გაზაფხული?

ავტომანქანაში ხუთნი ვართ. ყველა გაჩუმებულია, მხოლოდ ძრავის ხმა ისმის, ბუნებრივია, ყველა პრაქტიკული ხასიათის თათბირ-სემინარის შთაბეჭდილებაშია. მე პირადად, ბატონ ზურაბ ლოლაძის რჩევა-დარიგებანი მახსენდება. რამდენი კეთილშობილება ჩანდა მის სიტყვებში... ამიტომაც ისინი ამ რეპორტაჟში თითქმის უკლებლივ ჩავწერე.

ეხ, ბატონო ზურაბ, მთელი უბედურება ის არის, რომ ჩვენს ილაჯგაწყვეტილ მეურნეებს მარტო პესტიციდები კი არა, არც ამერიკიდან შემოტანილი მარცვლეულის (ხორბლის, სიმინდის) თესლი გამოადგათ. ამბობენ, თესლის უხარისხობის გამო ქართველმა მხვნელ-მთესველებმა 12 მილიონ ლარზე მეტი იზარალეს.

ესეც გადამწვარი ვენახების ამბავივით გახმაურდა, ამაზედაც დიდი და პატარა ალაპარაკდა და რაღას არ ამბობენ, მაგრამ...

არადა, ათიათას ტონობით მარცვალი ნემსი ხომ არ იყო, ამერიკიდან ისე შემოეტანათ, რომ არავის დაენახა ან კვალი არ დარჩენილიყო?! იმის თქმა გვინდა, რომ ძნელი არ იყო იმათი აღმოჩენა, ვინც ღლისით, მზისით ხალხი ასე ულმერთოდ მოატყუა და სხვისი გაუბედურებით თავისი ბედნიერება უზრუნველყო.

დალოცვილებო, საქმე თუ არ აღუძრით, გადაგვემოწმებინა მაინც და საზოგადოებისათვის გვეთქვა, ვინ შემოიტანა უხარისხო სათესლე მარცვალი ან ვის კისერზეა 12 მილიონი?.. მაგრამ ჩვენ ის ვთქვათ, თუ კაცს არა სწადიან, ხევში ქვას ვერ დაინახავს. ასე არ არის, ბატონო ზურაბ?

ამ ბოლო დროს ერთი „ავადმყოფობა“ გადაგვყვა. ველოდებით, რომ ყველაფერი პრეზიდენტმა გვეკარნახოს, რომ ყველაფერზე მან იზრუნოს, იღონოს და ჩვენ კი შორიდან სეირს ვუყუროთ. იფ, რა კარგია!..

**როლანდ ბასილაშვილი.**

---

...ხდება. მსგავსი პროდუქტების დანერგვა, რომელთა ფართო ასორტიმენტია შექმნილი აგრეთვე ბათუმის საკონსერვო მრეწველობის ინსტიტუტშიც, საშუალებას მოგვცემს შევინარჩუნოთ ერთ-ერთი წამყვანი დარგი საქართველოში – მეციტრუსეობა თავისი მყარი ინფრასტრუქტურითა და სანედლეულო ბაზით.

ჩვენს ინსტიტუტში ასევე დამზადდა ბეტა-კაროტინით გამდიდრებული უალკოჰოლო სასმელები. ამ და მისი მსგავსი პროდუქტების შექმნა ერთადერთი საშუალებაა წინაღვუდგეთ საქართველოში ბოლო წლებში შემოტანილ სინთეზურ არომატიზატორებზე დამზადებულ უალკოჰოლო სასმელებს, ქვეყანაში დავამკვიდროთ ჯანსაღი სასმელების წარმოება და მოხმარება.

ყოველივე ზემოთქმული მიუთითებს იმაზე, რომ სამამულო წარმოების კვების პროდუქტების კონკურენტუნარიანობის (ადგილობრივ და თანამეგობრობის ქვეყნების ბაზრებზე) ამაღლების ერთადერთი გზა – ესაა ნატურალურ ნედლეულზე დამზადებული, სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების კვების პროდუქტების შექმნა. საამისოდ საჭირო სანედლეულო ბაზა, რაც მთავარია, მეცნიერული პოტენციალი, ჩვენს ქვეყანას საკმაოდ გააჩნია.

**ნუგზარ ბაღათურია,**
საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

---

# სამუშაოც ბევრია და საფიქრალიც

**საგაზაფხულო სამუშაოების მაღალხარისხოვნად და ორგანიზებულად ჩატარებისათვის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ხელმძღვანელობა ყოველკვირეულ ზონალურ თათბირებს იწვევს, რომელსაც აპარატის ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად რაიონების სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოთა უფროსები, მთავარი აგრონომები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ესწრებიან. გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა თათბირის ზოგიერთ მონაწილეს:**

ზაალ მანჯგალაძე – გარდაბნის რაიონის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს უფროსი.

– გარდაბნის რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკები დროზე შეუდგნენ საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადებას. წესრიგში მოვიყვანეთ ტექნიკა, მოვიმარაგეთ თესლეული, უპირატესობას ძირითადად ადგილობრივ თესლეულს ვანიჭებთ. სათანადო თანხის უქონლობის გამო ჯერჯერობით შხამქიმიკატების საკმაო რაოდენობა ვერ შევიძინეთ, რაც ძალზე გვაღელვებს.

სახნავი ფართობი რაიონში 46 ათასი ჰექტარია, აქედან საგაზაფხულოდ მოხნულია ათი ათასი ჰექტარი. ვენახების ფართობის უმეტესობა გასხლულია. ხეხილის ბაღებში ძირითადი სამუშაოები დამაკმაყოფილებლად სრულდება.

* * *

ჯემალ ბელაშვილი – ხაშურის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს უფროსი.

– საშემოდგომო თავთავიანი კულტურები 1200 ჰექტარზე დავთესეთ. საგაზაფხულო კულტურებისათვის 1100 ჰექტარი გვაქვს მზად. თავთავიანები დაითესება 400 ჰექტარზე, ასევე სიმინდიც, ლობიო – 60, შაქრის ჭარხალი – 100 ჰექტარზე.

თესლი საკმარისი რაოდენობით გვაქვს. გვაკლია მხოლოდ საწვავი და შხამ-ქიმიკატები. ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ შხამქიმიკატები და სასუქი საძებნელია. არის, მაგრამ რად გინდა, უფულობის გამო ვერ ვყიდულობთ. ნისიად, ან კრედიტს რომ გვაძლევდნენ, კარგი იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ არის.

ხაშური, მოგეხსენებათ, ძირითადად მეხილეობის ტრადიციული რაიონია, თუმცა, ეს დარგი აქ კრიზისულ მდგომარეობაშია, ვინაიდან ცნობილი მიზეზების გამო წლების განმავლობაში აქ ბაღებში აგროტექნიკური სამუშაოები ვერ განვახორციელეთ. ხეხილის ბაღების ძირითადი ნაწილი გაიჩეხა, ამოიძირკვა, სამწუხაროა, რომ ეს პროცესი დღესაც გრძელდება, გამკითხავი კი არავინ არის.

თუ უახლოეს პერიოდში ფინანსები არ გამოინახა მინიმალური აგროტექნიკური ღონისძიებების გატარებისათვის მაინც, დარგი დაიღუპება.

* * *

ზურაბ ჯაფარიძე – მარნეულის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს მთავარი აგრონომი.

– მარნეულელები მაქსიმალურად მოვემზადეთ საგაზაფხულო სამუშაოებისათვის. სულ სახნავი ფართობი 30262 ჰექტარია, აქედან საშემოდგომოდ 9500 ჰექტარია დათესილი, ხორბალი 7500, ქერი 2000. საგაზაფხულო კულტურებისათვის მზადა გვაქვს 14000 ჰექტარი. ტექნიკა და თესლი მომარაგებული გვაქვს. არაფერზე არ ვღელავთ, ვვარაუდობთ, რომ საგაზაფხულო სამუშაოები ნორმალურად ჩატარდება.

* * *

თენგიზ ნანიტაშვილი – ქარელის რაიონის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს მთავარი აგრონომი.

– სახნავი ფართობი ჩვენს რაიონში 4310 ჰექტარია. აქედან, საგაზაფხულოდ 400 ჰექტარი მოვამზადეთ. საშემოდგომო თავთავიანები 3860 ჰექტარზეა დათესილი. დათესვით დავთესეთ, მაგრამ ნიადაგი მწირია, გვესაჭიროება აზოტოვანი სასუქები 1200 ტონა. დაგეგმილი გვაქვს საგაზაფხულო ხორბალი 51 ჰექტარზე, ქერი – 70-ზე, მერია – 10-ზე, სიმინდი 45 ჰექტარზე დავთესოთ, მაგრამ ნათესები თუ სათანადოდ არ გამოვკვებეთ, ნავარაუდევის ნახევარ მოსავალსაც ვერ ავიღებთ და შრომა წყალში ჩაგვეყრება. სასუქები ძვირია, უკრედიტობის გამო კი მისი შეძენა გაგვიჭირდება.

არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღვნიშნო ჩვენს რაიონში ხეხილის ბაღების მდგომარეობა, რაც დღეისათვის 1990 წელთან შედარებით, დაახლოებით 4 ათას ჰექტრამდე შემცირდა.

ბაღების 80 პროცენტი პრივატიზაციის შედეგად არის ჩამოწერილი და განადგურებულია, რადგან კერძო მწარმოებლებს საწვავის, შხამქიმიკატების, აგრეთვე სალთეისისა და ტამისკარის სარწყავ არხებში უწყლობის გამო ძალიან გაუჭირდათ. ბაღების მასობრივი კლება განსაკუთრებით შესამჩნევია საზოგადოებრივ მეურნეობებში. მალე აქ ბაღები აღარ იქნება.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ტრადიციული მეხილეობის რაიონი უხილოდ რჩება.

* * *

ნუკრი ლობჟანიძე – საჩხერის რაიონის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს უფროსი.

– საგაზაფხულოდ მოსახნავი გვაქვს 7786 ჰექტარი, რომელზედაც ძირითადად სიმინდი დაითესება. საშემოდგომო ხორბალი 33 ჰექტარზე დავთესეთ.

ძირითადი ტექნიკა მოძველებულია, მანქანა-ტრაქტორთა მარაგნაწილებს ვერ ვყიდულობთ. მინიმალური სასუქები ადგილობრივი ძალებით მოვიმარაგეთ. გვაქვს 200 ტონა ამონიუმის გვარჯილა, უსახსრობის გამო შხამქიმიკატების შემოტანა კი ფერხდება.

მინდა ყურადღება გავამახვილო ერთ პრობლემაზე, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლით. ბაზრები სავსეა უცხოეთიდან შემოტანილი პროდუქტებით, მაშინ, როცა ჩვენს გლეხებს ტონობით უწყვიათ მათი ხელით მოწეული პროდუქცია (სიმინდი, ლობიო, კარტოფილი, ბოსტნეული). ჩვენს გლეხს დღეს პროდუქტის გასაღების პრობლემა აწუხებს და დამერწმუნეთ, ეს ადვილად გადასაწყვეტი არ გახლავთ. რაკი მეურნე წარმოებულ პროდუქციას ვერ ყიდის, იგი იძულებულია სოფელი მიატოვოს, ქალაქში ეძიოს სამუშაო.

ნუთუ ძნელია, გლეხს პროდუქტის გასაღებაში სახელმწიფო ან თუ გნებავთ, რომელიმე ფირმა დაეხმაროს? ეს ხომ ორივე მხარისთვის სარფიანი საქმეა, ადრე სოფლებში თუ არა, რაიონულ ცენტრში მაინც იყო შემსყიდველი პუნქტები. კარგი იქნება, თუ მას კვლავ აღვადგენთ. იქნებ, ამ საკითხზეც გვეფიქრა?!

**ნაზი ჟაჟრიშვილი.**

## ჩაი

# ქართული ჩაი ბაზარზე თამამად უნდა იყოს

ფინჯანი ჩაი — ელექსირი დილით, საუკეთესო გუნება-განწყობილება მთელი დღის განმავლობაში.

ჩაი ინდური, თურქული, ჩინური... არომატული, მაცოცხლებელი სითხე.

ჩაი ქართული — შავი, მწვანე ბაიხის, თითქმის მონაგრებული...

ბაზარში გურიიდან და სამეგრელოდან ჩამოსულ გლეხებს ტომრებით ჩამოაქვთ ხელით მოკრეფილი, მინ გამშრალ-გამოყვანილი ნაზი დუყები, რომელზეც დაყენებული ჩაი, ალბათ, ყველაზე ნაზი, გემრიელი და ფეროვანია (ვისაც გაუსინჯავს, დაგვეთანხმება). მაინც რა ხდება ამჟამად ქართული ჩაის, მისი მოყვანა-დამზადების, ხარისხისა და სამომხმარებლო ბაზრის გარშემო?

ბოლო წლებში დაიკარგა ქართული ჩაის გასაღების ტრადიციული ბაზრები, გაუარესდა საწარმოების ფინანსური მდგომარეობა, რის გამოც მკვეთრად შემცირდა ჩაის ფოთლის წარმოება-გადამუშავება, მინიმუმამდე შემცირდა სამუშაო ადგილები, დაიკარგა ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების ძირითადი წყარო, დაიძაბა სოციალური გარემო.

1996 წელს აწარმოეს 8150 ტონა დაუფასოებელი ჩაი, 2800 ტონა დაფასოებული ჩაი და 700 ტონა მწვანე აგურა ჩაი. პროდუქციის წარმოების მოცულობამ 14,6 მილიონი ლარი შეადგინა.

პროდუქციის გაყიდვაში მიღწეული გარკვეული დადებითი ძვრების მიუხედავად, რამაც საწარმოთა ფინანსური მდგომარეობა ნაწილობრივ გააუმჯობესა, მაინც რჩება გაუცემელი ხელფასები 1,2 მილიონი ლარის ოდენობით.

გასულ წლებში გრძელდებოდა ეკონომიკური რეფორმები. 118 სახელმწიფო საწარმოდან სხვადასხვა ფორმით პრივატიზებულია 87 საწარმო, მათ შორის 82 გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებებად, 2 გაიყიდა კონკურსით, ხოლო 3 – იჯარა-გამოსყიდვით. პრივატიზებულია 9,5 ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაცია.

დარგის კრიზისიდან გამოყვანისა და მისი შემდგომი განვითარების, აგროტექნიკური და ტექნოლოგიური ღონისძიებების ფართო მასშტაბით განხორციელებისათვის, დამუშავებულია ჩაის წარმოების სახელმწიფო პროგრამის პროექტი 2005 წლამდე პერიოდისათვის, იხილავენ კანონის პროექტს ჩაის შესახებ.

გერმანულ ფირმა „მარგინ ბაუერს“ 1997 წელს გათვალისწინებული აქვს გააგრძელოს ურთიერთობები დარგის 33 საწარმოსთან, რამაც უნდა მოიცვას 10 ათას ჰექტრამდე ჩაის პლანტაცია. ფირმა უზრუნველყოფს საწარმოებს საწვავით, სასუქებით, ხელფასებით და ფაბრიკებში ტექნოლოგიური მოწყობილობების შეკეთებით.

ამერიკული ფირმა „ჯი-აი-ეი“ წლეულს მნიშვნელოვნად აფართოებს სამოქმედო არეალს. წინასწარი მონაცემებით აპირებს 8-10 ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაციის დამუშავებისა და 23 ჩაის ფაბრიკის სეზონისათვის მოსამზადებელი სამუშაოებისათვის საჭირო ხარჯების გაღებას.



ასევე მუშაობენ სინგაპურის ფირმა „აჯიო“ და ადგილობრივი ინვესტორები. ისინი წლეულს დააფინანსებენ 3 ათას ჰექტარ ჩაის პლანტაციებში ჩასატარებელ სამუშაოებს, მოამზადებენ შესაბამის გადამუშავებელ საწარმოთა სიმძლავრეებს.

საქართველოსთან ურთიერთობით დაინტერესდა ინდოეთის ცნობილი კომპანია „ტატა-ტი“. მისი წარმომადგენლები გაეცნენ დარგის მდგომარეობას და თანამშრომლობა ორთავე მხარისათვის ხელსაყრელი მიმართულებით განვითარდება.

აღსანიშნავია, რომ უცხოური ფირმები მათ მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას თვითონვე კისრულობენ და პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის ჩაის ფაბრიკების ახალი ტექნიკით გადაიარაღების ხარჯებსაც თვითონ გაიღებენ.

აღნიშნული ღონისძიებების გატარებით, 1997 წელს შესაძლებელი გახდება დამუშავდეს 26-30 ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაცია, ამოქმედდეს 100-მდე ჩაის ფაბრიკა, მოიკრიფოს 80-100 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, გამომუშავდეს 20-25 ათასი ტონა მზა პროდუქცია და ამოქმედდეს 120 ათასამდე სამუშაო ადგილი.

ახლა მეჩაიეთა ყოველდღიური საზრუნავია სეზონისათვის დასახულ ამოცანათა შესრულებისათვის ნორმალური სასტარტო პირობების შექმნა. კერძოდ:

ჩაის პლანტაციებში, აგროწესების მიხედვით, გასული წლის 15 ნოემბრიდან უნდა დაწყებულიყო წლევანდელი სეზონისათვის მზადება, პლანტაციებში ფოსფოროვანი და კალიუმიანი სასუქების შეტანა, რიგთაშორისების ღრმად გაფხვიერება. მაგრამ დარგში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის გამო, რაც ფინანსური სიძნელეებით აიხსნება, საწარმოებს საშუალება არა აქვთ შეიძინონ ბაზებში მეზიდული მინერალური სასუქები და პლანტაციები წლეულსაც ფოსფოროვანი და კალიუმიანი სასუქებით გამოუკვებავი რჩება. რაც შეეხება აზოტოვან სასუქებს, მათზე მოთხოვნა-ხელშეკრულება მომწოდებლებთან ჯერჯერობით არც ერთ რაიონს არ გაუფორმებია.

აგროტექნიკით 15 თებერვლიდან უკვე დაიწყო პლანტაციების მპალერული გასხვლა, მაგრამ დიდთოვლობის გამო დღემდე მხოლოდ 1000 ჰა-მდე გაისხლა. აღნიშნულის გამო შემჭიდროებულ ვადებში მოგვიხდება ყველა აგროტექნიკური ღონისძიების ჩატარება.

ჩაის მოვლა-მოყვანისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველსაყოფად მზად არის ქარხანა „საქსოფლმანქანა“.

როგორც აღვნიშნეთ, უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორების მეშვეობით, აგრეთვე საკუთარი ძალებით, ჩაის ფოთლის გადასამუშავებლად მომზადდება 100-მდე ჩაის ფაბრიკა. მათთვის მარაგნაწილების და საჭირო მოწყობილობების დამზადებას უზრუნველყოფენ დარგის მექანიკური საწარმოები, რომლებიც მზად არიან შეკვეთების მიღება-შესრულებისათვის.

მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები ქართული ჩაის გასაყიდი ბაზრების შემდგომი განმტკიცება-გაფართოებისათვის.

ფორმდება ხელშეკრულება უზბეკეთთან ჯერ 1000 ტონა ჩაის პროდუქციის მიწოდების თაობაზე. აზერბაიჯანს ასევე მიეწოდება 500 ტონა ჩაის პროდუქცია. მოსალოდნელია თურქმენეთში გაიყიდოს 7-8 ათასი ტონა, რაც უზრუნველყოფს დარგში არსებული პროდუქციის რესურსების დროულად გასაღებას.

...თუმცა დღეს უცხოური ჩაი არც თუ ისე ძვირი ღირს, ვფიქრობთ, ქართველი მეჩაიეები ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ ჩვენებური ლამაზად შეფუთული, ხარისხიანი ჩაი თამამად წარსდგეს მომხმარებლის წინაშე.

**ნანა ფირონელი.**

## მექანიზაცია

# ევროკავშირისა და საპარტნიორო ფონდის დახმარებით

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დღეს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა მძიმე მდგომარეობაშია. რა დასამალია, სოფლის მეურნეობის მანქანა-ტრაქტორთა პარკი რუსეთიდან და თანამეგობრობის ქვეყნებიდან შემოტანილი ტექნიკით ივსებოდა, მეშვიდე წელია არც ტრაქტორი მიგვიღია, არც კომბაინი და არც სათესი მანქანა. რაც არის დარჩენილი, უმეტესობა სიძველის გამო უცილობელ კაპიტალურ რემონტს საჭიროებს.

დიახ, ვითარება მძიმეა, მაგრამ შიდა რეზერვების ამოქმედებისა და ჩვენი დარგობრივი სამინისტროსაგან საგანგებო ღონისძიებების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ საინჟინრო სამსახური მაქსიმალურად მომზადდა საგაზაფხულო სამუშაოებისათვის.

ევროკავშირისა და საპარტნიორო ფონდის მეშვეობით შესაძლებელი გახდა გარკვეული რაოდენობის სათადარიგო ნაწილების შემოტანა. დღეისათვის სასოფლო რაიონების სათანადო სამსახურებს – სოფლმომარაგებას 650 ათასი ლარის ღირებულების „ბელორუს“ და „დტ“ მარკის ტრაქტორების და გუთნების მარაგნაწილები აქვს, რომელთა შეძენაც რაიონების სოფლტექნიკის ბაზებსა და თბილისში, სპეციალურ მაღაზიაშიც შეიძლება (ვაჟა-ფშაველას პრ. 90).

განსაკუთრებით რთულია ვითარება სახნავი ტრაქტორების, გუთნების, მარცვლეული კულტურების სათესებითა და მოსავლის ამღები ტექნიკით უზრუნველსაყოფად. დარჩენილი 500 სათესიდან და 600 კომბაინიდან 1997 წლის სეზონისათვის 400 სათესი და 350 კომბაინი შეკეთდა, ეს კი საჭირო რაოდენობის მხოლოდ ნახევარია.

წლეულს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ხელმძღვანელობამ განსაკუთრებული ყურადღება მიწათმოსარგებლეთა დიზელის საწვავით მომარაგების საკითხს მიაპყრო.

ადრე, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ცენტრალიზებულად მიწოდების პერიოდში სოფელი 260-270 ათას ტონა დიზელის საწვავს, 300 ათას ტონა ბენზინს მოიხმარდა. ამჟამად, მარაგში 500 ტონამდე დიზელის საწვავი და სატრაქტორო ზეთები გვევანია რაიონებისათვის, რაც ძირითადად საგაზაფხულო სამუშაოებს მოხმარდება.

დარგობრივ სამინისტროში მიმდინარეობს რესპუბლიკაში მექანიზაციის სამსახურის გარდაქმნის საკითხის დამუშავება, რაიონებს სათანადოდ ურჩიეს გაუქმებული და რეორგანიზებული საზოგადოებრივი მეურნეობების ტექნიკის გამოყენება. კერძოდ, ადგილებზე იქმნება ტექნიკური მომსახურების საწარმოები, რომლებიც ყოველგვარი კატეგორიის მიწათმოსარგებლეს მოემსახურება. ეს საშუალებას მოგვცემს, ჯერ კიდევ არსებული ტექნიკა არ დაიქსაქსოს და საჭირო შემთხვევაში შედეგიანად გამოვიყენოთ. ასეთი სამსახურები უკვე მოქმედებს თეთრწყაროს, მარნეულის, თეთრიწყაროს და სხვა რაიონებში.

მიწათმოსარგებლეთა რაოდენობის ზრდის პირობებში საჭიროა მათი სრულკომპლექტიანი და შედარებით იაფფასიანი მომსახურება, რისი გაკეთებაც მხოლოდ სამინისტროს საინჟინრო-ტექნიკურ სამსახურს შეუძლია. დღეისათის გაუქმებულია შუალედური გაერთიანებები, ხოლო საწარმოების ნაწილი სააქციო საზოგადოებებად უნდა გარდაიქმნას.

მიმაჩნია, რომ დღევანდელი მოთხოვნიდან გამომდინარე, აგროსაინჟინრო მომსახურების გარდაქმნა უდავოდ შეუწყობს ხელს მექანიზაციის გამართულ მუშაობას რესპუბლიკაში.

ხელშემშლელი მიზეზების მიუხედავად, სოფლად დაწყებულია ხვნა-თესვა, წლევანდელი წელიწადი უფრო ხელხვავიანი და ბარაქიანი უნდა იყოს.

**რობერტ ბესელია,**
„საქაგროტექსერვისის“
პრეზიდენტი.

# გასხლულია 39 ათასი ჰექტარი ხეხილის ბაღი

ევროგაერთიანების ექსპერტების მიერ შედგენილი საქართველოს სოფლის მეურნეობის პერსპექტიული განვითარების გეგმით, მეხილეობა, საკონსერვო მრეწველობის განვითარებასთან ერთად, პრიორიტეტულ დარგად არის მიჩნეული.

მიუხედავად ამისა, დარგის მდგომარეობა უმძიმესია. ცნობილი მიზეზების გამო, როდესაც 1989-92 წლებში რესპუბლიკა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მწვავე დეფიციტს განიცდიდა, მეხილეობის დარგის ეკონომიკური პოტენციალი ზოგ რაიონში ისე დაეცა, რომ შეუძლებელი გახდა ხეხილის ბაღებში ძირითადი და აუცილებელი აგროღონისძიებების გატარებაც კი.

სხვა გზა არ არის, მიმდინარე წელი ამ დარგისათვის გარდატეხის წელი უნდა გახდეს. იმედს გვაძლევს ის, რომ მდგომარეობა ნელა, მაგრამ მაინც სწორდება, გვარდება საწვავით, შხამ-ქიმიკატებით, მინერალური სასუქებით როგორც საზოგადოებრივი, ისე კერძო მწარმოებლების დაკმაყოფილების საკითხი.

მეხილეობის რაიონებში შექმნილია სპეციალიზებული მაღაზიები, სადაც შხამ-ქიმიკატები გაიყიდება, რითაც გამოსწორდება შარშან დაშვებული შეცდომები, როდესაც ნებისმიერი მოქალაქე ყიდდა ან ყიდულობდა წარმოებიდან ამოღებულ, ვადაგადაცილებულ უხარისხო შხამ-ქიმიკატებს, რომლებსაც მხოლოდ ზიანი მოჰქონდა.

მართალია რაიონებში სასუქები და შხამ-ქიმიკატები შეტანილია საჭირო რაოდენობით, მაგრამ საზოგადოებრივ მეურნეობებს და კერძო მწარმოებლებს არ აქვთ სათანადო თანხა მათ შესაძენად, მით უმეტეს, რომ მათი სარეალიზაციო ფასი ბოლო წლებში საგრძნობლად მაღალია.

მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, მეხილეებმა საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადება უკვე დაიწყეს. დღეისათვის გასხლულია 39 ათასი ჰექტარი ხეხილის ბაღი, დაიწყო საკარანტინო მავნებელ ფარიანას წინააღმდეგ მინერალური ზეთის ემულსიით შეწამვლა, რისთვისაც მეხილეები განსაკუთრებით მოემზადნენ.

აღნიშნული სამუშაოების დადგენილ აგროვადებში განხორციელებას უდავოდ ხელს შეუწყობს და დააჩქარებს რაიონებში აგროტექსერვისების დროულად ჩამოყალიბება, რასაც მეხილეობის რაიონები განსაკუთრებით მოელიან.

მიგვაჩნია, რომ სამაჩაბლოში არსებული ტირიფონისა და სალთვისის სარწყავი სისტემების სათაო ნაგებობები სასწრაფოდ უნდა გაიწმინდოს, რათა რწყვის სეზონისათვის ისინი მზად იყოს.

საკუთარი ინფორმაცია.

საქართველოს რესპუბლიკა
N74. სამშაბათი, 1 აპრილი, 1997 წელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## აფხაზეთი

# სამყნობი დანის პირს ჟანგი მოჰკიდებია

არიან ადამიანები, რომელთაც იძულებით წაართვეს მიწასთან შეხების უფლება. ასე დაემართათ იმ დევნილებს სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან, რომლებიც სოფლის მეურნეობას მისდევდნენ.

უყურებ მათ ნაჯაფარ, ერთ დროს დაკოჟრილ ხელებს და ახსნი ახლა ყურძნის მოწყვეტილ მტევნებს ჰგვანან, სამამულეს რომ ჩამოაცილეს. მათ დააკლდათ ის ენერგია, რომელსაც გამოსცემს მიწა, წყალი და ჰაერი, და ენატრებათ გამოფიტული სხეულის შრომით გახურება, ენერგიის აღდგენა, სრული კმაყოფილების მიღება...

სასტუმრო „ივერიის" 509-ე ოთახში ნამდვილი „სათბურია" მოწყობილი, ფინიკის პალმები, ლიმონი, წითელი კამელიები, კლდის ვაშლი, კაქტუსები, ჯუჯა ხეები... უამრავი მცენარე ხარობს ამ პაწია ოთახში, სადაც ბერძენიშვილების მშრომელი ოჯახი ცხოვრობს.

სამოცდაათი წლისაა ქალბატონი თამარ ბექაია-ბერძენიშვილისა. ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ აგრონომი ქალი გაგრის კოლმეურნეობაში მეთამბაქოედ მუშაობდა. შემდეგ საბჭოთა მეურნეობა „სიხარულში" ციტრუსების სანერგე მეურნეობის გამგეა. პარალელურად, ოცი წლის განმავლობაში მეაბრეშუმედ მუშაობს, შეთავსებით — მეღორეობის ფერმაც მისცეს, ხუთწლედში სახელმწიფოს 2500 კგ. აბრეშუმის პარკს აბარებდა.

ოთხი შვილი გაზარდა, ყველა ჩაბმული ჰყავდა შრომაში. თავდადებული, პატიოსანი შრომისათვის და მიღწეული წარმატებებისათვის მიღებული აქვს საკავშირო, რესპუბლიკური თუ ადგილობრივი ჯილდოები და მედლები, დაჯილდოებულია ხალხთა მეგობრობის ორდენით.

— სოფელ კოლხიდაში შესანიშნავი სახლ-კარი დამრჩა, ყველაზე მეტად ჩემი საკარმიდამო ნაკვეთი მენატრება. 0,25 ჰექტარს ვფლობდი, ბაღში ყველაფერი ჩემი ხელით იყო დარგულ-მოვლილი. მეუღლე — გიორგი ბერძენიშვილი ცნობილი მყნობელია, ახლა მას მთელი თბილისი იცნობს, თქვენც ხომ გინახავთ თეთრწვერა მოხუცი ქუჩებში ნარგავებს რომ ჰყიდის? — აი, ისაა გიორგი. გაგრიდან გულრიფშამდე სულ მისი დამყნილია ტუნგო, გრეიფრუტი, ციტრუსები. — დღეში 2000-3000 ძირს ამყნობდა. ახლა საცოდავი ჩამოკონკილი შარვლით დადის, ფეხსაცმელიც კი არ აცვია მთელი... საქმე ისე დაუდგა, საქოთნე მიწა საიდანღაც უნდა მოიტანოს, მცენარეები რომ ჩარგოს და ახაროს.

ქალბატონი თამარი ამას წინათ რესპუბლიკურ საავადმყოფოში იწვა გულის უკმარისობით. — გულის ტკივილი დევნილობაში დამჩემდა, აღრე გული საით მქონდა ვერც „ვგრძნობდი", ამდენმა ვაებამ თავისი დაღი დაასვა ჩემს ჯანმრთელობას... ჩაფიქრებით ჩაჰკიდა თავი. შემდეგ გულდაწყვეტილმა, ხმამაღლა გამოხატა გონებაში ჩაკირული სათუთი ნატვრა — ნეტავ, ჩემს ეზოში კიდევ ერთხელ გამაგარა, იქაურობა მაჩვენა; მცენარეს ისე არ უყვარს ომი, გულმოსული ადამიანები... მას როცა ეალერსები, ესაუბრები, მაშინ იზრდება, მაშინ ხარობს...



სასჯელია მშრომელი კაცისათვის უქმად ყოფნა, უმუშევრობა, ხანშიშესულ, გამრჯე ცოლ-ქმარს ომმა წაართვა შრომით მონიჭებული სიხარულის განცდის უფლება. ბუნების ამ გამოლევიძების ჟამს მათ ხელებს მზით გამთბარი მიწის შეხება ენატრებათ. ფოთლების შრიალ-ჩურჩულის მიყურადება სწყურიათ.

ცოლ-ქმარმა ფინიკის პალმის პატარა ნერგი მაჩუქეს. აუცილებლად მოვუვლი და გავზრდი. ეს ნერგი მარად გამახსენებს ამ ამაგდარ და პატიოსან ოჯახს.

გული დამწყდა ქალბატონ თამარის ოხვრით ნათქვამზე: ნეტავ საღამოს კიდევ ერთხელ შრომით დაღლილს ჩამაძინაო.

და ახლა, როგორც არასდროს, ისე მინდა მქონდეს ნატვრისთვალი, რომ ამ ადამიანებს წართმეული სიხარულის განცდის უფლება კიდევ ერთხელ მივანიჭო.

**როინ ბასიშვილი.**

ჯავარ ლომაძის ფოტო.

## რეპორტაჟი

# გოგლაურას სადღეგრძელო



ჩვეული სიდარბაისლით შეგვეგება პატარძეული — კახეთის ეს ულამაზესი სოფელი.

**„... რა ტკბილი იყო შუქლვარა დილა პატარძეულში. ოქროვანი ხმით მოწკრიალე გაზაფხულის დღეები, როცა ჩვენც ნუშებივით ვყვაოდით, როცა ფეხქვეშ მიწა გრიალებდა, გული გვედგა ოქროს ბურთისა და თავს ოქროს წვიმა გვაწვიმდა" — წერდა გიორგი ლეონიძე.**

მართლაც, მშობლიური სოფლისათვის „ნატვრის ხის" დარი ხელთუქმნელი ძეგლი ჯერ არავის აუგია. ის ძეგლი ახლაც ცამდე ასვეტილა და უსაზღვრო სილურჯეს მეტოლებია სოფლის ცარგვალზე, ხოლო თავად ბუმბერაზ გოგლას აჩრდილი, გაცხადებული სახით თითქოს ხან გამოჩნდება უბნებსა და ორღობეებში, ხანაც გაუჩინარდება. ყველა მასთან არის და თვითონაც ყველა ოჯახის სტუმარია: პატარძეულში ისე ღვინო არ შეისმევა, გოგლაურას სადღეგრძელო რომ არ დალიონ.

— ამ პატარას გაუმარჯოს, გოგლასნაირი გამოსულიყოსო!— ის კი არა, ახლა ეს სადღეგრძელო ლამის მთელ კახეთს მოედოს: საყვარელი პოეტის სალეს რომ შეეწირა! იქნებ გამოჩნდეს ფუფალაც, თავისი ჭრელი ბოხჩითა და თექესმეჩნაჭრიანი ჭყეტელა კაბით, ფერუმარილით გათხუპნული სახითა და წუთისოფლის გაუტანლობისაგან დაქოლვილ-ნაწამები სულით...

აი, ორღობეს ჯოხდაბჯენილი, ჩანჩალ-ჩანჩალით მოუყვება ოთხმოცდახუთი წლის ლადო გიუნაშვილი, ნაჯაფი, გულგაუტეხელი ბერიკაცი — „მზე გამოვიდა, წავალ, ჩემს ძმას დავუძახებ და ფშაგის ძირში წყაროსთან ზურგებს გავითბობთო — ამ ფიქრით მიიჩქარის ძმისაკენ, 72 წლის აბრამისაკენ. მალე ორივენი პატარა თიხის დოქით ხელში წყაროსთან ჩამოსხდებიან. მათი საუბრის მოსმენას არაფერი სჯობს:

— ჯაგარაანთ ნიკია როგორ არის, რომ არ გამოჩნდა?

— შეუძლოდ ყოფილა და გარეთ იმიტომ ვერ გამოდის.

— ეგ კიდევ ჩვენზე უფროსია, ოთხმოცდაჩვიდმეტისა შესრულდა...

— ... ეხლანდელი პატარძლები სხვანაირად იცმევენ. გახსოვს, ჩვენს ბავშვობაში ქალებს თავს ჩიხტიკოპი ედგათ და ზედ წყვილი ოქროს ქინძისთავი ერჭოთ ლეჩაქის დასამაგრებლად...

— ჩვენ, ჩვენი საკმარისი ღვინოც დაგვილევია. მაღლიანი პურისჭამა ვიცოდით, სიმღერაც მადლიანი გამოგვდიოდა, დავისვენოთ, ბიჭო, სანამ მზეა, ეგრე ვიყოთ...



და სამასწლოვანი ფშაგის ძირას მიმსხდარი ბერიკაცები ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა თედო ნიკოლაიშვილმაც სწორედ ამ საუბრის დროს გადაიღო.

ამავე ფშაგის მეხელს სიამაყით არქმევენ შვილებს მშობლები!

მართლაც, იქნებ კვლავ გამოჩნდეს გოგლას ტოლი ვარსკვლავი მის ხეხნიებში!

მახსენდება „ნატვრის ხის" ფილმის პერსონაჟები და ასე მგონია, სადაცაა თავის უმანკო ღიმილს შემომანათებს მარიტა, — სიყვარულისთვის შერისხული უმანკო ასული. მგონია, შევხვდები ელეფთერს — ოქროკვერცხას, ნათელთვალას, ნატვრის ხის უიმედო მძებნელს, უბადრუკ სინამდვილეს... ორე, გადაწეულ ღონიერ ტოტს კი პატარა გოგონა ამოფარებია და ჩუმად, შეფარვით გვითვალთვალებს, პაპების დინჯ საუბარზე ეშმაკურ თვალებში ნაპერწკლები უხტის და სადაც არის გულიანად გადაიკისკისებს. მერე ეს სიცილი მარტის მზედაკრულ ჰაერს შეერევა და მოხუცებსაც გულს უხალისებს: ოჰ, ეს ჭინკა როგორ მოგვეპარაო — გაიკვირვებენ და თან უხარიათ, რომ ამ სიცოცხლით სავსე ბავშვში მომავალი ცხოვრება მოჩანს, რომ ეს ანცი გოგონა მათი ფესვმაგარი ჯილაგის ნორჩი რტოა!

... აქ, ლეონიძეთა ეზოში ბალახი უკვე ამოვიდა, ხის კიბიდან ქართული, წითელი კრამიტით გადახურული მარნის სახურავი ჩანს და სახლიც თითქმის მზის პირველ სხივებს გაუთბია და იქიდან სიძველის, გარდასულ დღეთა მოგონებების ამშლელი წინაპრების სუნთქვა იგრძნობა. პოეტის სახლ-მუზეუმს ექვსი თანამშრომელი ჰყავს. **დირექტორი — გიორგი ქავთარაძე — გოგლას შვილიშვილი, ნესტანის ვაჟია. აქვე სიყვარულით მუშაობენ მზია სონღულაშვილი — მეცნიერ-მუშაკი, ნათია ფიცხელაური — ექსკურსიამძღოლი, ნანა უსტიაშვილი — ფონდის მცველი, თემურ ფიცხელაური, მაია ბურდული.** ისინი ყოველ ნივთს თვალისჩინივით უფრთხილდებიან, მაგრამ შენობა უკვე აშკარად შესაკეთებელია.



სოფელს ცხრა სალოცავი იფარავს: ესტატეს ეკლესია, კვირაცხოვლის ეკლესია, ხაშმის სამება, ღვთისმშობლის ეკლესია, შიოს ეკლესია. შიოობა ხომ პატარძეულში დიდი დღესასწაულია!

აღრიან გაზაფხულზე ზვრებში გამოშლილი იმდენი ახალგაზრდობა რომ ვნახე, დავიჯერე, კახელ კაცს ბავშვობიდანვე შრომის-ყადრს ასწავლიან.

სოფლის შესასვლელში, „გოგლაობის" პირველ დღესასწაულზე ჩაეყარა საფუძველი „გოგლას გორას". ახლა აქ მის საპატივსაცემოდ ნაძვები შრიალებენ.

ნაჯაფარი, ფესვმაგარი, ქვეყნის წინაშე ღვაწლმოსილი სოფელია პატარძეული.

**ლია ჭილლაძე.**

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

„დედოზარი" მოამზადეს:
როლანდ ბასილაშვილმა, ნაზი იმნაიშვილმა და ლია ჭილლაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სააპრილო ინტერვიუ

# ზამთარი ღიღინ-ღიღინით გავატარეთ

მოსახლეობის დაჟინებული მოთხოვნით, აპრილის დადგომასთან დაკავშირებით, ჩვენმა კორესპონდენტმა რიო-დე-ჟანეიროს ელექტრომომარაგების გენერალურ დირექტორს ხუან პაპა-სერხიოს ინტერვიუ ჩამოართვა.

— ბატონო ხუან, გამომეტყველებაზე გატყობთ, კარგ გუნებაზე ბრძანდებით.

— რატომაც არა, ჩვენი გამოისობით ზამთარი ისე გავიდა, ბუზიც არ აგვეფრენია.

— მართალი ბრძანდებით (სიბნელესა და სიცივეში ბუზები არ ჩნდებიან), მაგრამ, აბა, ახლა ხალხს პკითხეთ...

— ხალხის აზრი რომ ვიცი, მიტომ მოგახსენებთ. ყოველ შემთხვევაში „დე-ჟანეირო-ლასის" საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრის მონაცემებით, მთელ ზამთარს გრაფიკი ერთხელაც არ დარღვეულა.

— ჰო, ბრაზილიაში ანეკდოტიც კი გავრცელდა — პაპა-სერხიოს ისეთი გრაფიკი აქვს, ხალხი საათს ასწორებსო.

—მუჩას გრასიას.

ხალხი ყოველთვის მართალია.

— რა თქმა უნდა, ხალხს არაფერი გამოეპარება (ისიც კი, მთელი ზამთარი თქვენს ნათესაობას დენი რომ არ გამორთეია). თუმცა, ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. მართალია, ზამთარი ღიღინ-ღიღინით გავატარეთ, მაგრამ როგორია საგაზაფხულო პროგნოზი?

— დიდებული. მთებში იმდენი თოვლია დაგროვილი, მისი ენერგია მარტო ჩვენ კი არა, მთელ სამხრეთ ამერიკას ეყოფა.

— მაგრამ რომ არ დნება?

— ამისთვის უკვე ვიზრუნეთ — მთებში დენი გავუშვით და პესებს 2-3 დღეში გაივსება.

— ეს რაიმე საშიშროებას ხომ არ შეგვიქმნის?

— კიდევ კარგი, მკითხეთ. მინდა მოსახლეობა გავაფრთხილო — მაცივრები, ტელევიზორები, უთოები, ღუმელები და სხვა ხელსაწყო-დანადგარები (ეს საწარმოო-ორგანიზაციებსაც ეხება), გამორთული იქონიონ.

— რატომ?

— რა ვიცი, გრაფიკებს მიჩვეულებმა შეიძლება მუდმივ დენს ვეღარ გაუძლონ და გადაიწვან (ყოველ შემთხვევაში, სიფრთხილეს თავი არა სტკივა).

— ლიფტებიც უნდა გამოირთოს?




— რა თქმა უნდა, თორემ შეიძლება ველარ დაამუხრუჭონ და მე-5 სართულზე ასაყვანი ხალხი 36-ზე აიყვანონ.

— აი, თურმე რამდენი სიფრთხილე ყოფილა საჭირო. კიდევ ხომ არაფერს იტყოდით?

— არა, პირველ ხანებში ესეც საკმარისია. დანარჩენს მერე, პრესისა და ტელევიზიის საშუალებით შევატყობინებთ ხალხს.

— როგორ, ფასზე არაფერს იტყვით?

— კინაღამ გამომრჩა. ფასი იქნება შეთანხმებით. არ შეიძლება საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხალხს ფიქსირებულ გადასახადს ვახლევინებდეთ. შევხედავთ, ქონების მიხედვით, მდიდრებს მეტს გამოვართმევთ, ღარიბებს — ნაკლებს, ზოგს კი სულაც გავათავისუფლებთ.

— ეგრე რა, ძლივს არ ჩავჯექით ახალ კალაპოტში! დიდი მადლობა საინტერესო ინტერვიუსთვის.

**ჯამბულ ბაკურაძე,**

„სრ" საკ. კორ. ბრაზილიაში.

მხატვარი ვახტანგ კუცია.

ხსოვნა

# მიხეილ კობეშავიძე

ქართულმა ქორეოგრაფიულმა ხელოვნებამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ქორეოგრაფი, საქართველოს სახალხო არტისტი, ანსამბლ „მხედრულის" დამაარსებელი და მისი უცვლელი ხელმძღვანელი 60 წლის მანძილზე მიხეილ დიმიტრის ძე კობეშავიძე.

მ. კობეშავიძე დაიბადა 1910 წელს. ცეკვის ხელოვნებას სულ პატარა ეზიარა, ხოლო 1930 წელს ჩამოაყალიბა ქორეოგრაფიული კოლექტივი ქუთაისის სარეწაო კოოპერაციის კლუბში. ამავე დროს იყო მშობლიური სოფლის — კვახჭირის სიმღერის და ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლის ქორეოგრაფი.

1936 წელს საფუძველს უყრის ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლ „მხედრულს", რომელიც შემდგომში დიდი წარმატებით მოივლის მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის მრავალ ათეულ ქვეყანას.

დიდია ანსამბლ „მხედრულის" დამსახურება მეორე მსოფლიო ომის პერიოდში თავდაცვის ფონდის გაძლიერების, ფრონტზე მიმავალ მებრძოლთა და დაჭრილთა მომსახურების საქმეში. მისი შემოქმედების ნამდვილი აღიარება იყო 1943 წელს ქ. მოსკოვში გამართულ კონცერტზე ბრწყინვალე გამოსვლა, სადაც დაიმსახურა უმაღლესი მთავარსარდლის საპატიო სიგელი.

ომის შემდგომ პერიოდში კიდევ უფრო იხვეწება და მდიდრდება ანსამბლის პროგრამა. იდგმება ახალი ქორეოგრაფიული სურათები: „მონადირეთა ცეკვა", „შემთხვევა საცეკვაო მოედანზე", „თბილისური სატრფიალო", „თბილისური ბოჰემა", „მთიელთა ლხინი" და მრავალი სხვა, რომლებიც ქორეოგრაფის ნიჭსა და ფანტაზიაზე მეტყველებდა.

აღსანიშნავია „მხედრულის" ბრწყინვალე გამოსვლები საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ გამართულ საერთაშორისო მნიშვნელობის ღონისძიებებზე, კონკურსებზე, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალებზე, რისთვისაც მიხეილ კობეშავიძეს მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ანსამბლის შემოქმედების ნამდვილი ტრიუმფი იყო 1974 წელს ქ. კიევში გამართულ ხალხური ცეკვის საერთაშორისო კონკურსზე გამოსვლა, სადაც მსოფლიოს 62 ქვეყნის წარმომადგენლებს შორის მოიპოვა პირველი ადგილი, ოქროს მედალი, ხოლო მ. კობეშავიძეს გადაეცა ჟიურის სპეციალური პრიზი ქორეოგრაფიული სურათის „ხევსურული ბალადის" საუკეთესო ქორეოგრაფიული გააზრების, ქორეოგრაფიული ტექსტისა და ლექსიკის ორიგინალური გადაწყვეტისა და ქორეოგრაფიულ სპექტაკლში დრამატურგიის კანონების კლასიკური ფორმით გამოყენებისათვის.

„მხედრულის" ნატიფ ხელოვნებას აღფრთოვანებული უკრავდნენ ტაშს საფრანგეთისა და იაპონიის, გერმანიისა და ინდოეთის, კუბისა და ფინეთის, ჰოლანდიისა და ბელგიის, კანადისა და პორტუგალიის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ და სხვა ქვეყნების ხალხური ქორეოგრაფიის თაყვანისმცემლები.

ანსამბლ „მხედრულის" და მისი ხელმძღვანელის თავდაუზოგავ შრომაზე მეტყველებს მრავალ საერთაშორისო ფესტივალსა და კონკურსში წარმატებები. მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია: იაპონიის „მინონის", ედინბურგის, ბურსის, სტრაჟნისკის, ვიხოდნის, პარიზის, ლივერპულის, იტალიის და სხვა საერთაშორისო კონკურსებზე მოპოვებული ოქროს მედლები და პრიზები, რისთვისაც ბატონ მიხეილ კობეშავიძეს 1985 წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

დიდი შემოქმედებითი მიღწევებისათვის 1988 წელს ანსამბლი „მხედრული" აირჩიეს იუნესკოს ხალხური შემოქმედების ავსტრიის მსოფლიო ორგანიზაციის ИОФ-ის წევრად, ხოლო მისი ხელმძღვანელი მიხეილ კობეშავიძე ამ ორგანიზაციის (იგი 133 ქვეყანას აერთიანებს) გენერალური სამდივნოს წევრად.

შეუფასებელია ბატონ მიხეილ კობეშავიძის ღვაწლი საქართველოს კულტურის სფეროში, ქართულ ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში. მიხეილ კობეშავიძის ხსოვნა მარად დარჩება მის კოლეგებსა და აღზრდილებს შორის, როგორც ქვეყნისა და ხალხის წინაშე თავდადებული მსახურების მკაფიო მაგალითი.

საქართველოს კულტურის სამინისტრო,
საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირი.

ხსოვნა



# კობა უსტიაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი დიდმა მწუხარებამ მოიცვა — მოულოდნელად გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი, პედაგოგი, მეცნიერი და მოღვაწე, ბათუმის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი კობა უსტიაშვილი.

საქართველოს ინტელიგენციამ დაკარგა პიროვნება, რომლის ცხოვრება, სიტყვა და საქმე სამშობლოს მსახურების მაგალითს წარმოადგენს.

ცნობილი ქართველი მშენებლისა და მოღვაწის მეძელ უსტიაშვილის ტრადიციულ ოჯახში გაზრდილი ვაჟკაცი სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან, სადაც სახელოვნად განვლო გზა სამშენებლო ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტიდან პროფესორამდე. კეთილი, საქმიანი, შრომის საოცარი ორგანიზებულობით გამორჩეული სტუდენტი, შემდეგ მკვლევარი მეცნიერი და ბოლოს, აჭარაში საინჟინრო მეცნიერებათა და განათლების ცენტრის — ბათუმის პოლიტექნიკური ინსტიტუტის წინამძღოლი — ასეთად დარჩება იგი კოლეგების, სტუდენტების, მთელი საზოგადოებრიობის მეხსიერებაში.

პროფესორი კობა უსტიაშვილი ერთ-ერთი საიმედო ბურჯი იყო დემოკრატიული საქართველოს მშენებლობისა.

განსაკუთრებულია მისი წვლილი უკანასკნელ ხანს ჩვენში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების ფონზე ბათუმის ინსტიტუტში მშვიდი, აკადემიური ატმოსფეროს შენარჩუნებაში. მან ამ მხრივ ბევრი გააკეთა, როგორც დირექტორმა და როგორც აჭარის პარლამენტის წევრმა.

კობა უსტიაშვილს მრავალი ღირსება ამკობდა, მაგრამ მის პიროვნებას მაინც ჭეშმარიტი მეგობრობის ფასის ცოდნა, დიდი ადამიანური სითბო და თანადგომის გასაოცარი უნარი გამოარჩევდა. მისმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ დიდი სიცარიელე დატოვა.

კობა უსტიაშვილის სიკვდილი ტრაგიკულია და დამთრგუნველი, მაგრამ ამავე დროს სიმბოლურიც: იგი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კედლებში აღესრულა, სული იმ დაწესებულებაში დალია, რომლის სულიერებითაც იცხოვრა ამ ქვეყანაზე.

ღმერთმა გაანათლოს მისი სული.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი.



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და შინაგანი ჯარების მთავარი სამმართველოს ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი „მხედრული" იუწყება, რომ გარდაიცვალა ანსამბლის დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო არტისტი, იუნესკოს ხალხური შემოქმედების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური სამდივნოს წევრი

მიხეილ კობეშავიძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა შინაგან საქმეთა სამინისტროს დამსახურებული მუშაკი, საქართველოს სახალხო არტისტი, პოლიციის პოლკოვნიკი

მიხეილ კობეშავიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე შურა (ალექსანდრა), შვილები ჰამლეტი, ზურაბი, შუმიკო, რძლები, შვილიშვილები, შვილთაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მიხეილ დიმიტრის ძე კობეშავიძე

პანაშვიდი 1, 2 IV, 4 ს. გამოსვენება 3 IV, 3 ს. ჭავჭავაძის გამზირი, № 41, I სად.

---

დისწულები გიორგი, თამაზ არუშიძეები, ელენე, მედეა აზარაშვილები, რობერტ, ლუიზა ოქრუაშვილები, ნოდარ გრიგოლია, და ალექსანდრა ბითაძე, ბიძაშვილები თამარ, მაკა, გიორგი ქურდევანიძეები, ნინო, ანა, ალექსანდრე, ნიკოლოზ, იურა ბესტავაშვილები, რძლები რუსუდან ობოლაშვილი, ოლღა განი, სიძე ლევან ალანია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მერი (მარიამ) კონსტანტინეს ასული ქურდევანიძე

პანაშვიდი 1, 2 IV, 4 ს. გამოსვენება 3 IV, 3 ს. ილია ჭავჭავაძის გამზირი 62, IV სადარბაზო.

---

მეუღლე თინა დოლაბერიძე, შვილები მარინა, გია, შვილიშვილები თიკა, ავთო, სოფიკო, ლევანი, რძლები ნანა შარაშენიძე, ნინო სეხნიაშვილი, სიძეები რამაზ კუტუბიძე, გიორგი კოტრიკაძე, დისწული თამაზ ბოკერია ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლევან ღალაძიშვილი

პანაშვიდი 1, 2 IV, 4 ს. გამოსვენება 3 IV, 3 ს. საბურთალოს ქ. № 67.

---

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ანსამბლ „მხედრულის" დამაარსებელი, 60 წლის მანძილზე მისი უცვლელი სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი ქორეოგრაფი

მიხეილ დიმიტრის ძე კობეშავიძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

თბილისის მეტროპოლიტენის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება მეტროპოლიტენის დაცვის პოლიციის სამმართველოს უფროსის ჰამლეტ კობეშავიძის მამის

მიხეილ დიმიტრის ძე კობეშავიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

თბილისის მეტროპოლიტენის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება დიდი სამამულო ომის მონაწილის, თადარიგის გენერალ-მაიორის

ნიკოლოზ ივანეს ძე კალაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, ზურაბ ვოჩიაშვილი, დავით იაკობიძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორები: ალეკო ასლანიშვილი, აბესალომ იეჟდაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.

სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.